PRIME Time

N29 (330) ორშაბათი, 27 ივლისი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL 2015 TBILISI

GINO ჯინო PARADISE ფერადისი

შეკვეთილი მკვლელობა, ნარკოტიკი, ფინანსური მაქინაციები

„პრიმინალური“ ქართული შოუბიზნესი

შემზარავი სტატისტიკა

„ყველგან იგივეა, იგივე! ჩემი ტყუპი ქალ-ვაჟი სათითაოდ დავმარხე“

„ექიმების პასუხი იყო, – უფალმა იცის, რა მოხდაო. 7 თვე გავიდა და დღემდე არ მცემენ პასუხს“

ასეულობით გარდაცვლილი ახალშობილი და მშობიაროობას გადაყოლილი დედები

SCANDAL

პრეზიდენტი სკანდალური შეწყალებისთვის ემზადება

„დიახ, ამის ალბათობა მაღალია... იურიდიულად შესაძლებელია“

ოპოზიცია თბილისში აჯანყებას გეგმავს

„ნახავთ აბუნტებულ და აჯანყებულ თბილისს“

EXCLUSIVE

ინტერვიუ ვიცე-პრემიერთან

„პრეზიდენტი ისე საუბრობს, თითქოს ამ გუნდის წევრი არ იყოს“

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

„სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ 28 -29 ივლისს მთელი საქართველოს მასშტაბით, მოსახლეობას C ჰეპატიტზე უფასო ტესტირებას ჩაუტარებს

„ჩვენგან ითხოვენ, რომ აზერბაიჯანის მოქალაქეები გავხდეთ“

მამა დემეტრე

ჰერეთის ტერიტორიაზე ქართველ სასულიერო პირებს არ უშვებენ

EXCLUSIVE

ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

ყურადღება! ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტო გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს ანალოგური საეთერო სიგნალის ეტაპობრივი გათიშვა.
30 ივლისს, დილის 10 საათიდან, ბათუმში, ხულოში, ქედასა და შუახევში ქართული ტელეპროგრამების ღია ეთერით მიღება მხოლოდ ციფრულ ფორმატში იქნება შესაძლებელი. აგრეთვე გაითიშება ლანჩხუთის, ოზურგეთის, ქედის, ქობულეთის, შუახევის, ხელვაჩაურის, ხობისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები. სხვა რეგიონების გათიშვის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეეთერის, ცხელი ხაზის (1480), პრესისა და ვებ-გვერდის www.digitaltv.ge -ს საშუალებით.
Ⓐ

სკანდალი განათლების სამინისტროში

ვინ ჩაანაცვლებს თამარ სანიკიძეს და ვინ ებრძვის მას უწყებაში

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

განათლების მინისტრის წინააღ

ნელი თორდია

„ფაქტია, რომ მინისტრზე დარტყმები სწორედ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრიდან წამოვიდა“

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გარშემო ატეხილი სკანდალის შემდეგ, განათლების სამინისტროში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. სამინისტროს კულუარებში უკვე საუბრობენ იმაზე, რომ თამარ სანიკიძეს „ჩაჩოჩებას“ მისი მოადგილე და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გია შარვაშიძე უპირებს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერით გავიდა სიუჟეტი, რომელიც „საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ მიერ 2004 წლამდე გაცემული მაგისტრატურის დიპლომებს ეხებოდა. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ახალი რეგულაციებით, 2004 წლამდე გაცემული დიპლომი ძალადაკარგულად გამოცხადდა, რამაც, „ჯიპას“ ასობით სხვა კურსდამთავრებულთა მსგავსად, პრობლემები განათლების მინისტრსა და ქალაქის მერსაც შეუქმნა. „ჯიპას“ სამაგისტრო კურსი 10 წელზე მეტი დროის განმავლობაში, ორის ნაცვლად ერთწლიანი იყო, მაგრამ ის, რომ შარვაშიძის უწყებას ეს ამბავი მაინცდამაინც ახლა გაახსენდა, მავანთათვის ბევრ კითხვას აჩენს. თამარ სანიკიძე მომხდარს მოკლე კომენტარით გამოეხმაურა და გაუგებრობა უწოდა. მინისტრი დარწმუნებულია, რომ მისი მაგისტრის დიპლომს, აღიარების მხრივ, პრობლემა არ შეექმნება. სამინისტროს კულუარებში კი საუბრობენ, რომ შესაძლოა, შარვაშიძის გარდა, მინისტრობის ამბიცია მის ახლად დანიშნულ მოადგილეს, მმართველი პარტიის აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის დედას თამარ ზაალიშვილსაც ჰქონდეს.

bazzarr bazzarr

ვინ არის გოგონა, რომელთანაც მარკუს მეტრეველს პაპარაცული ფოტოები გადაუღეს

წინა კვირას ყვარელში სილამაზის კონკურსი ჩატარდა, რომელზეც მეც მიმიპატიჟეს. 3 დღის განმავლობაში „ყვარლის ედენში“ ცნობილ სახეებთან, მოდელებთან, კონკურსის ორგანიზატორებთან მომიწია ყოფნა. შესაბამიდან ხელიდან არ გავუშვი შანსი, რამდენიმე პაპარაცული ფოტო გადამეღო მარკუს მეტრეველისთვის, რომელიც კონკურსის ერთ-ერთ მონაწილესთან, ლიზი წიგნაძესთან ერთად ხშირად განმარტოვდებოდა ხოლმე.

- მარკო, რა ურთიერთობა გაქვთ შენ და ლიზის?

- მეგობრული.

- მთლად მეგობრულ ურთიერთობას არ ჰგავს თქვენი განმარტოებები.

- (იცინის) გვითვალთვალებ? როცა ახალი ურთიერთობა ყალიბდება, უნდა გაიცნო ადამიანი, შესაბამისად, მასთან განმარტოვებაც გიწევს.

- და ყვავილები? ვის ეკუთვნოდა ყვავილები, რომლითაც ამ სასტუმროში შემოხვედი?

- ერთ ლამაზ გოგოს, მის სახელსა და გვარს ვერ ვიტყვი (იღიმება).

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ლმდეგ შეთქმულება მზადდება?

სკანდალი განათლების სამინისტროში

ვინ ჩაანაცვლებს თამარ სანიკიძეს და ვინ ებრძვის მას უწყებაში

„კითხვებს ის აჩენს, რომ სანიკიძის დიპლომის აღიარების საკითხი მაინცდამაინც ახლა დადგა და მაინცდამაინც ახლა დაიბლოკა „ჯიპას“ მაგისტრატურადამთავრებულთა საბუთები, რომლებსაც სწავლის გაგრძელება სადოქტოროზე უნდოდათ. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა იმ პერიოდის დიპლომები გააუქმა, როცა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა. (2000-2006 წლები). ამ დროს, უმაღლესი განათლების კანონი უკვე ამოქმედებული იყო და უმაღლესი განათლების სისტემაში მოქმედებდა სქემა 4+2. ანუ 4 წელი ბაკალავრიატი და 2 წელი მაგისტრატურა, მაგრამ ამ ამბის სწორედ ახლა წამოწევა მიზნად ისახავს ქვეყნის პირველ პირზე, ქალაქის მერსა და განათლების მინისტრზე ერთდროული დარტყმის განხორციელებას. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ვიღაცას ძალიან უნდა, ერთი დარტყმით სამი კურდღელი მოკლას და ეს ყველაფერი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დახმარებით გააკეთა. გამორიცხული არ არის, რომ მინისტრობის ამბიცია შერვაშიძის ახლად დანიშნულ მოადგილეს თამარ ზაალიშვილსაც ჰქონდეს. ფაქტია, რომ მინისტრზე დარტყმები სწორედ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრიდან წამოვიდა – აცხადებს ჩვენთან ინტერვიუში ინკოგნიტო რესპონდენტი.

შეგახსენებთ, რომ გია შარვაშიძე განათლების მინისტრის მოადგილის პოზიციაზე თამაზ კვაჭანტირაძის მინისტრობის დროსაც მუშაობდა. (1993-1998 წ.), თუმცა ალექსანდრე კარტოზიას დანიშვნიდან მოკლე დროში, თანამდებობა დატოვა. ერთ-ერთი ვერსიით, განათლების სამინისტროდან დავით ზურაბიშვილის წამოსვლის შემდეგ, გია შარვაშიძეს რესპუბლიკელები ლობირებენ. მეორე ვერსიით, შარვაშიძეს თანამდებობაზე დანიშვნაში დავით მაღრაძე დაეხმარა.

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გარშემო განვითარებული მოვლენებისა და ამ ამბებთან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კავშირზე სასაუბროდ, განათლების მინისტრის მოადგილეს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს დავუკავშირდით. გია შერვაშიძემ გვითხრა, რომ ამჟამად დაკავებულია და მოგვიანებით თავად დაგვიკავშირდებოდა. მოგვიანებით, კი, მის ნაცვლად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან დაგვიკავშირდნენ და ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე პასუხის წერილობით გადმოგზავნას დაგვპირდნენ, თუმცა, სამინისტროდან მიღებულ ორნინადადებიან პასუხში მინისტრსა და მის მოადგილეს შორის შესაძლო დაპირისპირების შესახებ დასმულ კითხვებზე პასუხი ვერ აღმოვაჩინეთ: კურსდამთავრებულებს, რომლებიც 2004 წლამდე სწავლობდნენ GIP-ს მაგისტრატურაში, არანაირი სახის პრობლემა არ შეექმნებათ. იმ დროისთვის გაცემული დიპლომი არის აბსოლუტურად ლეგიტიმური, იყო ლიცენზირებული და შესაბამისად, დიპლომი არის სახელმწიფო მიერ სრულად აღიარებული.

bazarr bazarr

თაკო მელიქიშვილი ფეხმძიმედაა?

მომღერალმა და რადიოწამყვანმა თაკო მელიქიშვილმა ცოტა ხნის წინ ახალი კლიპის პრემიერა გადაცემა „პროფილში“ გააკეთა. „ნუ მეტყვი“ - ასე ჰქვია სიმღერას, რომლის ტექსტი, მუსიკა და არანჟირება ცირა ბზიშვილს ეკუთვნის. კლიპის რეჟისორი ზურა ციციშვილი გახლავთ. სევდიანი სიყვარულის ამბავი თაკომ კლიპში ახმეტელის თეატრის მსახიობთან, იმედა ნატროშვილთან ერთად გვიამბო.

თაკო მელიქიშვილი:

- სიმღერა ასახავს იმ რეალობას, რაც გადავიტანე ცხოვრებაში. სულ მხიარული სიმღერები მქონდა, მინდოდა მემღერა იმაზე, რაც მოხდა ჩემს ცხოვრებაში.

- რა მოხდა?

- რამდენიმე თვის წინ დავშორდი ადამიანს, რომელიც ძალიან მიყვარდა. ერთი წელი ვიყავით ერთად.

- თაკო, ამბობენ, რომ მსახიობისგან, რომელიც კლიპში პარტნიორობას გიწევს, ბავშვს ელოდები...

- ეს ჭორი ჩემამდეც მოვიდა. მაგრამ იმედასთან მხოლოდ მეგობრობა მაკავშირებს. ძალიან დამეხმარა კლიპის გადაღებების დროსაც და მერეც კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. თუმცა, ბავშვს მისგან ნამდვილად არ ველოდები.

- მაშ ვისგან ელოდები?

- არავისგან. უბრალოდ, ბოლო დროს რამდენჯერმე მომიწია გინეკოლოგთან კონსულტაციაზე მისვლა, როგორც ჩანს, ეს შეუჩნეველი არ დარჩა მავანსა და მავანს და ჭორიც აგორდა, როგორც ხდება ხოლმე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნარკოდანაშაულში მხილებულნი:

მამულიჩა, თათარაშვილი, ჯანჩო და კაბუ

მირიან ბოქოლიშვილი

ხშირად ამბობენ, რომ ქართულ შოუბიზნესს განვითარება და პროფესიონალიზმი აკლია, თორემ სკანდალები ამ სფეროში თავზესაყრელადაა. შიდა ინტრიგებისა და პოლიტიკურ ნიადაგზე დაპირისპირებების გარდა, ქართულ ესტრადას არც კრიმინალური სკანდალები აკლია. არაერთი ქართველი მომღერალი სხვადასხვა დანაშაულისთვის გისოსებს მიღმაც აღმოჩენილა. ჩვენ თვალი გადავავლეთ შოუბიზნესის წარმომადგენლების ირგვლივ აგორებულ კრიმინალურ სკანდალებს და რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, მკითხველის ყურადღებას ლელა წურწუმიას მეუღლეზე შევაჩერებთ.

მუსიკალური პროდიუსერი კახა მამულაშვილი, იგივე მამულიჩა სამართალდამცავებმა 18 ივლისს ქვეყანაში დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შემოტანის ფაქტზე დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, ლელა წურწუმიას მეუღლეს კოკაინი, კანაფის ფისი და ექსტაზი გერმანიიდან შემოჰქონდა. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ მას წინასწარი 55-დღიანი პატიმრობა შეუფარდა, თუმცა ბრალის სიმძიმიდან გამომდინარე, შესაძლოა, საბოლოო განაჩენი კიდევ უფრო მკაცრი აღმოჩნდეს, ვინაიდან მის მიმართ წარდგენილი ბრალი 14 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

გამოძიების ინფორმაციით, თბილისის აეროპორტში ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი კახა მამულაშვილის ჩხრეკის შედეგად 5.591 გრ კოკაინი, 1,15 გრ კანაფის ფისი და 0,2048 გრ ე.წ. ექსტაზი ამოიღეს. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მამულიჩა ნარკოდანაშაულის დროს წარსულშიც იყო დაკავებული, კერძოდ 2008 წელს, თუმცა იმდროინდელმა ხელისუფლებამ, ლელა წურწუმიას ფაქტორიდან გამომდინარე, ეს ფაქტი მიჩქმალაო. ამ ჭორებს სასამართლოში თავად კახა მამულაშვილმა უპასუხა და აღნიშნა, რომ წარსულში ნასამართლევი არასდროს ყოფილა. მან წარდგენილი ბრალდება აღიარა და წინასწარი აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს მოსამართლეს სთხოვა, მიეცა თავისუფლების ორთვიანი ვადა, რათა ოჯახი მოსალოდნელ სასჯელს შეაგუოს.

„მე არასოდეს შემომიტანია საქართველოში ნარკოტიკი. არც ვეწევი და არც ვსვამ, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როცა კოკაინი გამისინჯავს უცხოეთში. ის ოდენობა, რაც ახლა მქონდა, მივიჩნიე, რომ არ იყო დიდი ოდენობა. ვინმესთან ერთად რომ ვყოფილიყავი, ასეთ რამეს არ გავაკეთებდი. ვერავინ იტყვის, რომ ნარკოტიკთან მქონდა შეხება. საგამოძიებო პროცესში ეს ორი თვე მჭირდება, რომ ოჯახი შევაგუო იმას, რომ შესაძლოა, დანაშაულისთვის პასუხისგება მომინიოს“, – განაცხადა კახი მამულაშვილმა, რომელიც 10-ათასლარიანი გირაოთი განთავისუფლებას ითხოვდა, თუმცა მოსამართლე არსენ კალატოზიშვილმა დაცვის მხარის შუამდგომლობა არ გაითვალისწინა და მას აღმკვეთი ღონისძიების სახით 55-დღიანი პატიმრობა შეუფარდა.

ლელა წურწუმიას მეუღლის დაკავებისთანავე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მამულიჩა სამართალდამცავებთან თემურ თათარაშვილმა „ჩაუშვა“. თუმცა ამბობდნენ იმასაც, რომ პირიქით, თავის დროზე თემურ თათარაშვილი საეჭვოდ სწორედ იმ დროს დააკავეს, როდესაც ლელა წურწუმიასა და მამულიჩასგან მოდიოდა. ამ ჭორებს თათარაშვილი პირადად გამოეხმაურა და უარყო, როგორც მის მიერ მამულიჩას დასმენა, ისე 2006 წელს მის დაპატიმრებასთან წურწუმია-მამულაშვილის რაიმე სახის კავშირი.

თავად თათარაშვილმა ნარკორეალიზატორობის ბრალდებით ციხეში ორი წელი გაატარა. ის სამართალდამცავებმა 2006 წელს სუბოტექსის რეალიზაციის ფაქტზე დააპატიმრეს და მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული აღიარა, თავდებშიც არაერთი კოლეგა ჩაუდგა, სასამართლომ 10-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. ამ განაჩენით თათარაშვილი ახლაც

ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მამულიჩა ნარკოდანაშაულის დროს წარსულშიც იყო დაკავებული, კერძოდ 2008 წელს, თუმცა იმდროინდელმა ხელისუფლებამ, ლელა წურწუმიას ფაქტორიდან გამომდინარე, ეს ფაქტი მიჩქმალაო. ამ ჭორებს სასამართლოში თავად

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შოუბიზნესი

მკვლელობის საქმის ფიგურანტები: ფურცელაძე, ცქვიტინიძე, პავლიაშვილი

საპატიმროში იქნებოდა, რომ არა პრეზიდენტის შეწყალება. სააკაშვილის ხელისუფლებამ მომღერალი პატიმრობიდან ორ წელში შეწყალების აქტის საფუძველზე გაათავისუფლა, რაც იმდროინდელ რეალობაში, ასეთი მძიმე დანაშაულისთვის, უპრეცედენტო ფაქტიც კი იყო.

განთავისუფლების შემდეგ თათარაშვილი საცხოვრებლად მოსკოვში გადაბარგდა და ორ წელში რუსეთის მოქალაქეობაც მიიღო, რასაც თავად ასეთი ახსნა მოუძებნა:

„მე ვცხოვრობ ამ ქვეყანაში და ყველამ კარგად იცის, რომ, თუ საბუთი არ გაქვს, ხარ ნული და ვერაფერს გააკეთებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ვამბობ. მე ვთხოვ მიხეილ სააკაშვილს ორმაგ მოქალაქეობას“, – აცხადებდა თემურ თათარაშვილი.

2008 წელს თათარაშვილის კვალდაკვალ საპყრობილე დატოვა და რუსეთში გადაბარგდა მისი თანასაკნელი, მომღერალი აჩი ფურცელაძე, რომელიც გისოსებს მიღმა მეგობრის დახმარების გამო აღმოჩნდა. მას შეწყალება არ შეხებია, ის პატიოსნად იხდიდა მისჯილ ექვსთვიან სასჯელს. საქმე ეხება 2007 წელს ლესელიძის ქუჩაზე ლომბარდის დაყაჩაღებას, რა დროსაც თავდამსხმელების მიერ გახსნილ ცეცხლს საპატრულო პოლიციის თანამშრომელი, მამუკა გოგოლაძე ემსხვერპლა.

მომხდარზე მომღერალი აჩი ფურცელაძეც დააკავეს, რომელმაც 6-თვიანი სასჯელი მოიხადა. მასთან ერთად დაკავებული იყო ტელეწამყვანი თაკო ცქვიტინიძეც, თუმცა ორივე მათგანი ამ გაუგებრობაში შემთხვევით მოხვდა. გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთი თავდამსხმელი სოსო ქუმსიაშვილი თაკო ცქვიტინიძის ახლობელი გახლდათ, გასროლის შემდეგ ქუმსიაშვილმა დახმარებისთვის თაკოს დაურეკა და სთხოვა, მისთვის მანქანით გაევლო. თაკო მეგობრებთან ერთად შეხვდა ქუმსიაშვილს და სახლში წაიყვანა. შემთხვევის ადგილიდან სოსო ქუმსიაშვილის ავტომობილი კი აჩი ფურცელაძემ გამოიყვანა. გამოძიებამ 5 დღის შემდეგ მომხდარზე 8 პირი დააკავა, ორი კი ძებნაში იყო.

რამდენიმე წლის წინათ მარიხუანის მოხმარების ფაქტზე სასჯელს იხდიდა მომღერალი ლევან მგალობლიშვილიც, იგივე პანჩო. მოგვიანებით ის პრესასთან ამ ისტორიას ასე იხსენებს:

„ციხეში ნამყოფი ვიყავი, პატიმრებს კონცერტებს ვუტარებდით ხოლმე... შესვლისას ოფიცერს ვუთხარი, – საღამოს გიტარას მომიტანენ და შემოატანინე-მეთქი. გაკვირვებულმა შემომხედა, – თუ იცი, საერთოდ სად მოხვდიო?! გიტარა კი არა, ჩაი და ყავა არ გვქონდა, რომ დაგველია... რადიო იყო ისეთი, ყური უნდა მიგედო, რამე რომ მოგესმინა... სხვა საქმე რომ არაფერი მქონდა, ციხის უფროსის სახელზე წერილებს ვწერდი, გიტარა შემოატანინეთ-მეთქი, რითაც ვხალისობდი... არადა, პატიმრები ისეთ სტრესში იყვნენ, ღამეებს ათენებდნენ. ღამით ბევრს კამერაში უცვივდებოდნენ, სცემდნენ... იმ მწვალებლების გუნდში ნორმალური ოფიცრებიც იყვნენ, გამიმართლა, რადგან მათთან მოვხვდი... მთელ ციხეში გამეფებული სისასტიკე საშინლად გვთრგუნავდა“, – იხსენებს მუსიკოსი.

გავრცელებული ინფორმაციით, ნარკოტიკების მოხმარების ფაქტზე რამდენჯერმე იყო დაკავებული ცნობილი რეპერი და მსახიობი კახა აბუაშვილიც, იგივე კაბუ, თუმცა ყველა ჯერზე ის ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

შოუბიზნესის ქართველი ვარსკვლავებიდან ყველაზე მძიმე ბრალდება კი სოსო პავლიაშვილის სახელს უკავშირდება. საუბარია მომღერლის ახლო მეგობრის, ბიზნესმენ ავთანდილ ადუაშვილის მკვლელობის შეკვეთაზე. მართალია, პავლიაშვილის მიმართ საქმე არ აღძრულა, მაგრამ მრავალწლიანი პატიმრობა მიესაჯათ მკვლელობის უშუალო შემსრულებლებს, მათ შორის ორგანიზატორს, რომელიც პავლიაშვილის სიძე (დის ქმარი) ვახტანგ ჩხაპელია აღმოჩნდა. მკვლელობის შემკვეთის ნაწილში კი საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო და როგორც პროკურატურაში ამბობენ, გამოძიება ამჟამადაც გრძელდება. არ არის გამორიცხული, სწორედ ამ გამოძიების შემდეგ სისხლის სამართლის საქმე უშუალოდ სოსო პავლიაშვილზეც აღიძრას, ვინაიდან გარდაცვლილის ოჯახი მკვლელობის შეკვეთაში სწორედ რუსეთში მოღვაწე ქართველ მომღერალს ადანაშაულებს.

„მე უკვე რკინის ქალამნები ჩავიცვი და არ ვაპირებ გახდას, სანამ სამართალს არ მივაღწევ. არ მაქვს იმედი, რომ მაფიოზ პავლიაშვილს რუსეთი საქართველოს გადმოსცემს, მაგრამ იმას მაინც მივაღწევ, რომ მეგობრის მკვლელს მეგობრის მკვლელის სახელი ერქვას“, – ამბობს გარდაცვლილის დედა, რომელიც მკვლელობას ადუაშვილისა და პავლიაშვილის საერთო ბიზნესინტერესებს უკავშირებს.

სკანდალში გაეხვია ქართული ესტრადის უკრაინელი ვარსკვლავი ივანა მელაიც, როდესაც 2012 წლის 23 ნოემბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მამამისი, სვიატოსლავ მელაი დააკავეს. აღმოჩნდა, რომ მომღერლის მამას იანუკოვიჩის მთავრობა თაღლითობის ბრალდებით ეძებდა. იმ დროს ხელისუფლებაში უკვე „ქართული ოცნება“ გახლდათ და მიღწეული იყო მოლაპარაკება სვიატოსლავ მელაიას უკრაინისთვის გადაცემის თაობაზე, თუმცა ექსტრადირება არ შედგა. საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა რჩეული მომღერლის მამას საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა, რაც უცხო ქვეყნისთვის გადაცემას გამორიცხავდა.

ამბობენ, რომ სააკაშვილს სვიატოსლავ მელაისთვის მოქალაქეობის მინიჭება უშუალოდ ძებნილის ქალიშვილმა, მომღერალმა ივანა მელაიმ სთხოვა.

„2012 წლის 23 ნოემბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის დროს დააკავეს 1961 წელს დაბადებული სვიატოსლავ ვიქტორის ძე მელაი. აღნიშნული პიროვნება თაღლითობის ბრალდებით კიევის ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით იძებნებოდა“, – განმარტეს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

უკრაინაში პოპულარული შემსრულებელი ივანა მელაი საქართველოში პირველად 2011 წელს ჩამოვიდა. მესტიაში საშობაო უკრაინულ-ქართულ კონცერტში მონაწილეობამ 24 წლის უკრაინელ ვარსკვლავს საცხოვრებლად საქართველოში დარჩენა გადაწყვეტინა. ის აქაც მალევე გახდა პოპულარული. ივანა მელაი, მუსიკალურთან ერთად, სატელევიზიო საქმიანობითაც დაკავდა და ტელეკომპანია „პიკის“ სახე გახდა.

დაბოლოს... ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ საგამოძიებო ორგანოებთან პრობლემები შეექმნა მომღერალ შპს „არტფორუმსაც“, რომლის დამფუძნებლები არიან მომღერლები – კახა ცისკარიძე და სტეფანე მღებრიშვილი. ამ საქმეზე კახა ცისკარიძე საგამოძიებო ორგანოში დაკითხვაზეც დაიბარეს. ჩვენი ინფორმაციით, „არტფორუმის“ ირგვლივ მოკვლევა ამჟამადაც გრძელდება.

„მე არ მინდა ვიფიქრო, რომ პოლიტიკური მოტივაცია შეიძლება იყოს ამ საკითხთან დაკავშირებით“, – ამბობდა დაკითხვაზე შესვლის წინ კახა ცისკარიძე.

სტეფანე მღებრიშვილისა და კახა ცისკარიძის შპს „არტფორუმის“ მიერ სახელმწიფოსგან მიღებულ დაფინანსებაზე თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – თბილისის“ თავმჯდომარე, გიორგი მუსხელიშვილიც საუბრობდა. როგორც საკრებულოს წევრი აცხადებდა, ეს კომპანია უკონკურსოდ, ყოველგვარი ტენდერების გარეშე სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა კონცერტებისთვის იღებდა სერიოზულ თანხებს.

მუსხელიშვილის ინფორმაციით, 2012 წლის პირველი იანვრის ღამეს თბილისში ჩატარებული კონცერტისთვის „არტფორუმმა“ სოლიდური თანხა მიიღო, თუმცა ამის შესახებ ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ფრაქციამ „ქართული ოცნება – თბილისის“ თავმჯდომარემ ბათუმში ჩატარებული კონცერტის შესახებ შეძლო ინფორმაციის მიღება. მისი თქმით, კონცერტისთვის ბათუმში, რომელზეც 100 000 ლარი დაიხარჯა, „არტფორუმმა“ უცხოელი „დიჯეი“ ჩამოიყვანა, რომელსაც 62 000 ლარი გადაუხადეს, ხოლო დანარჩენი თანხა კახუჩელასა და სტეფანეს ჯიბეში აღმოჩნდა.

ფინანსური დარღვევების საქმე: შპს „არტფორუმი“, კახა ცისკარიძე და სტეფანე მღებრიშვილი

მუსხელიშვილის თქმით, ამის შემდეგ „არტფორუმს“ დათო ევგენიძის კონცერტის ორგანიზება დაევალა, რისთვისაც 150 000 ლარი მიიღო. აქედან ევგენიძეს მხოლოდ 25 000 ლარი შეხვდა ჰონორარის სახით, დანარჩენი 125 000 ლარი კი ისევ ამ პირებზე გადანაწილდა.

არ არის გამორიცხული, რომ კახა ცისკარიძე „პოლიტიკურ სარჩულზე“ საუბრისას სწორედ ზემოჩამოთვლილ გარემოებებს გულისხმობდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სახიფათო დაპირისპი

მარგველაშვილი მერაბიშვილისა და საკაშვილის შეწყალებას გეგმავს

ქეთი ხატიაშვილი

ოპოზიცია შემოდგომაზე დიდი და მასშტაბური აქციებისთვის ემზადება. მიაჩნიათ, რომ სოციალური ფონი საკმარისად მძიმე იქნება იმისთვის, რომ ხალხი გარეთ მოვიდეს – დენის ტარიფი, ლარის კურსი, საბიუჯეტო ცვლილებები. ოპოზიციისთვის კი ყოველთვის სულერთი იყო, და კვლავაც რჩება, ობიექტური მიზეზები. თუკი არსებობს შანსი, პროდასავლური ლოზუნგების მიუხედავად, ის მაინც მზად არის, პოლიტიკის ველური კანონებით იხელმძღვანელოს და ხელისუფლების დასამხობად ყველაფერი გააკეთოს.

მაგრამ ახლა აქ სხვა კითხვა ჩნდება – მონაწილეობს თუ არა ამ პროცესში პრეზიდენტი მარგველაშვილი, რომელიც კი ამბობს, რომ პოლიტიკურ ბატალიებში ჩართული არ არის, მაგრამ ყოველთვის ხმაურის ეპიცენტრში ექცევა ხოლმე.

ოპოზიციის თამაშში მარგველაშვილი, შეიძლება ითქვას, დიდი ხანია ჩართულია. მან ოპოზიციის მოთხოვნას – მაჟორიტარული სისტემის უკვე 2016 წლისთვის გაუქმებასთან დაკავშირებით, მხარი სრულად დაუჭირა. როგორც ყველა რეფორმა, ეს რეფორმაც სათანადო სიფრთხილესა და შესაბამის დროს საჭიროებს, არჩევნების წინ სისტემის ნაჩქარევად შეცვლა დემაგოგიის გადმოსახედიდან მარტივი და იოლია, თუმცა პრეზიდენტს, როგორც ჩანს, სხვა პოლიტიკური ინტერესები აქვს, ამიტომაც მმართველ გუნდს საარჩევნო დანაპირების შესრულება მოსთხოვა. ამაზე ცოტა ქვემოთ.

გიორგი მარგველაშვილი ქართველ პრეზიდენტებს შორის ყველაზე უფრო პოპულისტია. ის ექსკლუზიურად და მხოლოდ პოპულისტურ თემებზე რეაგირებს. მაგალითად, მოსმენების თემას ვეტო დაადო, თუმცა, „ჩუმად“ მოაწერა ხელი კანონს, რომელიც, ექსპერტების დასკვნით, უხეშად არღვევს საბანკო საიდუმლოებას. ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსში დამატებები გასული წლის დეკემბერში მიიღო პარლამენტმა და მარგველაშვილმა მას ხელი მოაწერა. ექსპერტმა ლევან ალაფიშვილმა კი საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. მისი განმარტებით: „კანონი საგადასახადოს ისეთი სახის წვდომას აძლევს მოქალაქეების ანგარიშებზე, რომ ამის შესახებ მათ საქმის კურსში არავინ აყენებს. მეტიც, მოქალაქეს გასაჩივრების უფლებაც კი ჩამორთმეული აქვს“.

მოსმენებზე ნაკლები თემაა? თითქოს არა, თუმცა პრეზიდენტმა იმ თემაზე მოახდინა რეაგირება, რომელიც მაქსიმალურად იყო გაპიარებული.

ეს კლასიკური მაგალითია.

მარგველაშვილმა სხვა „კლასიკების“ მაგალითებიც დატოვა.

მაგალითად, იგივე მოსმენების თემაზე. მან ჯერ ცაიტნოტში ჩაგდო პარლამენტი, როცა კანონზე მუშაობის ვადები მაქსიმალურად შეუკვეცა, შემდეგ კი ნაჩქარევად დამუშავებულ პროექტს პარლამენტში ვეტო დაადო. ამ პროცესში გიორგი მარგველაშვილს მომხრეებიც ჰყავდა. მოსმენების თემა მართლაც სენსიტიურია და აქ ყველა პოლიტიკოსს სურს, გამოვიდეს მოსმენების წინააღმდეგ მებრძოლად. ასე რომ, თავად უმრავლესობაშიც ბევრი ელოდა, რომ პრეზიდენტი ახალ კანონპროექტს შეიტანდა პარლამენტში. მათ შორის, ნაციონალებიც. ამბობდნენ, – რადგან მარგველაშვილმა ვეტო დაადო, ესე იგი მას პროექტის საკუთარი ვარიანტიც აქვსო. თუმცა ის, რაც პარლამენტში შევიდა, იმდენად სასაცილოდ გამოიყურებოდა, რომ მარგველაშვილის გულშემატკივრებმაც მხარი ვეტოს დაძლევას დაუჭირეს.

ახლა იგივე ისტორია ეროვნული ბანკის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით მეორდება. ექსპერტ ლევან ალაფიშვილის შეფასებით: „შესაძლოა, ისტორია მართლაც მეორდება, მაგრამ საბოლოო დასკვნის გაკეთება ჯერ მაინც ნაადრევია. უნდა დაველოდოთ, რას შეიტანს პარლამენტში მარგველაშვილი“.

ისტორია თუ განმეორდება, ეს არა მხოლოდ მარგველაშვილის იმიჯის, არამედ მისი ადმინისტრაციის კვალიფიკაციასაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. გამოდის, პრეზიდენტი ვეტოს კი ადებს, მაგრამ კანონპროექტის მომზადების უნარიც არ გააჩნია. მხოლოდ ხმაურიანი ფრაზებითა და ზეპირი შენიშვნებით იფარგლება.

სხვათა შორის, მოსმენების მსგავსად, ეს კანონიც მაქსიმალურად გაპიარდა. რაც მთავარია, ბევრი მას განიხილავს როგორც პრეზიდენტ მარგველაშვილის უფლებებზე დარტყმას. ნუ, მოქალაქეების უფლებებს თუ ურტყამს რომელიმე კანონი, ამას მარგველაშვილი არ შეიმჩნევს და ხელს აწერს, თუმცა, როგორც კი მის პირად უფლებებს ეხება, მაშინვე იწყება დიდი პოლიტიკური მღელვარება.

მარგველაშვილს კარგად ესმის, რომ პარლამენტში მას საყრდენი არ ჰყავს და კანონმდებლები მის ვეტოს დაძლევენ, ამიტომაც მან ხელისუფლებას დაარტყა იქიდან, სადაც მისი ექსკლუზიური უფლებებია და ხელისუფლება ვერც გასაჩივრებს, ვერც შეუკვეცს და ვერც ჩამოართმევს. ეს შეწყალების უფლება გახლავთ.

ოპოზიცია თბილისში მასიური ამბოხებისთვის ემზადება

პრეზიდენტის ექსკლუზიური იარაღი

კულისებში თითქოს დიდი მოლაპარაკებები მიდის, პრეზიდენტი მარგველაშვილი საკაშვილის, ახალაიასა და მერაბიშვილის შეწყალებას გეგმავს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საარჩევნო ციკლში ეს კოალიცია „ქართულ ოცნებას“ სერიოზულად დაასუსტებს. ლევან ალაფიშვილის აზრით, პრეზიდენტი ამ პირებს პოლიტპატიმრებად არ მიიჩნევს, თორემ მათ ადრევე შეიწყალებდა; თორნიკე შარაშენიძის მოსაზრებით კი, პრეზიდენტი ამ პირების შეწყალებას არ აპირებს.

და მაინც, რატომ შეიწყალა მარგველაშვილმა ბობოხიძის ძმა? ამ კითხვაზე პრეზიდენტს შეუძლია, არც უპასუხოს – კანონი არ ავალდებულებს. თუმცა, მედიასა და სოცქსელებში მას ოთხშვილიანი დედის ისტორია შეახსენეს, რომელიც უცხოელებთან კონფლიქტის გამო ციხეში ზის და შეწყალებას დღემდე ამაოდ ელის.

ეს არც პირველი კითხვაა და არც ბოლო, რომელსაც მარგველაშვილი უპასუხოდ ტოვებს. უფრო ადრე მას სთხოვეს, აეხსნა, რატომ თქვა უარი ათონელზე გადასვლაზე, რომელიც მისი პირადი არჩევანი იყო.

ასე რომ, დაპირისპირება მარგველაშვილსა და ხელისუფლებას შორის დიდი ხანია დაწყებულია და შიგადაშიგ ის კრიზისულ ფაზაშიც გადადის. მარგველაშვილი, სანამ აწყობდა, ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი იყო. სწორედ ამით მიიღო ყველაფერი, რაც აქვს. მაგრამ ქართული პოლიტიკა დიდი ხანია თამაშის გუნდურ პრინციპებს არ ცნობს, ამიტომაც ახლა მან თამაში ნაციონალებთან დაიწყო. ვისთვის ეს ჭკვიანური სვლაა – მათ მარგველაშვილის გამოყენება ხელისუფლების წინააღმდეგ ნამდვილად სურთ; ვისთვის კი პრეზიდენტმა უღალატა იმ ადამიანებს, ვინც არც ფინანსები, არც შრომა არ დაიშურა მისი გაპრეზიდენტებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ არ სიამოვნებს, მარგველაშვილი მაინც იქნება ის პლასტელინი, რომელიც ივანიშვილმა გამოძერწა. და თუ ახლა ამ პლასტელინს ფორმას ვიღაც სხვა „უძერწავს“, ეს მარგველაშვილის არც და-

მარგველაშვილი პოლიტიკურ სა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...რეგა კრიზისში შედის

„როგორც კი თბილისში დენის ტარიფი აიწევს, ნახავთ აჯანყებულ და აბუნტებულ თბილისს“

EXCLUSIVE

რა იგეგმება შემოდგომაზე და ვინ აპირებს მასიური აქციების მოწყობას. ასევე, დაპირისპირება სახელისუფლებო შტოებს შორის, მიზეზები და ვარაუდები. „პრაიმტაიმს“ ვალერი გელბახიანი ესაუბრა:

– თავად ხელისუფლების შტოები პრეზიდენტის ინსტიტუტს იგნორირებას უკეთებ და მის დაკნინებას ცდილობენ. ეს პროცესი დიდი ხანია მიმდინარეობს. ძალაუფლება, რაც საპრეზიდენტო ინსტიტუტს საკონსტიტუციო ცვლილებებამდე ჰქონდა – პოლიტიკურ ხელისუფლებაზე გავლენა – პრეზიდენტმა დაკარგა, მაგრამ მას სახელმწიფოებრივი ფუნქციები დარჩა. პრეზიდენტი ვერ იქნება ქაღალდზე ფორმალურად... მას საერთაშორისო წონა აქვს...

შეწყალება ორნაირად ხდება: კომისია სწავლობს საკითხს და რეკომენდაციით შედის პრეზიდენტთან და მეორე, უშუალოდ პრეზიდენტი გამოსცემს აქტს. ეს მისი ექსკლუზიური უფლებამოსილება და კონსტიტუციური უფლებაა.

პრეზიდენტის ეს აქტი არ საჩივრდება, კანონი არ ითხოვს, პრეზიდენტმა შეწყალების აქტი დაასაბუთოს...

– რამდენად შესაძლებელია, მან მერაბიშვილი და საკაშვილი შეიწყალოს...

– ამის შესაძლებლობა მაღალია. მარგველაშვილს ამ მოთხოვნას დასავლეთის პოლიტიკოსები და დიპლომატებიც უყენებენ. უსამართლოდ არიან დაჭერილები, ასე მიაჩნიათ მათ და პრეზიდენტს სთხოვენ შეწყალების უფლების გამოყენებას. ამას ივანიშვილსაც ეუბნებიან.

ბევრი ადამიანი ზის დღემდე უკანონოდ, საკაშვილის მმართველობიდან მოყოლებული. პრეზიდენტს საკუთარი უფლების გამოყენებით, ამ მხრივ, შეუძლია, სამართლიანობა აღადგინოს.

მარგველაშვილი ხალხის გულის მოსაგებ ნაბიჯებს დგამს და შეწყალება ერთ-ერთი მექანიზმია. მე რომ მის ადგილას ვიყო, მასობრივ შეწყალებას დავიწყებდი. აზრი რომ არის გაყოფილი ხალხში, იმ პირებს შევიწყალებდი. დასავლეთში ასეა: როდესაც მტკიცებულებას შორის არის კონფლიქტი, მაშინ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არ გამოაქვს – ამ პრინციპებისგან ჩვენი სასამართლო შორს არის... და პრეზიდენტს შეუძლია ამის გამოსწორება...

ადრეც ვამბობდი და ახლაც ვიტყვი: პრეზიდენტს საკუთარი პოლიტიკური ძალა დასჭირდება. მაშინ ვვარაუდობდი, რომ ეს ლევან ვასაძე იქნებოდა. მაგრამ ახლა, როცა ის რუსეთში დაინიშნა, როგორც ჩანს, მისი ქართულ პოლიტიკაში შემოსვლა შეუძლებლად გამოიყურება. ამიტომ ან მოქმედი ძალებისგან შეარჩევს ვინმეს ან ახალს შექმნის.

– ვასაძეს? პრორუსულ ძალებს დაეყრდნობოდა?

– ამ შემთხვევაში მას საყრდენი სჭირდებოდა და ვინ იქნებოდა ეს ძალები, მნიშვნელობა არ ჰქონდა.

– ანუ შეიძლება, ბურჯანაძესაც დაეყრდნოს?

– პოლიტიკა არ არის მუდმივი, განყენებული და სტატიკური, ის ინტერესზე გადის და არა ორიენტაციებზე... არჩევანი გვაქვს ევროპული, თორემ რა ევროპელები ვართ?

არ ვიცი, ბურჯანაძესთან რა რეალობაა, თუ სნორია, რასაც მასზე ამბობენ, ის ძალიან სერიოზული პოლიტიკური ძალა გახდება...

– და ასეთს რას ამბობენ?

– რუსეთში ქართული ბიზნესმენების კორპუსი შეიქმნება და ბურჯანაძეს დაუჭერს მხარს. ეს რეალობა ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

– ჰო, მაგრამ ბურჯანაძე რამდენი ხანია, ითხოვს ხელისუფლებასთან შეხვედრას და არავინ ხვდება, ეს მის სუსტ გავლენებზე არ მიუთითებს?

– ეს ბურჯანაძეს აწყობს... რუსეთი სწორად გაიგებს. ვისაც სურს დიალოგი, არის ბურჯანაძე და ვისაც არა – ხელისუფლება.

გეტყვით, რომ სექტემბერში ფართო გამოსვლებს ველი, არ გამოვრიცხავ, ერთ მოედანზე ნაცები და ბურჯანაძეც დადგნენ.

სოციალური თემები თავისთავად იქნება, სექტემბერი მოვა და დენის ტარიფი მათ ჯიბეს დაარტყამს... როგორც კი თბილისში დენის ტარიფი აიწევს, ნახავთ აჯანყებულ და აბუნტებულ თბილისს. ნახავთ, ეს ასე იქნება... პოლიტიკური ძალები გამოვლენ... მათ საარჩევნო კოდექსის თემაც გააერთიანებთ.

– მათ ხელისუფლების შეცვლის ინტერესი გააერთიანებთ და ამის შემდეგ ბურჯანაძე და ნაციონალები „იჩხუბებენ“?

– ეგ სხვა პროცესია... შემდეგ ბანაკების მიხედვით დაიყოფიან, საქართველოში ორად გაიყოფა პოლიტიკური სპექტრი – პროდასავლურად და პრორუსულად, როგორც ამერიკაში... ეს დაპირისპირება უფრო პროგრესული იქნება...

– ამერიკაში ორად არის გაყოფილი და განსხვავებულია რუსეთთან მიდგომები, თუმცა ბურჯანაძეს ნუ შეადარებთ...

– რატომ? რა არის ბურჯანაძე ასეთი?

– ნატოსა და ევროკავშირის წინააღმდეგ გამოდის...

– არც ბურჯანაძე ვარ და არც სააკაშვილი... საქართველოში არის ისტორიული პროცესი, ან საერთოდ კარგავს ქვეყანა ტერიტორიებს, ან აქვს შანსი გადარჩენის... ვინც სახელმწიფო ინტერესების პროცესის გვერდით დადგება, ის მოიგებს...

„გეტყვით, რომ სექტემბერში ფართო გამოსვლებს ველი. არ გამოვრიცხავ, ერთ მოედანზე ნაცები და ბურჯანაძეც დადგნენ“

მოუკიდებლობის ხარისხზე მეტყველებს და არც ჭკუაზე. მაგრამ საქართველოში ველური პოლიტიკური წესებია.

და უკვე მეორედ თუ მესამედ ამ თემას ბიძინა ივანიშვილი პირადად შეეხო. და ეს გასაგებიცაა. ივანიშვილი სამართლიანად მიიჩნევს, რომ მარგველაშვილი მისი „პოლიტიკური პროექტია“ და ახლა უჭირს იმასთან შეგუება, რომ პრეზიდენტი „ჯიუტობს“.

„მარგველაშვილი ცდილობს, როგორმე გუნდი დააზიანოს. ახლაც პოლემიკაა, დაადებს თუ არა ვეტოს, კანონი წაკითხულიც არ აქვს. მე მას პირველ კანონზეც შეევეკამათე, როდესაც ვეტოს ადებდა. ვუთხარი, ხომ ვიცი, წაკითხულიც არ გაქვს-მეთქი, რას უნდა დაადო ვეტო, რა გინდა-მეთქი. დღეს ამ თემაზე აღარ გვინდა, მე ვაპირებ ერთ-ერთ გადაცემაში ამ თემაზე ვისაუბრო. ზოგადად, პრობლემა ის არის, რომ ეს კაცი არჩევნების შემდეგ პრინციპულად შეიცვალა. გუნდმა მოიყვანა და მან იგნორი გაუკეთა პირველივე დღეს. ასეთი რამ მსოფლიო პოლიტიკაში ჯერ არ მომხდარა, ეს უპრეცედენტოა. ორი თვე, დღე და ღამე ვსაუბრობდით ჩვენ, თავიდან ბოლომდე გაუგებრობაში ვიყავით, ჩვენი საუბრის ნაწილი მე გავასაჯაროე, ნაწილს, თუ საჭირო გახდება, გავასაჯაროებ. მარგველაშვილს იმ შეკითხვებზე, რაც მე დავუსვი, პასუხი არ გაუცია“, – ასე გამოეხმაურა მარგველაშვილის თემას „გურიანიუსთან“ საუბარში ივანიშვილი.

ივანიშვილს არც ამჯერად გამოეხმაურა მარგველაშვილი. მის მაგივრად ადმინისტრაციის პოზიცია საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თინათინ მჟავანაძემ დააფიქსირა:

„გრიფის მოხსნა ხელს არ უშლიდა პროკურატურას, რომ გამოძიება ენარმოებინათ. მაგრამ ეს ხელს აძლევდა იმაში, რომ მას გაესაჯაროებინა და მოსახლეობისთვის ემცნო, რომ ისინი გამოძიებას აწარმოებდნენ 7 პიჯაკისა და სამი თუ ოთხი ქვითრის გამო. პრეზიდენტის პოზიცია იყო ის, რომ საქართველოს სახელმწიფო, რომელიც ყოფილ პრეზიდენტს 7 პიჯაკისა და სუშის ქვითრის გამო დევნის, დამეთანხმებით, სათანადოდ არ გამოიყურება...“

დაპირისპირებაში ახალი კრიზისი „დაემთხვა“ „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის მიღებას პარლამენტში, პრეზიდენტმა პარალელურად მმართველ კოალიციას საარჩევნო დაპირება შეახსენა, კერძოდ კი, მაჟორიტარული სისტემის გაუქმება:

„დავიწყოთ იმ ერთიანი პოლიტიკური ვალდებულებით, ვინც ოპოზიციაში ვიყავით და ვინც გაერთიანებული ვიყავით „ქართული ოცნების“ ირგვლივ და მერე ვინც ავიღეთ პასუხისმგებლობა ამ ქვეყნის მართვაზე, რაც გვაერთიანებდა. „ქართული ოცნების“ საარჩევნო დოკუმენტებში ნათლად იყო საუბარი იმის თაობაზე, რომ მაჟორიტარული სისტემა უნდა შეცვლილიყო და უფრო სამართლიანი საარჩევნო სისტემა უნდა შეგვექმნა. მეტიც, არაერთი ჩემი მეგობარი და კოლეგა, რომელიც დღეს ჩვენი უმრავლესობის რიგებშია, გმირულად, სხვათა შორის, თავისი სიცოცხლის რისკის ფასად, წლების განმავლობაში იბრძოდა ამ მიმართულებით ცვლილებებისთვის. ამ თვალსაზრისით, არიან იქ ადამიანები, ინდივიდები, ვინც ამას აკეთებენ და, აგრეთვე, პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც, როგორ პოლიტიკურ პარტიებს, ამ მიმართულებით თავიანთი პოზიცია აქვთ დაფიქსირებული“.

პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი ხელისუფლებას მუდმივად მოუწოდებს წინასაარჩევნო დანაპირების შესრულებისკენ.

ანუ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან ბიძინა ივანიშვილს საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსმა უპასუხა. ესეც ერთგვარი დამოკიდებულებაა.

ლევან ალაფიშვილის შეფასებით, პრეზიდენტისთვის იოლია დაპირებებზე საუბარი, რადგანაც მას არავითარი პასუხისმგებლობა არ აქვს, ხელისუფლება კი რთული გამოწვევების წინაშე დგას.

მისივე განმარტებით, მარგველაშვილს წარმოდგენილი აქვს საკუთარი როლი და მისია და ის თავისი მესიჯებითა თუ ოპონირებით სწორედ ამ როლს თამაშობს. ალაფიშვილი არ აკონკრეტებს, თუმცა, ბევრისთვის მარგველაშვილის როლი ნაციონალების დახმარებაა საკუთარი გუნდის წინააღმდეგ. ეს ისეთივე სვლაა, როგორც შეგნებული ავტოგოლი ფეხბურთში.

თუმცა, ექსპერტები ვერ თანხმდებიან, რატომ სჭირდება პრეზიდენტს როლის თამაში და პოპულისტური ნაბიჯების გადადგმა. ზოგი დარწმუნებულია რომ ის პოლიტიკაში ჩაერთვება და 2016 წელს არჩევნებშიც მიღებს მონაწილეობას, ზოგიც მიიჩნევს, რომ ის, უბრალოდ, პრეზიდენტის ინსტიტუტის გაძლიერებას ემსახურება.

ოპოზიციაში მარგველაშვილის პოლიტიკურ ბატალიებში ჩართვას ძალიან ბევრი ელოდება.

ვალერი გელბახიანის აზრით, მარგველაშვილი პოლიტიკაში აუცილებლად ჩაერთვება, ოპოზიცია კი შემოდგომაზე თბილისს ააბუნტებს, მიზეზი ბევრია, სოციალურიდან დაწყებული და პოლიტიკურით დასრულებული.

ასე რომ, კონფლიქტი, რომელიც რეზიდენციაში მარგველაშვილის „შეპარვით“ დაიწყო, დღემდე გრძელდება და ჯერ კიდევ არავინ იცის, რა ფორმებს მიიღებს ის. ბობოხიძის შემდეგ იქნებიან თუ არა ნაციონალების სხვა ლიდერები, ამაზე კომენტარს ნაციონალები არ აკეთებენ. კულუარებში ითქვა, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ვალერი გელბახიანი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტთან ამ თემებით უცხოელი სტუმრებიც შედიან და მათ გაითავისუფლებას ურჩევენ. მისი აზრით, მათი შეწყალება ლოგიკური იქნება.

ლევან ალაფიშვილიც მიიჩნევს, რომ, თუკი იურიდიული პროცედურები დაცული იქნება, პრეზიდენტი დიდი ალბათობით მათ შეიწყალებს. თუმცა, ექსპერტების აზრით, ეს პროცესი შეიძლება დროში ძალიან გაიწელოს, იქიდან გამომდინარე, რომ მათ წინააღმდეგ ერთი და ორი კი არა, რამდენიმე საქმეა აღძრული.

...ყრდენს ეძებს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კახა კალაძე - სახელმწიფო ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში უნდა ჩაერიოს

„ძალიან ოპტიმისტურად ვართ განწყობილები, რომ უახლოეს მომავალში შევძლებთ იმპორტის სრულად ჩანაცვლებას და მეტიც, ექსპორტის განხორციელებას“

„ლევან კობიაშვილს სახელმწიფოს საპიარო რა სჭირს“

„ის, რაც ხდება ფეხბურთის ფედერაციაში, ის ჭაობი, რაც არის, ერთიანი ძალისხმევით უნდა დავასრულოთ“

„მგონი, სერიოზულ თემებზე ვსაუბრობთ. ჯონდიზე საუბარი მიზანშეწონილი არ მგონია“

EXCLUSIVE

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, მალე საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ცნობილია, რომ მოქმედი ხელმძღვანელობიდან კენჭს გენერალური მდივანი, რეზი არველაძე იყრის, მისი კონკურენტი კი ლევან კობიაშვილი იქნება, რომელსაც, ზურგს სახელმწიფო უმაგრებს. ჩაერევა თუ არა სახელმწიფო არჩევნებში და დაიწყო თუ არა სახელმწიფომ ღიად კობიაშვილის პიარი. „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ კახა კალაძესთან - ფეხბურთზე, ელექტროენერგიის ტარიფებზე, ჯონდი ბაღათურიაზე და პრეზიდენტზე.

-ახალი თბოელექტროსადგურის ამუშავების შედეგად, შეძლებს თუ არა საქართველო ელექტროენერგიის ექსპორტს?

- ძალიან მნიშვნელოვნი პროექტია. ეს არის 237მგვტ სიმძლავრის კომბინირებული ციკლი. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ პროექტით ჩვენ ვანაცვლებთ ძველ თბოსადგურებს, რომლებიც დღემდე იყო, საბჭოთა კავშირის დროს აშენებული და რომელსაც აბსოლუტური სამუშაო ცვეთა აქვს, არ შეესაბამება იმ სტანდარტებს, რასაც თანამედროვეობა ჰქვია. ჩვენ, შევძლებთ, იგივე მოცულობის გაზით, 30%-ით მეტი ელექტროენერგია იქნეს გამომუშავებული სისტემისთვის. ეს ენერგეტიკის მდგრადობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხელა ელექტროენერგიის ექსპორტს, რეალურად გვაქვს იმის შანსი, რომ უახლოეს მომავალში, საქართველო გახდეს, ნამდვილად, ენერგეტიკულად დამოუკიდებელი ქვეყანა და არა მარტო შევძლოთ შიდამოხმარების დაკმაყოფილება, სრულად, არამედ, ექსპორტის წარმოებაც. ჩვენ, სექტემბრიდან, მარტის ჩათვლით გვიწევს ელექტროენერგიის იმპორტი მეზობელი ქვეყნებისგან, რაც ძალიან მძიმეა ჩვენი ენერგოსისტემისთვის, თუმცა, ძალიან ოპტიმისტურად ვართ განწყობილები, რომ უახლოეს მომავალში შევძლებთ იმპორტის სრულად ჩანაცვლებას და მეტიც, ექსპორტის განხორციელებას.

- ელექტროენერგიის ტარიფის გაძვირების შემთხვევაში რა სუფსიდირებას გეგმავს სახელმწიფო?

- სემეკში იმსჯელებენ ტარიფებთან დაკავშირებით და ამის შემდეგ შეგვიძლია შეფასებების გაკეთება. სუბსიდირების თემაზე მთავრობა იმსჯელებს, ეს ენერგეტიკის სამინისტროს გადასაწყვეტი არაა.

- თბოელექტროსადგურებთან დაკავშირებით, თქვენს ინტერესებზე საუბრობს ჯონდი ბაღათურია, როგორ უპასუხებთ ამ ბრალდებებს, ვისი ინტერესები იკვეთება რეალურად?

- მგონი, სერიოზულ თემებზე ვსაუბრობთ. ჯონდიზე საუბარი მიზანშეწონილი არ მგონია.

- პრეზიდენტმა, სამთავრობო გუნდს, წინასაარჩევნო დაპირება შეახსენა, რომ გაუქმდებოდა მაჟორიტარული სისტემა...

- პრეზიდენტი ისე საუბრობს, თითქოს, ამ გუნდის წევრი არ იყოს. გიორგი მარგველაშვილი რომ პრეზიდენტი გახდა, ეს არის იმ გუნდის დამსახურება, რომელსაც „ქართული ოცნება“ და პირადად, ბიძინა ივანიშვილი ჰქვია. რომელიც ბავშვივით დაატარებდა პრეზიდენტს, მთელი წინასაარჩევნო პროცესი. რაც შეეხება დაპირებას, ყველა დაპირება, რაც იყო გაცემული, სრულდება, ან შესრულების პროცესშია და აუცილებლად შესრულდება. ეს არ არის პრობლემა. რაც შეეხება საარჩევნო სისტემის ცვლილებას, იცით, რომ სარჩელი იყო შეტანილი საკონსტიტუციო სასამართლოში და ამ მიმართულებით პარლამენტი მუშაობს. ის ცვლილება მაშინ განხორციელდება, როდესაც სარჩელი იქნება დაკმაყოფილებული. 2020 წლისთვის, სრულიად კონსტიტუციაში მოხდება ცვლილება, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის, ის რეფორმები, რომელიც განვახორციელეთ, თუნდაც ადგილობრივ თვითმმართველობებთან, საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, ამ საარჩევნო სისტემისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

- რუსეთი ქართული ტერიტორიების ანექსიას და ქართული კულტურის ძეგლების ნგრევას აგრძელებს, რით უპასუხებს საქართველო?

- მაქსიმალურად ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა, ჩვენი მეგობარი ქვეყნები, ევროპული სტრატეგიული ქვეყნები, ევროპელი დიპლომატები ჩავაყენოთ საქმის კურსში, მივანოდოთ არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია საოკუპაციო ხაზთან დაკავშირებით. მოვისმინეთ გზავნილები მაშინ, როდესაც ბატონო ტუსკი იმყოფებოდა საქართველოში და დადებითი შეფასება მისცა საქართველოს მთავრობის რეაქციის გონივრულობას ამ კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით.

- ფეხბურთზეც მინდა გკითხოთ. მალე ფედერაციაში საპრეზიდენტო არჩევნები იქნება. პრემიერმა ლევან კობიაშვილი ოლიმპიური სოფლის მერად წარადგინა, ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ღიად ჩაერთო მის პიარ-კამპანიაში?

- ლევან კობიაშვილს სახელმწიფოს საპიარო რა სჭირს. ბევრ რაღაცას ილაპარაკებენ.

- ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ გადაცემაში კობიაშვილის სახელი თქვენსას დაუკავშირეს და განაცხადეს, რომ ის სამთავრობო კანდიდატია და სახელმწიფო არჩევნებში ჩაერევა. ჩაერევა სახელმწიფო არჩევნებში?

- სახელმწიფო უნდა ჩაერიოს. რომ არ ჩაერიოს, ეს იქნება დანაშაული და პრობლემა. სახელმწიფო, ყოველწლიურად, დაახლოებით, 40 მილიონზე მეტს ხარჯავს ქართულ ფეხბურთში. დღეს, ეტყობა ქართულ ფეხბურთს რაიმე, რომ 40 მილიონი ლარი იხარჯება? ის, რაც ხდება ფეხბურთის ფედერაციაში, ის ჭაობი, რაც არის, უნდა დავასრულოთ ერთიანი ძალისხმევით. უნდა იყოს ჩართული არამარტო ხელისუფლება, მთლიანად, საფეხბურთო სამყარო, გულშემატკივარი, რადგან ის მძიმე მდგომარეობა, წლებია მოგვდევს და ყოველ წელს იქმნება შთაბეჭდილება, რომ მომავალი წელი იქნება კარგი, გვექნება სიახლე, განვითარდებით, პირიქით, ჭაობში მივდივართ. ეს არის ძალიან მძიმე და უნდა შევცვალოთ.

- ლევან კობიაშვილის ფეხბურთის განვითარების პროგრამა იქნება ის პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო მხარს დაუჭერს?

- არ ვიცი. აქ პიროვნებები არ არიან, ლევან კობიაშვილი ან რეზი არველაძე. პიროვნებებს მხარს არავინ უჭერს. ყველას შეუძლია წარმოადგინოს თავის კანდიდატურა, ვისაც სურვილი ექნება და იყაროს კენჭი, გინდა რეზი არველაძე იყოს, გინდა ზვიად სიჭინავა და ლევან კობიაშვილი. წარმოადგინონ პროექტი და შესაბამისად, იქნება განხილული.

„გიორგი მარგველაშვილი რომ პრეზიდენტი გახდა, ეს არის იმ გუნდის დამსახურება, რომელსაც „ქართული ოცნება“ და პირადად, ბიძინა ივანიშვილი ჰქვია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

ერთად დავამარცხოთ ჰეპატიტი C

28 – 29 ივლისს ჩაიტარე ჰეპატიტ C-ზე უფასო ტესტი



ჰეპატიტი C განკურნებადია!

თბილისი

- თბილისის ამბულატორიული ცენტრი
  ვაჟა ფშაველას გამზ. № 40
- ზემი კლინიკა
  ნუცუბიძის ქ. № 201

იმერეთი

- დასავლეთ საქართველოს ონკოლოგიის ცენტრი
  ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა № 83ა
- ტყიბულის ჰოსპიტალი
  ტყიბული, თაბუკაშვილის ქუჩა № 10
- წყალტუბოს ჰოსპიტალი
  წყალტუბო, ერისთავის ქ. №16
- თერჯოლის ჰოსპიტალი
  თერჯოლა, რუსთაველის ქ. №69
- ხონის ჰოსპიტალი
  ხონი, სოლომონ მეორის ქ. №17

აჭარა

- ხულოს ჰოსპიტალი
  ხულო, აღმაშენებლის ქ. № 1
- შუახევის ჰოსპიტალი
  დაბა შუახევი, რუსთაველის ქ. № 32
- ქედას ჰოსპიტალი
  დაბა ქედა, რუსთაველის ქ. №14

კახეთი

- თელავის ამბულატორიული ცენტრი
  თელავი, გ. არსენიშვილის ქ. № 15
- ყვარლის ჰოსპიტალი
  ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. "ნაბაღრები"
- ახმეტის ჰოსპიტალი
  ახმეტა, რუსთაველის ქ.
  სპორტდარბაზის ტერიტორია

სამეგრელო

- აბაშის ჰოსპიტალი
  აბაშა, თავისუფლების ქ. № 141
- ფოთის ამბულატორიული ცენტრი
  ფოთი, გამსახურდიას ქ. № 6
- მარტვილის ჰოსპიტალი
  მარტვილი, მშვიდობის ქ. № 111
- ჩხოროწყუს ჰოსპიტალი
  ჩხოროწყუს რაიონი, აღმაშენებლის ქ. №19
- წალენჯიხის ჰოსპიტალი
  წალენჯიხა, ჭურღულიას ქ. № 6
- ხობის ჰოსპიტალი
  ხობი, ჭყონდიდელის ქ. №2

სამცხე-ჯავახეთი

- ახალქალაქის ჰოსპიტალი
  ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის ქ. №31
- ნინოწმინდას ჰოსპიტალი
  ნინოწმინდა,თავისუფლების ქ. № 48
- ადიგენის ჰოსპიტალი
  დაბა ადიგენი, ბალახაშვილის ქ. №11

+995 32 2 55 05 05 www.evex.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მრეწველების“ ინტერესები

„მკვლელობის შემკვეთად ნემსიწვერიძეების დასახელების სანაცვლოდ, „მრეწველების“ წარმომადგენელი ოჯახს დიდ ფულს სთავაზობდა“

ზურაბ ტყემალაძე: „ჩემი ბიზნესპარტნიორი არასდროს ყოფილა. ის არის ჩვენი პარტიის ნევრი. რა დემაგოგიას ეწევა რომან გოცირიძე, სულ არ მაინტერესებს“

მირიან ბოქოლიშვილი

„ინტელექტბანკის“ გაკოტრების საქმეზე გამოძიება ინტენსიურ ფაზაში გადადის. როგორც „პრაიმტაიმს“ მთავარ პროკურატურაში განუცხადეს, ძიება „სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში“ მიმდინარეობს, სადაც ამ ეტაპზე „ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და მტკიცებულებების მოძიების პროცესი გრძელდება“.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, შესაძლოა, ამ საქმეზე პროკურატურაში გენერალური აუდიტორის მოადგილე, დევი ვეფხვაძე გამოიძახონ, რომელიც 1993 წლიდან 2006 წლამდე „ინტელექტბანკის“ გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ. როგორც ჩვენი წყარო გვიყვება, ვეფხვაძე პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის ქვისლია და „ინტელექტბანკის“ გაკოტრების შემდეგ, სწორედ ბაქრაძის ინიციატივით, კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა. დევი ვეფხვაძე ამჟამადაც ამ უწყების მაღალჩინოსანია. თავის დროზე გენერალურმა აუდიტორმა თითქმის ყველა მოადგილე შეცვალა, გარდა დევი ვეფხვაძისა.

როგორც ჩანს, ლაშა თორდიას ბაქრაძის ახლო ნათესავის მიმართ კითხვები არ აქვს, თუმცა დიდი ალბათობით, მას კითხვებს პროკურატურაში დაუსვამენ, მანამდე კი „პრაიმტაიმი“ შეეცადა, გაერკვია, რა ინფორმაცია აქვს დევი ვეფხვაძეს „ინტელექტბანკის“ გაკოტრების შესახებ და როგორ გადადიოდა ეს საფინანსო ორგანიზაცია პოლიტიკური ელიტის ხელიდან ხელში?

სამწუხაროდ, თავად ვეფხვაძესთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. აუდიტის სამსახურში განგვიმარტეს, რომ გადატვირთული გრაფიკის გამო, გენერალური აუდიტორის მოადგილე ჩვენთან გასაუბრებას ვერ შეძლებდა.

არადა, უდავოდ საინტერესო იქნებოდა, თავად ყოფილი გენერალური დირექტორისგან მოგვესმინა ბანკის ირგვლივ არსებული პოლიტიკური სკანდალები, რომელიც ამ ორგანიზაციას დაარსების დღიდან ნამდვილად არ აკლდა.

ცნობილია, რომ საგამოძიებო ორგანო ერთდროულად იძიებს რამდენიმე ბანკის წართმევასთან დაკავშირებულ საქმეს. პარალელურად ეს თემა შიგა და შიგ პოლიტიკური სპეკულაციების საფუძველიც ხდება. კონკრეტულად „ინტელექტბანკთან“ დაკავშირებულ პოლიტიკურ კამპანიას აშკარა მედროშეობას ფრაქცია „მრეწველები“ და ზურაბ ტყემალაძე უწევენ. ამ მედროშეობის უკან კი რამდენიმე მნიშვნელოვანი და დასკვნების გამოსატანად საინტერესო ფაქტი იმალება.

ცნობილია, რომ ეს ბანკი ჯერ „ტრადიციონალისტებისა“ და შევარდნაძის ეკონომიკური მრჩევლის, თემურ ბასილიას პოლიტკონტროლის ქვეშ იყო. სწორედ ამ საქმეზე გაასამართლა სააკაშვილის ხელისუფლებამ თემურ ბასილია, რომელიც ამჟამადაც ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით იძებნება. ბასილიას პროკურატურა სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის გადამეტებას, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებასა და ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, არაერთგზის ჩადენილ თაღლითობაში დამხმარის სახით მონაწილეობას სდებდა ბრალად.

სასამართლოს განაჩენს საფუძვლად დაედო მოწმეთა ჩვენებები და წერილობითი მტკიცებულებები, რომელთა თანახმადაც დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ თემურ ბასილია, სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით, ახორციელებდა „ინტელექტბანკის“ სამსახურებრივ მფარველობას, აგვარებდა ბანკსა და საგადასახადო ორგანოებს შორის წარმოშობილ სადავო საკითხებს, ლობირებდა ბანკს გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების მიღებაში. ბასილიას ბანკის აქციები ფორმალურად გაფორმებული ჰქონდა ახლობლების, სიმამრის, სიძისა და ბიძაშვილის სახელზე, რომელთა სახელით ბანკის აქციების შესაძენად გადახდილი ჰქონდა 44.800 ლარი, თუმცა რეალურად გაფორმებული ჰქონდა 447.000 ლარის აქციები. მან მხოლოდ აქციებით ბანკისგან, ქრთამის სახით, მიიღო 403.200 ლარი. გამოძიების მიერ მოპოვებული იქნა ბანკის აქციონერთა ე.წ. „არაოფიციალური სია“, რომლის ნამდვილობა და სისწორე დაადასტურა ბანკის ხელმძღვანელობამ და რომლის თანახმადაც დადგენილია, რომ ბანკის აქციონერი რეალურად იყო თემურ ბასილია. ამავდროულად სს „ინტელექტბანკის“ მიერ ბასილიას უფროსი შვილის, ალექსანდრე ბასილიას დიდ ბრიტანეთში სწავლის საფასურად გადაირიცხა თანხები, რომელთა საერთო ოდენობამ 23758 ფუნტი სტერლინგი შეადგინა, ხოლო უმცროსი შვილის, გივი ბასილიას ავსტრიაში სწავლის საფასურად ამავე ბანკის მიერ გადაირიცხა 29830 ევრო. ბანკი გაწეული მფარველობის სანაცვლოდ, ასევე, ახდენდა თემურ ბასილიას კუთვნილ საბარათე ანგარიშზე თანხების დარიცხვას, რომელმაც შეადგინა 6528,20 აშშ დოლარი და 1555,24 ევრო.

ამბობენ, რომ ეს ბანკი თავის დროზე მრეწველების პოლიტიკურ გავლენასაც განიცდიდა. აქვე საინტერესოა ქუთაისელი ძმების – ნემსიწვერიძეების ისტორიაც... საქმე ის გახლავთ, რომ მიხეილ და ვალერი ნემსიწვერიძეები, ყოფილ პარლამენტარ (ფრაქცია „მრეწველები“) კახა გიუაშვილთან ერთად, ბანკის დამფუძნებლები გახლდნენ. მათ რამდენიმე წლის განმავლობაში საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდათ. ეს ურთიერთობა კი მას შემდეგ დაიძაბა, როდესაც სათავო ბანკის შიდა აუდიტის ჩატარების შედეგად გამოვლენილი ზარალის ანაზღაურება პარლამენტარმა ნემსიწვერიძეებს დააკისრა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ „მრეწველების“ მფარველობის ქვეშ მყოფმა გიუაშვილმა ძმები ნემსიწვერიძეები განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააპატიმრებინა.

მოკლედ, 2004 წლის 13 მაისს დილის 9 საათზე სამართალდამცავებმა იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით მოქალაქე დავით მინდაძე დააკავეს. მოგვიანებით, ბრალდება შეიცვალა და მინდაძეს ბრალი დასდეს პარლამენტარ კახა გიუაშვილის განზრახ მკვლელობის მცდელობაში, რომელიც თითქოს სააქციო საზოგადოება „ინტელექტბანკის“ ბათუმის ფილიალის მმართველმა მიხეილ ნემსიწვერიძემ და მისმა ძმამ, ვალერი ნემსიწვერიძემ შეუკვეთეს. შედეგად, იმავე საღამოს დააკავეს ძმები ნემსიწვერიძეებიც.

იმდროინდელი პრესა წერდა, რომ მინდაძის მიერ დანაშაულის აღიარება და ჩვენების ჩამორთმევა საეჭვო ვითარებაში მოხდა. კერძოდ, აღიარებითი ჩვენება დაწერილია არა დაკავებულის, არამედ გამომძიებელი პეტრე ბალახაშვილის მიერ, რასაც თვითონაც არ უარყოფს, რადგან მისი თქმით, დაკავებული ცუდად იყო და მას მოსასულიერებლად წყალს ასხამდნენ. დათო მინდაძეს უარი უთხრეს ნათესავებთან დაკავშირებაზე და არც ადვოკატი მოაყვანინეს. მოგვიანებით მინდაძემ ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ „აღიარება“ ზეწოლის შედეგად დააწერინეს. მისი მეუღლე კი ირწმუნებოდა, რომ „მკვლელობის შემკვეთად ნემსიწვერიძეების დასახელების სანაცვლოდ, „მრეწველების“ წარმომადგენელი კახა გიუაშვილი ოჯახს დიდ ფულს სთავაზობდა“.

ამბობენ, რომ მაშინ გიუაშვილს აქტიურად უჭერდნენ მხარს მისი თანაპარტიელები. ეს საკითხი დღესაც „მრეწველებმა“ წამოსწიეს და შესაბამისად, გაჩნდა კითხვა – რა ინტერესი აქვს გოგი თოფაძის პარტიას? ამ კითხვას გარკვეულწილად პასუხს სცემს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი რომან გოცირიძე, რომლის ინფორმაციითაც ამ ამბის წამოწევით ხსენებულ ჯგუფს ფულის შოვნა უნდა.

„ორმაგი ბუღალტერია ჰქონდათ და მთავარმა დამფუძნებელმა, დეპუტატმა გიუაშვილმა მიიყვანა ბანკი ამ დღემდე. თვითონ იმალება და ხმას არ იღებს. მოუწევს. მაშინ გადარჩა დაპატიმრებას. დეპუტატის იმუნიტეტი იცავდა და ზურაბ ტყემალაძე თავისი ფრაქციით. ტყემალაძის ფრაქცია კი „ნაციონალურ მოძრაობას“ სჭირდებოდა ხმებისთვის პარლამენტში. ახლა მოუწევს ახსნა, ვინ დაავალა ბუღალტრებსა და დირექტორებს, ეწარმოებინათ ორმაგი ბალანსი და ეტყუებინათ ეროვნული ბანკი, აქციონერები და მეანაბრეები, რომ ყველაფერი რიგზეა. სინამდვილეში კი მათი ფულები საკუთარ ფირმებში გადაქაჩეს და 36 ათასი მეანაბრე გაკოტრებამდე მიიყვანეს. ჩვენ გადავურჩინეთ ამ ხალხს ქონება. სხვათა შორის, მთავარი დადებითი როლი ამ პროცესში მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ითამაშა. ის წარმართავდა ბანკის გადარჩენის პროცესს, რადგან მდგომარეობა უმძიმესი იყო და მთავრობის გარეშე კრახი გარდაუვალი იყო. ამას მთელი საბანკო სისტემის აყირავება მოჰყვებოდა. მან დაითანხმა „საქართველოს ბანკი“, რომ მიეერთებინა რამდენიმე ათეული მილიონის ზარალის მქონე გაკოტრებული „ინტელექტბანკი“, – იხსენებს რომან გოცირიძე.

მისივე ინფორმაციით, თავის დროზე ბიზნესმენმა დავით ბეჟუ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ინტელექტბანკის“ საქმეში

რატომ იბრძვის ზურაბ ტყემალაძე და დაკითხავს თუ არა პროკურატურა დავით ბაქრაძის ძვისლს?

„ვეფხვაძე პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის ქვისლია და „ინტელექტბანკის“ გაკოტრების შემდეგ, სწორედ ბაქრაძის ინიციატივით, კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა. დევი ვეფხვაძე ამჟამადაც ამ უწყების მაღალჩინოსანია“

EXCLUSIVE

აშვილმა ჩამოიყვანა უკრაინელი ინვესტორები. ფულის ნაწილიც გადმორიცხეს, მაგრამ, როგორც კი ბანკის დოკუმენტაციას გაეცნენ, ამ ბიზნესპროექტზე უარი თქვეს და უკან გაბრუნდნენ.

„უკრაინელებს კრიმინალი და ნაგავი შერჩათ ხელში. არ ჯდება ვიღაცების სქემაში მათი გვარების ხსენება. ამ ამბების წამოწევით ფულის შოვნა უნდათ. გარწმუნებთ, არ გამოვა. აი, ციხეს კი შეიძლება გამოჰკრან ხელი. შეიძლება იმათაც, ვინც ამ საქმეს არასწორ მიმართულებას მისცემს... ცუდი თამაში წამოიწყო ზურაბ ტყემალაძემ. ჯერ პარლამენტში შეაგდო ვითომ შემთხვევით ეს თემა. პროკურატურასაც მაგარ შარში ხვევენ. ვინც ამ საქმეს არასწორად გამოიძიებს, ადრე თუ გვიან, სასჯელი არ ასცდება. იმედი მაქვს, ამას აცნობიერებენ. უფრო მეტიც, ახალი გარემოებების გამო საქმე უნდა აღიძრას ბანკის მთავარ მეპატრონეზე, კახა გიუაშვილზე. ვინ დაავალა დირექტორებს საბუთების გაყალბება? ამის დამტკიცება ელემენტარულია. საბანკო დოკუმენტაციას ვერ გაანადგურებ. ყველაფერი შენახულია.

თუ არ აღძრავენ საქმეს, ესეც დანაშაულია. რატომ აფარებენ ხელს? ტყემალაძის გამო? კახა გიუაშვილის – ტყემალაძის ბიზნესპარტნიორის გამო? მერე ამ გამომძიებლებსა და პროკურორებს ხომ მოჰკითხავენ? გადავხედოთ, რას გვასწავლის საქართველოს ბოლო პერიოდის ისტორია.

ისე, საინტერესოა, საერთოდ თუ დაკითხეს კახა გიუაშვილი? ან ზურაბ ტყემალაძე, რომელსაც ჰქონდა ამ ბანკთან საკმაო შეხება? ამათ უნდათ ფული ან ბიუჯეტს წაართვან, ან „საქართველოს ბანკს“. ამით აიმედებენ ამ თემის აქტივისტებს და როგორც ჩანს, რაღაცებს ჰპირდებიან. გინდათ, ფულს ხელი გამოჰკრათ, ტყემალაძევ და კომპანიავ? სხვა რამეს არ გამოჰკრათ! გპირდებით, ასე იქნება, თუ დროზე არ მოეგეთ გონს“, – ამბობს რომან გოცირიძე.

ჩვენ ამ საკითხზე ზურაბ ტყემალაძესაც დავუკავშირდით, რომელმაც ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის ინფორმაციას „სისულელე“ უწოდა და აღნიშნა, რომ არც მას და არც კახა გიუაშვილს „ინტელექტბანკის“ გაკოტრებასთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ.

ზურაბ ტყემალაძე, ფრაქცია „მრეწველები“:

– გიუაშვილი ჩემი ბიზნესპარტნიორი არასდროს ყოფილა და არც არის. ის არის ჩვენი პარტიის წევრი და გახლდათ ჩვენი ფრაქციის დეპუტატი. მან პოლიტიკური საქმიანობა პარლამენტში 2003 წელს დაასრულა და „ინტელექტბანკის“ ირგვლივ მოვლენები მოგვიანებით წარიმართა. რა დემაგოგიას ეწევა რომან გოცირიძე, სულ არ მაინტერესებს.

– გიუაშვილის ბრალეულობას გამორიცხავთ?

– ვის რა დანაშაული მიუძღვის, ამას გამოძიება დაადგენს. რა თქმა უნდა, „ინტელექტბანკში“ გიუაშვილის პასუხისმგებლობა არ იკვეთება. ეს არის ჩემი აზრი, დანარჩენი პროკურატურის დასადგენია.

– ითქვა, რომ პარლამენტში სწორედ თქვენ წამოსწიეთ ეს საქმე და გამოძიებასაც „მრეწველები“ ლობირებთ...

– მე არაფერი წამომიწევია. მე, რა თქმა უნდა, პარლამენტში ვთქვი, რომ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი და ვისაუბრე ეროვნული ბანკის მოქმედ პრეზიდენტზე, რომელიც მაშინ ბანკის გაკოტრების პროცესს ხელმძღვანელობდა.

– ამჟამად გიუაშვილი რას საქმიანობს?

– ბიზნესმენი კაცია. მას ბიზნესი აქვს როგორც საქართველოში, ისე საბერძნეთში.

რომან გოცირიძე: „ფულის შოვნა უნდათ. გარწმუნებთ, არ გამოვა. აი, ციხეს კი შეიძლება, გამოჰკრან ხელი. ცუდი თამაში წამოიწყო ზურაბ ტყემალაძემ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„წიგნი ყველა სოფელს“ - საგანმანათლებლო საქველმოქმედო პროექტის ახალი ეტაპი დაიწყო

ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საგანმანათლებლო საქველმოქმედო პროექტის - „წიგნი ყველა სოფელს“ ახალი ეტაპი დაიწყო. პროექტის მეორე ეტაპის საპრეზენტაციო ღონისძიება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო.

„წიგნი ყველა სოფელს“ - არასამთავრობო, სახელმწიფო, საქართველოს საპატრიარქოს, ახალგაზრდული მოძრაობა დავითიანნის, ბიზნეს სექტორის ერთიანი ძალისხმევით და ორგანიზაცია „სტუდენტური ერთიანობის“ ინიციატივით ხორციელდება. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის, „ვისოლ ჯგუფის“, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის, „პალიტრა L“-ის, „სულაკაურის გამომცემლობის“ და საქველმოქმედი საზოგადოების მხარდაჭერით ქვემო ქართლის, რაჭა-ლეჩხუმის, ფშავ-ხევსურეთისა და იმერეთის სოფლების სასკოლო თუ ცენტრალური ბიბლიოთეკები საჭირო წიგნებით მომარაგდება. შესაბამისად, პროექტი რეგიონალური ცენტრებიდან მოშორებით მდებარე სოფლების მოსახლეობაში წიგნის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

პრეზენტაციას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი დაესწრო. პროექტში მონაწილე პირებმა და ორგანიზაციებმა გასული წლის შედეგები შეაჯამეს და მომავალი გეგმების შესახებ ისაუბრეს. მათი ინფორმაციით, პროექტის პირველ ეტაპზე, ქვეყნის სხვადასხვა რაიონში, 50-ზე მეტ ბიბლიოთეკას 15 000-მდე წიგნი გადაეცა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ტარიელ ხეჩიკაშვილის თქმით, პროექტი ფინანსდება სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ. მისივე თქმით, წიგნი ყველა სოფელში აუცილებელია. მინისტრმა ყველა პარტნიორ კომპანიასა და მონაწილე ახალგაზრდას მადლობა გადაუხადა. როგორც მან აღნიშნა, დარწმუნებულია, რომ პროექტი უფრო მასშტაბური გახდება.

პროექტის ფარგლებში, მთელი თბილისის მასშტაბით, მიმდინარეობს წიგნების შეგროვების პროცესი. სპეციალური ყუთები განთავსებულია „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურებზე, სუპერმარკეტების ქსელ „სმარტის“, ამერიკული რესტორნების ქსელ „ვენდის“, და „დანკინ დონატსის“ რესტორნებში. ასევე, ყუთები განთავსებულია შემდეგ ტაძრებში: წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, გლდანის ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, ვარკეთილის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი.

„ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტის სოსო ფხაკაძის თქმით, პროექტს გასულ წელს სწორედ ამ დროს ჩაეყარა საფუძველი და მის წარმატებაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ წელს მეორე ფაზა იწყება.

„მე არასოდეს დამავიწყდება ის ენთუზიაზმი, რასაც მომხმარებლების მხრიდან 1 წლის განმავლობაში ვხედავდით. ათასობით წიგნი შეგროვდა „ვისოლში“, „ვენდისში“, „სმარტში“, ახლა უკვე „დანკინ დონატსი“ დავამატეთ. ბუნებრივია, იგივე ენთუზიაზმით გავაგრძელებთ, როგორც ვიყავით ერთი წლის წინ“, - განაცხადა სოსო ფხაკაძემ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის, გიორგი კეკელიძის თქმით, პროექტის მონაწილეები ცდილობენ, რომ მოიცვან ყველა არსებული ბიბლიოთეკა სოფლებში და ხელი შეუწყონ დახურული ბიბლიოთეკების აღდგენასა და მათ მომარაგებას.

„ბუნებრივია, ამას მოჰყვება სხვადასხვა ინიციატივები, ბიბლიოთეკარების გადამზადება, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა და ა.შ.“, - განაცხადა გიორგი კეკელიძემ.

რეგიონების მოსახლეობისთვის წიგნების მიწოდებაზე „მოსიარულე ბიბლიოთეკა“ სპეციალური ავტობუსი ზრუნავს, რომელიც საქართველოს დიდ ქალაქებში გაჩერდება და დაგეგმილი ღონისძიებებისა და ცნობილი მწერლების დახმარებით იქაურ მოსახლეობასაც საშუალებას მისცემს გააჩუქონ წიგნები და ჩაერთონ საგანმანათლებლო პროექტში.

„წიგნი ყველა სოფელს“ გრძელვადიანი პროექტია და მაღალმთიანი სოფლების მწირი სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნის ფონდის გამდიდრებას ისახავს მიზნად.

„წიგნი ყველა სოფელს“ პროექტის თანაორგანიზატორის - „ვისოლ ჯგუფისთვის“ 22 ივლისი მნიშვნელოვანი იმითაც იყო, რომ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზე მდებარე „დასვენებისა და მომსახურების კომპლექსში“ კომპანიამ „ვენდისისა“ და „დანკინ დონატსის“ რესტორნები გახსნა

„დასვენებისა და მომსახურების კომპლექსი“ „მულტიფუნქციურია და რამდენიმე მომსახურების ობიექტებს მოიცავს. ახალგახსნილ „ვენდისა“ და „დანკინ დონატსის“ რესტორნების გარდა აქ განთავსებულია „ვისოლის“ ავტო და გაზგასამართი სადგურები, „ვიანორის“ ავტომომსახურების ცენტრი, სუპერმარკეტი „სმარტი“ პროდუქტების ფართო არჩევანით და „სმარტ კაფე“ უგემრიელესი საკონდიტრო ნაწარმით. აქვე განთავსებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავაჭრო კუთხეც. კომპლექსის ტერიტორიაზე გამოყოფილია სატვირთო მანქანების, ავტობუსებისა და მსუბუქი მანქანების პარკირების ზონაც.

„ვენდისისა“ და „დანკინ დონატსის“ რესტორნები საზეიმოდ გახსნეს: გორის მერმა ზურაბ ჯირკველიშვილმა, „ვენდისის“ წარმომადგენელმა ამერიკიდან გაბორ ჰავრიმ და სოსო ფხაკაძემ.

„დღეს „ვისოლ ჯგუფში“ გამორჩეული დღეა, რადგან, პირველად დედაქალაქის გარეთ იხსნება „ვენდისი“ და „დანკინ დონატსი“, ეს ბრენდები, ეს რესტორნები დედაქალაქის გარდა სხვა ქალაქებშიც მიიტანენ ისეთ ხარისხს და ისეთ შედეგს, რაც დედაქალაქშია და ხარისხის ამ ნიშნით ჩვენ ყოველთვის გამორჩეულები ვიქნებით სხვა ბრენდებისგან, რადგან ეს არის ჩვენი ბიზნესის უკეთ კეთების პრინციპი.

და მეორე ფაქტორი არის ის, რომ შეიქმნა კიდევ ახალი 50 სამუშაო ადგილი და ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია“,- განაცხადა სოსო ფხაკაძემ.

„ვენდის“ ამერიკული რესტორნების ქსელის განვითარება „ვისოლ ჯგუფმა“ 2013 წელს დაიწყო და დღეს „ვენდის“ რესტორნები თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ვაკეში, სამების ტაძრის გვერდით და ჭავჭავაძის 36 ა-ში, ცინცაძის ქუჩა #37-ში და აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე მდებარეობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲗᲔᲛᲐ ᲖᲐᲠᲐᲕᲘ

რა ხდება სამშ

ᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲨᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲧᲝᲚᲘᲚᲘ ᲓᲔᲓᲔᲑᲘ

„ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲕᲘᲗᲮᲝᲕᲗ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲠᲝᲣᲚ ᲠᲔᲐᲒᲘᲠᲔᲑᲐᲡ“

მირიან ბოქოლიშვილი

„პრაიმტაიმის“ წინა ნომერში ვწერდით „იმედის კლინიკაში“ ახალშობილის ბუნდოვანი გარდაცვალების შესახებ, რომელსაც თავად ექიმებიც კი ვერანაირ ახსნას ვერ უძებნიან. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ რედაქციასა და სოციალურ ქსელში უამრავი მოქალაქე დაგვიკავშირდა, ვინც დაახლოებით ანალოგიურ პრობლემებზე საუბრობდა. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ეს თემა უფრო სიღრმისეულად გაგვეანალიზებინა და გაგვერკვია, რეალურად რა ხდება ქვეყნის მასშტაბით არსებულ სამშობიარო დაწესებულებებში? რამდენად ადეკვატურია რეაგირება ექიმების დარღვევებზე და როგორია მშობიარობის დროს დედებისა და ჩვილების გარდაცვალების სტატისტიკა?

სანამ ამ კითხვებზე პასუხს გავცემთ და იმ გამოხმაურებებს გაგაცნობთ, რომელიც ზემოხსენებულ სტატიას მოჰყვა, მანამდე ორიოდე სიტყვით შეგახსენებთ „იმედის კლინიკაში“ მომხდარ ფაქტს, რაზეც პროკურატურამ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) დაიწყო. ახალშობილის გარდაცვალების ამ საქმეს ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოც სწავლობს.

შემთხვევა 6 ივლისს მოხდა. გაბროშვილების ოჯახისთვის ეს პირველი შვილი უნდა ყოფილიყო. მას დიდი ხნის განმავლობაში ელოდნენ. 37 წლის მშობიარე, ქალბატონი ქეთევანი მთელი ორსულობის განმავლობაში კონსულტაციებს „იმედის კლინიკაში“ გადიოდა. ბოლო წუთამდე არც მას და არც ნაყოფს არავითარი პრობლემა არ ჰქონიათ. მდგომარეობა იმდენად საიმედო იყო, რომ ექიმმა ორსულთათვის სავალდებულო ვიტამინის დანიშვნაზეც კი თავი შეიკავა. ბუნებრივია, მკითხველს გაუჩნდება კითხვა – თუკი ყველაფერი რიგზე იყო, რამ გამოიწვია ახალშობილის სიკვდილი? სწორედ ეს არის კითხვა, რომელზეც პასუხი, უბრალოდ, არ არსებობს. ოჯახი მომხდარს ექიმების დაგვიანებულ რეაგირებას უკავშირებს, თავად სამედიცინო დაწესებულებაში კი არ იციან, რამ გამოიწვია ფატალური შედეგი.

„ეს იყო მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა“, – გვითხრა „იმედის კლინიკის“ ოპერაციული გინეკოლოგიის განყოფილების გამგემ, მეანგინეკოლოგმა იზა ბაჯელიძემ.

გარდაცვლილი ჩვილის ოჯახი კი კლინიკის პერსონალის დაუდევრობაზე საუბრობს და ირწმუნება, რომ ბავშვის გულისცემას სისტემატურად არ ამოწმებდნენ, კლინიკაში გაფუჭებულ აპარატს წინ და უკან დაატარებდნენ, რის გამოც დროული რეაგირება არ მოხდა და ბავშვს გული გაუჩერდა.

„მე ამას არავის შევარჩენ. წლების ნანატრი შვილი ხელიდან გამომაცალეს, მთელი ცხრა თვის განმავლობაში ბავშვს მუცელში ვეფერებოდი და ასეთი კატასტროფა დამატეხეს თავს“, – ამბობს გარდაცვლილი ჩვილის მამა.

ამ სტატიაზე არაერთი გამოხმაურება დასკვნების გამოსატანად საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციებს შეიცავს და ცალსახად სცემს პასუხს კითხვაზე – დაცულია თუ არა საქართველოში მშობიარე ქალთა სიცოცხლის უფლება? აი, რას გვწერენ ჩვენი მკითხველები:

„2011 წლის 21 მარტს მე შემემთხვა თითქმის იგივე. ბოლო მომენტამდე დაობდა ორი ექიმი, გულისცემა ჰქონდა თუ არა ბავშვს. ბოლოს ყველაფერი დამთავრდა... ვთვლი, რომ მღვდელსა და ექიმს შეცდომის უფლება არ აქვთ. ხომ არ დადგა დრო, ფეხმძიმე და მშობიარე ქალების მიმართ შეიცვალოს დამოკიდებულება, როგორც სამედიცინო, ისე სამართლებრივი რაკურსით?! სირცხვილი და ცოდო-ბრალის ტრიალია ასეთი უპატრონობა! ჩემი და სხვა ქალების სიცოცხლის სახელით ვითხოვთ ყურადღებას და დროულ რეაგირებას შესაბამისი ინსტანციების მხრიდან! SOS!“

„უკვე მეორე შემთხვევაა ამ კლინიკაში, რომ დიდი თათბირის მერე მიიღეს საკეისროს გადაწყვეტილება და ცუდი შედეგით დასრულდა. უბრალოდ, არ მესმის, რატომ აკეთებენ ამას. ექოსკოპისტიც კი არ ჰყავთ წესიერი. შეწყვეტილი ორსულობა ვერ დააფიქსირა და სახლში გაუშვა ორსული. ძლივს გადაარჩინეს, სისხლის დენა რომ დაეწყო. აღმოჩნდა, რომ 3 დღის შეწყვეტილი იყო ორსულობა“.

„მაგ კლინიკაში მეც სრულიად ჯანმრთელი და საღ-სალამათი შვილი მომიკლეს. ორი გოგოს შემდეგ მესამე ბიჭს ვაჩენდი. სრულიად გაუგებარ სიტუაციაში მოხდა ეს ამბავი. დღესაც არ ვიცი, როგორ დაიღუპა ჩემი შვილი“.

„სასურველი და სავალდებულოც არის, რომ კომპლექსურად შეისწავლონ არა მარტო „იმედის კლინიკის“, არამედ საქართველოში არსებული ყველა კლინიკის, თითოეული ექიმის საქმიანობა და ცოდნა“.

„ჩემი თავი გამახსენდა. ზუსტად იგივენაირად მოიქცნენ „ჰერაში“, როცა პატარა გარდამეცვალა. ექიმების პასუხი იყო – უფალმა იცის, რა მოხდაო. 7 თვე გავიდა და დღემდე არ მცემენ პასუხს ჯანდაცვაში. ამბობენ, რომ იკვლევენ. სამწუხაროდ, მე ვერ გავაკეთე ექსპერტიზა, შემეცოდა პატარა, მაგრამ ვაფასებ მშობლების გადაწყვეტილებას, რომ უკან არაფერზე იხევენ. იმედია, პასუხს ამ შემთხვევაზე მაინც აგებს ვინმე“.

„იგივე სიტუაციაში დაეღუპა ჩემს დას ბავშვი ორთაჭალის სამშობიარო სახლში. ჯერ არ იმშობიარებსო და სანამ ექიმმა საკეისროს გაკეთება გადაწყვიტა, 4,800 კილოგრამი წონის ბავშვი გოგოს მუცელში მოეგუდა. ისეთი სტრესი გადავიტანეთ, მარტო ბავშვი კი არა, დაც ძლივს გადაარჩინეს. მეზიზღება ეგ სამშობიარო, მაშინაც ასე ამბობდნენ, ვერ გავიგეთ, რა მოხდა, ყველაფერი კარგად მიმდინარეობდაო. რა ვერ გაიგეს, უვიცები რომ მუშაობენ, იმიტომ ხდება ასე“.

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

რა მოხდა „იმედის კლინიკაში“?

EXCLUSIVE

„პრეტენზია აქვთ, რომ საუკეთესო კლინიკაა, მაგრამ სულ ტყუილად. ეს არის მათი ამბიცია, რომ იყვნენ პირველები. მათი დასმული დიაგნოზები სასაცილოდ არ ჰყოფნით მართლა პროფესიონალებს“.

„პასუხისგებაში უნდა მისცენ აუცილებლად! 37 წლის ასაკში საკეისრო კვეთას უკეთებენ, არ რისკავენ ხოლმე. ან ამხელა თანხები რა უბედურებაა?“

„ანალოგიური შემთხვევა მოხდა ჩემი ახლობლის ოჯახში, ოღონდ დასავლეთში. მთელი ორსულობა შესანიშნავად მიდიოდა, ბოლო თვეებში კი.... დედამ თვითონ მიაკითხა ექიმს ტკივილებით და ნაადრევი საკეისროს გაკეთება სთხოვა, რაზეც უარი მიიღო. იმავე საღამოს სისხლდენა დაეწყო და მუცელი მოწყდა. წაიყვანეს კლინიკაში, მაგრამ იქ ანესთეზიოლოგი არ აღმოაჩნდათ, საათ-ნახევარი ელოდნენ. რომ არ მოვიდა, ქუთაისში გადაიყვანეს. გაუკეთდა სასწრაფო ოპერაცია. იყო საშიშროება, რომ ორივე დაგვეკარგა... საბედნიეროდ, გადარჩნენ, მაგრამ ბავშვს პრობლემები აქვს. ორი წლისაა, ვერც დადის და ვერც ლაპარაკობს, ტვინზე აქვს რაღაც დაზიანება. გაწვალდა ოჯახი ამდენი მკურნალობით. ერთადერთი, რაც უკეთესობაა, არის ის, რომ ბავშვი ხესავით დაჭიმული აღარ არის. ამ ოჯახს უნდა დაეყენებინა იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი, ვისი უყურადღებობითაც ბავშვი ასეთ დღეში ჩავარდა, მაგრამ არ დააყენეს, რაღაც მიზეზების გამო. სწორედ ასეთი დამოკიდებულების გამო აიშვეს ექიმებმა და ჰგონიათ, პასუხს ვერავინ მოსთხოვთ. ისეთ რაღაცებს ვიგებ, ბავშვის გაჩენის მეშინია“.

„ამათთან სულ ასე, მოწმენდილ ცაზე გავარდება ხოლმე მეხი. ეგ აპარატი, რაც გულისცემას აფიქსირებს, რამდენიმე წლის წინათაც გაფუჭებული ჰქონდათ და ზუსტად ასე არბენინებდნენ წინ და უკან ერთი საათის განმავლობაში, რის გამოც სრულიად ჯანმრთელი ბავშვი მათი დაუდევრობის გამო გარდამეცვალა. ვნანობ, რომ ყველა დამნაშავე მაშინ პასუხისგებაში არ მივეცი“.

„და პროფესიონალები სადღა

„ᲝᲠᲘ ᲒᲝᲒᲝᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲑᲘᲭᲡ ᲕᲐᲩᲔᲜᲓᲘ. ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სტატისტიკა

ოპიარროებში?



„იმის გამო, რომ შვებულებაში გადიოდა, ორსულებს დამაჩქარებლებით გვამშობიარებდა – ასეა საჭირო და აუცილებელიო... გვიან მივხვდი მის გაიძვერობას“

ნინო ხუციშვილი

„ყველგან იგივეა, იგივე! ჩემი ტყუპი ქალ-ვაჟი სათითაოდ დავმარხე“

„ექიმების პასუხი იყო – უფალმა იცის, რა მოხდაო. 7 თვე გავიდა და დღემდე არ მცემენ პასუხს“

არიან?! „ჰერაში“ მე ლამის იგივე დამმართეს. იმის გამო, რომ ექიმი შვებულებაში გადიოდა, ორსულებს დამაჩქარებლებით გვამშობიარებდა, – ასეა საჭირო და აუცილებელიო... გვიან მივხვდი მის გაიძვერობას“

„მერე იტყვიან, რატომ ხდება მკვლელობები და უბედურებაო. გამწარებული კაცი, შვილს ამდენი წელი რომ ელოდები და მკვდარი დაიბადება, მთლიან კლინიკას გადანვავ“.

„ძალიან განუკითხაობა და უყურადღებობაა სამედიცინო დაწესებულებებში. თითქოს მოვალეობის მოხდის მიზნით მუშაობენ ექიმები. პატრონი კი არავინ ჰყავს“.

„მაგ „მეხის გავარდნას“ ყველა სამშობიაროში თავის სამართლებლად იყენებენ. ყველგან იგივეა, იგივე! ჩემი ტყუპი ქალ-ვაჟი სათითაოდ დავმარხე“.

„ჩემი შვილი დილის 6 საათზე გამომიგდეს ღამის პერანგით და ღუდუშაურში გაუშვეს. კიდევ კარგი, მანდ არ იმშობიარა. ღუდუშაურში გადასხმაც არ დასჭირდა, ისე იმშობიარა“.

„ყველა სამშობიაროში ერთი და იგივე სიტუაციაა, ღმერთის ანაბარა არიან მშობიარეები, არ აქვს მნიშვნელობა, აყვანილი გყავს თუ არა ექიმი. საჭიროა მკაცრი კონტროლი, თითქმის ყველა სამშობიაროდან ისმის მსგავსი შემთხვევები, რაც, სამწუხაროდ, ხშირად დაუსჯელი რჩება“.

„როგორ უნდა ვთქვა კარგი... გარე ორსულობა მქონდა, 4 დღის გამსკდარი მქონდა მილი და ქალი სახლში მიშვებდა, ზუსტად ეგ ქალბატონი იზა. ექოსკოპისტმა არ გამიშვა არაფრით, თორემ, ალბათ, დღეს ცოცხალი არც ვიქნებოდი. შეცდომა ვის არ მოსვლია, მაგრამ ბევრჯერ არ უნდა მოგვიდეს. წარმომიდგენია, რა დღეშია ოჯახი. არავის ვუსურვებ ამას, მტერსაც კი“.

„რომ არა ჩემი რძალი, მე დღეს მკვდარი ვიქნებოდი, სასწრაფოდ რომ არ გადავეყვანე სხვა კლინიკაში. როგორც კი დილეტანტიზმი შევამჩნიეთ, ეგრევე მივიღეთ ზომები. რთულად, მაგრამ ჩვენ გამოვძვერით. უნდა გვეჩივლა“.

ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ გამოხმაურებებიდან, რომელიც „იმედის კლინიკაში“ ახალშობილის ბურუსით მოცულ გარდაცვალებას მოჰყვა, თუმცა გაცილებით საგანგაშოა სტატისტიკა. ჩვენ მიერ ჯანდაცვის სამინისტროსგან გამოთხოვილი ინფორმაციით, ირკვევა, რომ მხოლოდ გასული წლის განმავლობაში მშობიარე ქალის გარდაცვალების 19, მკვდრადშობადობის – 524 და ჩვილის გარდაცვალების 520 შემთხვევა დაფიქსირდა. მიმდინარე წელს კი სამშობიაროში სიცოცხლე ფატალურად უკვე 11-მა ქალმა დაასრულა.

ნინო ხუციშვილი, სამედიცინო რეგულირების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:

– 2014 წელს ჯანდაცვის სამინისტროში სულ შემოსულია 1063 შეტყობინება, რომელიც უკავშირდება მშობიარობას. მათ შორის 19 შემთხვევაში ფიქსირდება დედის გარდაცვალება, 524 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მკვდრადშობადობას, ჩვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით კი 520 შეტყობინებაა შემოსული. აქ საუბარია 0-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვების გარდაცვალებაზე, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო შეტყობინებას.

– რაც შეეხება 2015 წელს... ამ დროისთვის არსებული სტატისტიკა რაზე მეტყველებს? ხომ არ შეიცვალა ტენდენცია?

– სამწუხაროდ, მიმდინარე წელს უკვე 537 შეტყობინებაა შემოსული. ამას გეუბნებით სამი კვირის წინ დათვლილ მონაცემებს. ამ შეტყობინებებიდან 11 დედის გარდაცვალებას უკავშირდება, 273 მკვდრადშობადობა ფიქსირდება და 253 შემთხვევა, როდესაც 0-დან 5 წლამდე ბავშვის გარდაცვალებასთან გვაქვს საქმე.

– დამეთანხმებით, სტატისტიკა ნამდვილად საგანგაშოა... საინტერესოა, რამდენად ადეკვატურია რეაგირება?

– ჩვენ შეტყობინებების საფუძველზე ინფორმაციას მოვიძიებთ ხოლმე სამედიცინო დაწესებულებებიდან. შესაბამისად, ზოგჯერ კომისიური წესით ვსწავლობთ საკითხს, ზოგჯერ დოკუმენტაციის საფუძველზე. ქალის, ანუ მშობიარის, გარდაცვალება უფრო მეტად კომისიურ შესწავლას ექვემდებარება. 2014 წელს ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა დედის გარდაცვალების 19 შემთხვევიდან 16. სამ შემთხვევაში გაირკვა, რომ თანმხლებ დაავადებას ჰქონდა ადგილი, რამაც გარდაცვალება განაპირობა და, შესაბამისად, შესწავლა მიზანშეწონილად არ ჩაითვალა. 16 შემთხვევიდან კი გამოიკვეთა გარკვეული ტიპის დარღვევები, რაც განაპირობებს საბჭოს ნინაშე ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის დასმას.

– ამ მიმართულებით, რამდენ ექიმს შეუჩერდა ლიცენზია?

– სამუდამოდ საქმიანობის ჩამორთმევის შემთხვევა 2014 წელს არ გვქონია, კანონით გათვალისწინებულია საქმიანობის მაქსიმალური შეჩერება 6 თვის ვადით. გასულ წელს ეს მაქსიმალური სასჯელი ორ შემთხვევაში გამოვიყენეთ. ჯამში, ამ ხნის განმავლობაში 70-მდე ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი დაისვა, მათ შორის 30-მდე ექიმს საქმიანობის უფლება შეუჩერდა სხვადასხვა ვადით.

არსებული სტატისტიკა საგანგაშოდ მიაჩნიათ ჯანდაცვის ექსპერტებს. ისინი სერგეენკოს უწყებას სამშობიარო სახლებზე კონტროლის გამკაცრებისა და ექიმების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მოუწოდებენ.

ვანო ფოცხვერაშვილი, ჯანდაცვის ექსპერტი:

„ნამდვილად საგანგაშო მაჩვენებელია. წარმოუდგენელია ასე გაგრძელება. აუცილებელია, ჯანდაცვის სამინისტრომ დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები, იქნება ეს კონტროლის გამკაცრება თუ ლიცენზიის გაცემის ნესის შეცვლა. ამჟამად ექიმს მუდმივი ლიცენზია ენიჭება, რაც არასწორია. საჭიროა მოხდეს ლიცენზიის განახლება ყოველ 5 წელიწადში. აშკარად იკვეთება კვალიფიკაციის პრობლემა, თუმცა ისიც საინტერესოა, რა გახდა კონკრეტულ შემთხვევაში გარდაცვალების მიზეზი. შესაძლოა, რიგ შემთხვევებში სულაც არ იყო ექიმის ბრალეულობა. ამიტომ ეს კარგად შესასწავლი საკითხია. გასარკვევია, რამდენად ხშირად მეორდება ერთსა და იმავე სამშობიაროში, ან ერთსა და იმავე ექიმთან ასეთი ფატალური შედეგები. თუ ამას კონკრეტულ დაწესებულებაში სისტემატური ხასიათი აქვს, მარტო ექიმის სერტიფიკატის შეჩერება არაფერს ნიშნავს. ამ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ მთლიანად კლინიკისთვის ლიცენზიის გაუქმებაზე, ან ქონების დაყადაღებაზე“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

რაზე წუხს ვენის კლინიკაში

„ჩემი ოჯახი არ არის მიჩვეული ვინმეს რამე სთხოვოს. მამუკას არც ერთი კონცერტი, არც ერთი ხელისუფლების დროს, სახელმწიფოსგან არ ფინანსდებოდა“

„ჩემი მეუღლის ბიზნესი აღარ არსებობს, მართალია წინა ხელისუფლების პირობებში მოხდა ამ ბიზნესის განულება, მაგრამ არც ამ ხელისუფლებამ გააკეთა იმისთვის რამე, რომ არსებობდეს“

„მეოთხე ოპერაციის შემდეგ ნარკოზიდან გამოსვლა ძალიან გაუჭირდა. ერთი მომენტი იყო, როცა მითხრა, რომ ძალიან დაიღალა, რომ აღარ უნდა სიცოცხლე“

„მარათონისთვის ყველაფერი მზად იყო, ჯანსულმა რომ დამირეკა და მითხრა, რომ ღარიბაშვილის უწყებიდან შეატყობინეს, რომ მამუკას ავსტრიულ ხარჯებს მთლიანად ღარიბაშვილი აფინანსებს“

„არაფერი არ მინდა, გიტარა მინდაო, მითხრა. ერთხელ ისიც კი დაიწუწუნა, მე აქ არავინ მიცნობსო, არავინ ვარ ამათთვისო“

my View

ნინო მჭედლიშვილი

„იმ ავადსახსენებელი დროის მერე, რომ გამოვედი სიმღერით, სიტყვით, ჩემს ხალხს მოვუყევი ყველაფერი. საზოგადოებამ მაპატია, მიმიღო. თვითონ მოვყევი და არ გავხადე სალაპარაკო. ხალხს გულწრფელობა მოსწონს. მე ხალხთან ერთად ვცხოვრობ, ძალიან მიყვარს ხალხი და მათაც ვუყვარვარ, ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ“, - მითხრა ერთ-ერთი ინტერვიუს დროს მამუკა ჩარკვიანმა... იმ ავადსახსენებელმა დრომ მამუკას ჯანმრთელობა შეარყია. 7 ოპერაცია ჩაუტარდა ფეხზე საქართველოში. მაგრამ მდგომარეობა გართულდა და მისი ვენაში გამგზავრება გახდა აუცილებელი. მომღერალს ვენაში 4 ოპერაცია ჩაუტარდა. მასთან ერთად მეუღლე და და, თაკო ჩარკვიანი იმყოფებოდნენ. თაკო საქართველოში დაბრუნდა და თავად გიამბობთ ყველა იმ დეტალს, რაც მამუკას ჯანმრთელობას თუ ავადობას უკავშირდება.

- წლების წინ მამუკამ ფეხი მოიტეხა. ძალიან სტკიოდა. მერე ტერფმა შემობრუნება დაიწყო. აღმოჩნდა, რომ ფეხის სამაგრი რკინა ცალკე იყო წასული, ფეხი - ცალკე. დაეწყო სიცხეებიც. ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ, ქუთაისიდან ბრუნდებოდა, რომ დამირეკა და მითხრა, ძალიან ცუდად ვარ, 40 მაქვს სიცხეო. ბევრი რომ აღარ ვილაპარაკო, ერთ დღეს ყვირილით გაიღვიძა, ხერხემალი მტკივა და ფეხებს ვერ ვგრძნობო. ექიმმა, გია ხოსიაშვილმა ნახა, რომ ხერხემალში იყო ინფექცია. მანვე ჩაატარა ორი ოპერაცია, ამ გადასახედიდანაც შემიძლია ვთქვა, რომ ორივე ბრწყინვალედ ჩატარდა. შემდეგ ოპერაციაზე რკინა ამოუღეს ფეხიდან და დაუყენეს ელიზაროვის აპარატი, რომელიც 5 თვის განმავლობაში ჰქონდა. ერთხელ მოხსნეს, რაღაც დაუმატეს, კიდევ დაუყენეს, სიცხეებმა იმატა, ფეხი, გასივდა, გაშავდა. ერთ ღამესაც დამირეკა ჩემმა რძალმა, სასწრაფოს გამოძახებას ვაპირებ, სითხე მოსდის ფეხიდანო. ძვალი აღარ ხორცდებოდა უკვე. მივხვდი, რომ ოსტეომიელიტის ნიშნები იყო. ამ სიტყვას არ ამბობდნენ მაშინ ექიმები, მაგრამ ვხვდებოდი, რომ ძვლის დიდ პრობლემასთან გვქონდა საქმე. წელიწად-ნახევრის განმავლობაში მამუკა ანტიბიოტიკზე იყო. კიდევ კარგი, რომ დიაბეტი არ აქვს. იმ დღიდან ერთ თვეში მამუკამ დამირეკა და მითხრა, იგივე განმეორდა, ექიმებმა სურათი გადამიღეს და მითხრეს, რომ ფეხი მოსაჭრელიაო. გავგიჟდი, სეფსისზეა უკვე ლაპარაკი, ამის მაგვარი აქამდე არ თქმულა. შეცდომები ხდება, არ მინდა ასე ცალსახად საუბარი, მაგრამ ბევრი „მაგრამ“ არსებობს. ამაზე ახლა არავის გვარგებს საუბარი. მე ვიცი ერთი, რომ გაწამდა ადამიანი ამ ორი წლის განმავლობაში. ავსტრიაში რომ ჩავიყვანეთ, ათი დღის განმავლობაში ექიმები ეძებდნენ ანტიბიოტიკს, რომელზეც ორგანიზმი რეაგირებას მოახდენდა. საბედნიეროდ იპოვეს. უბრწყინვალესი ექიმი გვყავს ვენაში, სოსო ნანობაშვილი. სწორედ მან ჩაატარა პირველი ოპერაცია, ვენაში, გერმანელ კოლეგასთან ერთად.

- ვენაში გამგზავრებამდე იყო თანხებზე ლაპარაკი, საკმაოდ ძვირი ჯდებოდა ეს ოპერაციები...

- კი, იყო, მამუკამ ორჯერ მიმართა მაყურებელს, ერთხელ, ეკა ხოფერიას დახმარებით „იმედიდან“, მეორედ ტელეკომპანია „მაესტროდან“. ამისთვის დიდი მადლობა მათ, მაგრამ არავინ შეგვხმიანებია კულტურის სამინისტროდან, ზარიც კი არ ყოფილა ტელეფონზე, მოკითხვის დონეზე მაინც. არადა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იდგა. ჩემი ოჯახი არ არის მიჩვეული ვინმეს რამე სთხოვოს. მამუკას არც ერთი კონცერტი არც ერთი ხელისუფლების დროს სახელმწიფოსგან არ ფინანსდებოდა...

- მაშინ ბევრი ადამიანი სვამდა კითხვას, რატომ გაუჭირდათ გიგანებს ასე, სახელმწიფოს დახმარება რომ გახდა საჭიროო...

- ჩემი მეუღლის ბიზნესი აღარ არსებობს, მართალია წინა ხელისუფლების პირობებში მოხდა ამ ბიზნესის განულება, მაგრამ არც ამ ხელისუფლებამ გააკეთა იმისთვის რამე, რომ არსებობდეს. წართმეული არ არის, მაგრამ არ ფუნქციონირებს. არაფრის აღდგენა არ მოხდა. 50 ათასი ევრო იყო საჭირო იმისთვის, რომ მამუკა ვენაში გადაგვეყვანა და იქ სამედიცინო დახმარება გაგვეწია. ეს თანხა პირდაპირ ვენის „პრივატ კლინიკის“ ანგარიშზე დაისვა. ჩვენ არც გავკარებივართ. ამხელა თანხა საიდან უნდა მოგვეტანა. მამაჩემის შემოსავალი ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოყოფილი ხელფასი 2 ათასი ლარია და „რუსთაველის პრემია“ 100 ლარი. მამუკას ოჯახს არანაირი შემოსავალი არ აქვს. მამუკა იძულებული იყო ამ დრენაჟიანი ფეხით, ეტლში მჯდომს ჩაეტარებინა კონცერტები, რომ ოჯახში ფული შემოეტანა. არ ვწუწუნებ, მაგრამ მინდა

„შეცდომები ხდება, არ მინდა ასე ცალსახად საუბარი, მაგრამ ბევრი „მაგრამ“ არსებობს. ამაზე ახლა არავის გვარგებს საუბარი. მე ვიცი ერთი, რომ გაწამდა ადამიანი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მამუკა ჩარკვიანი და რა ჰკითხა პირველი ოპერაციის შემდეგ დას

„ერთ დღეს ყვირილით გაიღვიძა, ხერხემალი მტკივა და ფეხებს ვერ ვგრძნობო“

„მამუკა იძულებული იყო ამ დრენაჟიანი ფეხით, ეტლში მჯდომს ჩაეტარებინა კონცერტები, რომ ოჯახში ფული შემოეტანა“

„ისიც მითხრეს, ზუსტად არც ის ვიცით, ფეხის ამპუტაცია შედეგს მოგვიტანს თუ არაო და აი, იქ „გავფუჭდი“

„თუ რამე გვქონდა, ყველაფერი ლომბარდში და ბანკშია ჩადებული“

EXCLUSIVE

„50 ათასი ევრო იყო საჭირო იმისთვის, რომ მამუკა ვენაში გადაგვეყვანა და იქ სამედიცინო დახმარება გაგვეწია. ეს თანხა პირდაპირ ვენის „პრივატ კლინიკის“ ანგარიშზე დაისვა. ჩვენ არც გავკარებივართ“

გამჭვირვალე იყოს ყველაფერი. მე და ჩემს მეუღლეს ასეთი ფინანსური კრიზისი, ცხოვრების არც ერთ ეტაპზე არ გვქონია. ჯონი არ არის სახელმწიფოზე ჩამოკიდებული ბიზნესმენი. მამუკა დაჯდა ეთერში და თქვა ძალიან მორიდებით, რომ დახმარება სჭირდებოდა. არ არის ეს ჩვენი ფორმატი, ხალხო, მართლა ძალიან გვეუხერხულებოდა, მაგრამ ველარაფერს ვაკეთებდით. თუ რამე გვქონდა, ყველაფერი ლომბარდში და ბანკშია ჩადებული. რაც შემეძლო გავაკეთე, მაგრამ როცა მივხვდი, რომ მამუკას სიცოცხლე საფრთხეშია, ველარ გავჩუმდებოდი. მთელი სამეგობრო გვერდით დამიდგა. ჩვენ, ჩარკვიანებს, ამაზე ძვირფასი არაფერი გვაქვს. ერთი-ორმა კი მითხრა, ამას ნაციონალები სათავისოდ გამოიყენებენო, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ არავის მამუკას პრობლემა არაფერში არ გამოუყენებია. ყველა გაერთიანდა ჩვენ გარშემო. ეკა ხოფერიამ თვითონ დამირეკა, მაგრამ გვიანდებოდა მის გადაცემამდე. ამიტომ ავიღე ტელეფონი და ნიკა გვარამიას დავურეკე. ვუთხარი, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვარ, ერთ-ორ დღეში მარათონი მჭირდება-მეთქი. ნახევარ საათში მოგიმზადებ სტუდიასო, მითხრა. 2 საათში აწყობილი ჰქონდა სტუდია ნანუკას. მთელი პროგრამა გაკეთებული იყო. მომღერლები, ჩვენი მეგობრები ყველა გვერდით დაგვიდგა. კულტურის სამინისტროდან ერთი სატელეფონო ზარი, მოკითხვის დონეზეც არ ყოფილა. ამას ნიშნის მოგებით და ბოროტი განზრახვით არ ვამბობ. ეს რომ მდომოდა, მაშინ დავჯდებოდი, რომელიმე გადაცემაში და ვიტყოდი. ხმა არ ამომიღია, ვის ეცალა ამისთვის. მარათონისთვის ყველაფერი მზად იყო, ჯანსუღმა რომ დამირეკა და მითხრა, ღარიბაშვილის უწყებიდან შეატყობინეს, რომ მამუკას ავსტრიულ ხარჯებს მთლიანად ღარიბაშვილი აფინანსებს. ამიტომაც მოვხსენით მარათონი ეთერიდან. ამას არ მოჰყოლია არანაირი პოლიტიკური სპეკულირება. საცოდაობა იქნება ეს რომ არ ვთქვა. ჩემი მიზანი ხალხიდან ფულის ამოღება კი არ ყოფილა, იმწამსვე ყველამ ერთად უარი ვთქვით მარათონზე. ჯანდაცვამ და მერიამ პრემიერის ბრძანებით გადარიცხეს კლინიკაში 47 ათასი ევრო. გზისა და იქ ცხოვრების ხარჯები უშუალოდ ბიძინა ივანიშვილმა გადაიხადა. კიდევ ერთი ადამიანი მინდა ვახსენო, კოტე ზალდასტანიშვილი, ავსტრიის ელჩი. რომ ვამბობთ, სად არის რესურსიო, აი, რესურსი, ხალხო, ოქროს ფონდი. ვერ წარმოიდგენთ როგორ პატივს სცემენ იქ მას. ამ ადამიანმა მოახერხა, რომ 24 საათში ჩვენ ავსტრიაში ვყოფილიყავით. ოთხშაბათს არავის სჯეროდა, რომ მე პარასკევს მამუკას ავსტრიაში გადავაფრენდი. მარტო მე ვიყავი ოპტიმისტი, ვამბობდი, 8 საათზე, ჩვენ თვითმფრინავში ვიქნებით-მეთქი. ყველას გიჟი ვეგონე. 8 საათზე თვითმფინავის სავარძლის საზურგეს რომ მივეყრდენი, ვიგრძენი, რომ კარგად ვიყავით.

- ვენაში ოთხი ოპერაციის შემდეგ რა მდგომარეობაა დღეს?

- ვიბრძოლოთ, რომ ფეხი შევინარჩუნოთო, თავიდან ასეთი რამ მითხრა ექიმმა. მე დავთანხმდი. ისიც მითხრეს, ზუსტად არც ის ვიცით, ფეხის ამპუტაცია შედეგს მოგვიტანს თუ არაო და აი, იქ „გავფუჭდი“. მერე ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ იმედი გაჩენილიყო... განა საქართველოში არ არიან კარგი ექიმები, პროფესიონალები, მაგრამ ეკონომიკა უნდა იყოს ძლიერი, რომ სამედიცინო სფერო განვითარდეს. ჩვენი ზოგიერთი თაღლითი პოლიტიკოსი, იქ დაძრწის, იქ მკურნალობს, იმოსება. ცოტა ხნის წინ მოსკოვში რომ პოლიტიკოსი ბრძანდებოდა და მერე საკუთარი ქვეყნის მოსახლეობას ძირგამომპალი რუსული ეკონომიკის სივრცეს სთავაზობდა, ზუსტად ის დაძრწის მუდმივად ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სამკურნალოდ და ჩასაცმელად. ამას ჰქვია პოლიტიკური თაღლითობა.

- კონტაქტზე როცა გამოდიოდა, რას ამბობდა მამუკა?

- პირველი ოპერაციის მერე მკითხა, ფეხი მომაჭრესო... არ გრცხვენია, ამხელა გზაზე მაგიტომ წამოვედით-მეთქი, დავამშვიდე. ჩემი რძალი ისე იყო დათრგუნული ამ ყველაფრისგან, ტირილის მეტს ვერაფერს აკეთებდა. მე დავრბოდი და ვქაქანებდი. მამუკას სტიმული სჭირდებოდა. მეოთხე ოპერაციის შემდეგ ნარკოზიდან გამოსვლა ძალიან გაუჭირდა. ერთი მომენტი იყო, როცა მითხრა, რომ ძალიან დაიღალა, რომ აღარ უნდა სიცოცხლე. მივხვდი, რომ არც მე და არც ირმა აღარ ვყოფნიდით სტიმულისთვის. არაფერი არ მინდა, გიტარა მინდაო, მითხრა. ერთხელ ისიც კი დაიწუწუნა, მე აქ არავინ მიცნობსო, არავინ ვარ ამათთვისო. ზუსტად ამ დროს შემოვიდა, ბატონი, სოსო ნანობაშვილი და უთხრა, იცი, ახლა ინტერნეტში შენი სიმღერები ვნახეთ და მთელი საორდინატურო შენ სიმღერებს უსმენსო... ახლა შესვენების პერიოდია. ოპერაციები გაგრძელდება. ექიმები ამბობენ, რომ ძვალი აღდგენას იწყებს. ახლა შეეცდებიან ადგილობრივი გაუტკივარებით გაუკეთონ ოპერაცია. მეტი ნარკოზი უკვე აღარ შეიძლება.

- ჯანმრთელობას გისურვებთ და ველოდებით მამუკას საქართველოში ახალი სიმღერებით, ახალი კონცერტებით.

- მადლობა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პარლამენტარების მუშტიკრივი, გინება, უ

„რატომ მაყენებთ შეურაცხყოფას, ქალბატონო ეკა? „იბიარდზე“ ვერასოდეს ვერ ვიქნები, მე ერთგული მეუღლე ვარ“

სოსო ჯაჭვლიანმა ყველა რეკორდი მოხსნა. გინესების წიგნის ქართული ვარიანტი რომ გვქონდეს, ის აუცილებლად დაიკავებდა საპატიო ადგილს. მანამდე კი ის სოცქსელების, ჩატებისა და ჭორების ნამდვილი ლიდერია. მართალია, პოლიტიკაში თავი ვერ გამოიჩინა, მაგრამ სხვა მიმართულებით კონკურენტი არ ჰყავს.

მისი ბოლო ფრაზა EBRD-ზე შეუდარებელია და ამ მოწვევის საპარლამენტო ცხოვრებაშიც გადაფარა იგივე კაკო ბობოხიძის გინება და აგრესია.

„მე ბოზებში არასოდეს დავდიოდი, არც მაშინ და არც ახლა! ჩემთვის შეურაცხმყოფელი იყო 10 მანეთის გადახდა. 10 მანეთის გარეშეც ვახერხებდი ამ საკითხებს. ისე, ცნობისთვის, თუ ვინმე ლამაზი ქალბატონი იყო, ყველასთან ვარ ნამუშევარი 10 მანეთის გარეშე. ეტყობა, ძალიან გაწუხებთ თქვენ ასეთი საკითხები. აი, მაგალითად, ეკა ხერხეულიძეს ჩემი ოჯახის დანგრევის მცდელობა ჰქონდა. რამდენიმე თვის წინ განაცხადა, რომ პარლამენტის სესია იმიტომ ჩაიშალა, რომ ჯაჭვლიანი „იბიარდზე“ იყოო. რატომ მაყენებთ შეურაცხყოფას, ქალბატონო ეკა? „იბიარდზე“ ვერასოდეს ვერ ვიქნები, მე ერთგული მეუღლე ვარ. ეს თქვენი გუნდი დადიოდა „იბიარდზე“ 10 წლის განმავლობაში...“ – სოსო ჯაჭვლიანის ეს გამოსვლა პარლამენტის სხდომაზე „კლასიკად“ დარჩება.

ფრაზა „ნუ ბლატაობ შე ჩმორო“-ს ავტორისგან ასეთი შედევრი შესაძლოა, მოსალოდნელიც კი იყო, თუმცა, თუ ამდენად გაარღვევდა ჯაჭვლიანი შესაძლებლობების ფარგლებს, მაინც არავის ეგონა.

კიდევ ერთი ფრთიანი გამოთქვამი სოსო ჯაჭვლიანის მხრიდან: „მე მსახიობი არ ვარ, მე სვანი ვარ“... ამ ლოგიკას თუ გავაგრძელებთ, სოსო არც პოლიტიკოსია და არც დეპუტატი, ის სვანია. ალბათ, ამიტომაც თავის თავს ხშირად ზედმეტის უფლებას ძლევს ხოლმე, მათ შორის სხდომათა დარბაზშიც.

ის აქტიურად მონაწილეობდა ყველა მუშტი-კრივსა და ჩხუბში...

წლის ფრაზად მონათლულ ფრაზას, „ნუ ბლატაობ, შე ჩმოროსაც“, მოჰყვა ხელჩართული ჩხუბი ბარამიძე-ჯაჭვლიანს შორის.

„იბიარდის“ თემამ სოცქსელები ნამდვილად ააფეთქა. დეპუტატმა მოგვიანებით იმათი სახელებიც დაასახელა, ვისთანაც 10 ლარის გარეშე მუშაობდა:

„სვეტლანა ტომა, პროკოლოვა, ვერა სარანოვა, უკრაინელი გალინა, ერთი მახსოვს, „მის რასია“ იყო, ქართველებზე საერთოდ არ ვლაპარაკობ...“

ჯაჭვლიანმა შემდეგ ტაქტიკა შეცვალა და თავდასხმაზე გადავიდა. ობიექტად კი ისევ ეკა ხერხეულიძე შეარჩია: „ეკა ხერხეულიძეს ჰკითხეთ, ეკამ იცის, რა იგულისხმა EBRD-ში და მას რა ფანტაზიაც აქვს, მეც ის ვიგულისხმე. რუსული იცით? ხომ კარგად იცით?“

მოგვიანებით ჟურნალისტების კითხვაზე განაცხადა:

– კი, მომავალშიც არაერთი განცხადება გაკეთდება. საერთოდ, იცოდეთ, როგორც წესი, არაფერი წამომცდება ხოლმე, ყველაფერს დაფიქრებით ვამბობ და ბოლომდე „ვაწვები“.

– ასეთ განცხადებებზე დაახლოებით რამდენი წუთი ფიქრობთ ხოლმე?

– არა... ამ შემთხვევაში განცხადება მცოცავ ანექსიაზე უნდა გამეკეთებინა, დანარჩენი სიტუაციამ მოიტანა.

– „იბიარდი“ თუ იცით, რას ნიშნავს და რატომ გგონიათ ის ცუდი სიტყვა?

– ეს ხერხეულიძეს ვკითხოთ... ისე, უფრო სერიოზულ თემებზე რატომ არ მესაუბრებით?

ჯაჭვლიანის ლოგიკის ამოხსნაში ლამის მთელი საქართველო ჩაერთო. ექსპერიმენტი ასეთი გამოვიდა:

„ჯაჭვლიანის „სასწაული“ ლოგიკით:

ევროპის განვითარების ბანკი არის ბორდელი;

მსოფლიო სავალუტო ფონდი არის ტურისტული კომპანია;

საქართველოს ეროვნული ბანკი არის სატრანსპორტო კომპანია;

აი, გაერო კი არის ფეხბურთის კლუბი“.

„ბობოხიძე ხშირად პარლამენტში და დ

კაკო ბობოხიძე ბოლო ორი მოწვევის პარლამენტის ყველაზე აგრესიულ დეპუტატად შეიძლება ჩაითვალოს. ის ან 90-იანი წლების რადიკალიზმისგან ვერ გამოდის, ანდა პოლიტიკისთვის „ცოტა შეუფერებელია“. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ჟურნალისტის ფიზიკური შეურაცხყოფის შემდეგ, ის იგივე საქმიანობას უკვე მეორე მოწვევის პარლამენტში აგრძელებს.

წინა მოწვევის პარლამენტში მან პეტრე მამრაძისკენ გაიწია და სილა გააწნა, ამ მოწვევის პარლამენტში ჯერ შეიგინა, რის შემდეგაც ნაცებსა და ქოცებს შორის მუშტი-კრივიც გაჩაღდა.

მიუხედავად იმისა, რომ მამრაძეს სახეში გაარტყა, მოგვიანებით თქვა, ამას სულაც არ ვნანობ: „არ ვნანობ, რომ პეტრე მამრაძეს მივაყენე შეურაცხყოფა“

ბობოხიძე მამრაძეს ფიზიკურად მას შემდეგ გაუსწორდა, რაც მამრაძემ სიტყვით გამოსვლისას 2008 წლის აგვისტოს ომს „ქართული პროვოკაცია“ უწოდა. ბობოხიძემ მამრაძეს „ახვარი“ ხარო, უთხრა და ჩაარტყა.

პეტრე მამრაძემ მოგვიანებით განაცხადა: „ბობოხიძე ხშირად ნასვამი მოდიოდა პარლამენტში და დედას იგინებოდა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნმანური სიტყვები და სასაცილო ფრაზები

ეკა ბესელია – ყველაზე უკომენტარო

ამ ქალბატონმა მთელი სოციალური ქსელი საკუთარი ორიგინალური ჩაცმულობით დაიპყრო. როგორც იტყვიან, კომენტარის გარეშე.

ყველაზე სკანდალური კი დავით საგანელიძეა. ამ მოწვევის პარლამენტი ჯერ არ დასრულებულა, თუმცა ის სერიოზულ ხმაურში გაება. ჯერ დეპუტატების დიდი ჯგუფი დაუპირისპირდა დავით ლორთქიფანიძის ლიდერობით, შემდეგ წინა ხელისუფლების სასარგებლოდ აგენტურაშიც დასდეს ბრალი. რამდენჯერმე ორაზროვნად განაცხადა: პოლიტიკას ვტოვებო და ისევ გადათქვა. გარდა ამისა, ის საკმაოდ აგრესიულიც გახდა. ახლებში საგანელიძე ამდენად აგრესიული ტონით არ გამოირჩეოდა. ასე რომ, შეკითხვა, რა დაემართა დეპუტატს ახლა, ბერვისთვის გამოუცნობია.

დავით საგანელიძის ფრაზები:

„მინდა ჩემი შვილები გომელაურს ჰგავდნენ“;

„აიჩემებენ – თქვენს ხელში იქნება მოსმენების აპარატურა. რასაც აქ ვამბობ, ამას ვამბობ ტელეფონში, სუფრაზე, ქუჩაში, მეგობრებთან. თუ ვინმე ისეთ რამეებზე საუბრობთ, რომ გეშინიათ, არ მოგისმინონ, მაშინ მართლა მოსასმენი ყოფილხართ, ძმაო. თუ ქვეყნის დამანგრეველ თემებზე საუბრობთ, უნდა მოგისმინონ, მაგრამ არ მოგისმენენ“.

„ესენი მართლა უზრდელები, დემაგოგები არიან. გადადიან დაუკრეფავში. თავ-პირი უნდა უმტვრიო ამათ დღე და ღამე“, – ზაზა პაპუაშვილი.

„რას გვახვეწნინებენ ნატოში შესვლისთვის“, – გოგი ქავთარაძე.

„10-ლარიანი ბოზები გენატრებათ“, – აკაკი ბობოხიძე.

„ისეთი რეკლამა გავუკეთე EBRD-ს, წესით, უნდა დამაჯილდოოს“, – სოსო ჯაჭვლიანი.

„ჩვენ ვლაპარაკობთ უმცირესობების უფლებების დაცვაზე, სექსუალური უმცირესობების დაცვაზე, მაგრამ კაცთა უფლებაზე ვინ უნდა იზრუნოს?! ამ ქვეყანაში კაცთა უფლება იქნება თუ არა დაცული მთელი თავისი შინაარსით?“ – ლუკა კურტანიძე.

ნასვამი მოდიოდა ედას იგინებოდა“

ნასვამი იყოო, ბობოხიძეზე ამ მოწვევის პარლამენტშიც რამდენჯერმე თქვეს, მათ შორის მაშინაც, როცა ისევ ბობოხიძემ და ისევ ჯაჭვლიანს უწმაწურად შეაგინა და შემდეგ დიდი მუშტი-კრივიც გაიმართა. ვიღაცამ ვიღაცას ბოთლი ესროლა, ვიღაც ჰაერში ახტა, რომ მოწინააღმდეგეს თავზე დასცემოდა და ასე შემდეგ...

და როგორც მამრაძის შემთხვევაში, ბობოხიძემ ბოდიში არც ახლა მოიხადა: „არ ვაპირებ, ბოდიში მოვუხადო უმრავლესობის წევრებს. მათ მიმართ იყო გინება გამიზნული“.

აკაკი ბობოხიძეს პარლამენტში სხვა ფრთიანი გამონათქვამებიც ეკუთვნის:

„კანონპროექტი ბებიამისს წაუკითხოს“ – ეს ფრაზა შს მინისტრის მოადგილე ლევან იზორიას მისამართით თქვა, როცა პარლამენტში პოლიციის აკადემიისთვის საპოლიციო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს განიხილავდნენ.

„დუქნის ლომი“ – ეს ეპითეტი გიორგი ცაგარეიშვილის მიმართ გამოთქვა. ცაგარეიშვილმა საპასუხოდ ბობოხიძეს წყლიანი ბოთლი ესროლა, რომელიც თავში ლამის პარლამენტის თავმჯდომარეს მოხვდა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მაგდა კლდიაშვილი

ენერგეტიკის სამინისტრო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გაუნაწყენდა

უეფას სუპერთასის კორპორატიული ბილეთების გაყიდვის უფლებას ფეხბურთის ფედერაცია ფლობს.

ამის გამო, სფფ-ში ყველა სამთავრობო უწყებიდან ბილეთების მოთხოვნასთან დაკავშირებით მრავალი განცხადება შევიდა. იმის გამო, რომ სამინისტროების მიერ მოთხოვნილი ბილეთების რაოდენობა ძალიან დიდი იყო, ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ ყველა მათგანისთვის 50-50 ცალი დაემტკიცებინა.

როგორც „პრაიმტაიმმა“ შეიტყო, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო შემოსწყრა ფეხბურთის ფედერაციას და განაწყენდა, რომ მხოლოდ 50 ბილეთი დაუმტკიცდათ. არადა, ვიცე-პრემიერ კახი კალაძის უწყებას სულ რაღაც 400 ბილეთი სურდა ამ შეხვედრისთვის.

სამინისტროს სფფ-სთვის წერილიც მიუწერია, სადაც წერია, რომ ისინი უარს ამბობენ ამ 50 ბილეთზე და სფფ-ს წერენ, რომ ეს ბილეთები ხალხს დაურიგონ.

საინტერესოა, იგივე პასუხი ექნებოდა თუ არა კახა კალაძის სამინისტროს, სფფ-ს 400-ვე ბილეთი რომ დაემტკიცებინა მათთვის?

თბილისის ახალგაზრდული ფესტივალის გახსნა სამ-ნახევარი მილიონი ლარი ღირდა

საქართველოს დედაქალაქი 26 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს მასპინძლობს.

კვირას, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გახსნის გრანდიოზული ცერემონიალი გაიმართა.

გახსნამდე, ცნობილი გახდა, რომ კონცერტზე იქნება არგონავტების სიუჟეტი, იცეკვებენ სუხიშვილები და რამიშვილები, ღონისძიების სიურპრიზი კი ამერიკელი რეპერი ნელი იქნება, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოვა საქართველოში.

გახსნის ღონისძიება საორგანიზაციო კომიტეტს სამ-ნახევარი მილიონი ლარი დაუჯდა. ცნობისთვის, დაახლოებით, ამდენივე დაჯდა, ბაქოში, ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიალის ფოიერვერკი.

გიორგი ხიდეშელი „ლოკომოტივს“ შეუერთდა

27 წლის გამოცდილი მცველი, გიორგი ხიდეშელი ახალგაზრდულ „ლოკომოტივში“ ჩაირიცხა.

ფეხბურთელმა კლუბთან კონტრაქტი დეკემბრამდე გააფორმა და ახლა მასთან ერთად ავსტრიულ შეკრებაზე იმყოფება.

გარდა ხიდეშელისა, თბილისელებმა ბენაშვილი, გეთიაშვილი, არველაძე და ჯიქიაც დაიმატეს. ხიდეშელი ბოლოს გორის „დილაში“ ასპარეზობდა, სადაც ჩემპიონობაც მოიპოვა, ახლა კი უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული „ლოკომოტივის“ ღირსებას დაიცავს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჯაბა დვალს „დაჩია“ „საბურთალოში“ გაანათხოვრებს

უგუნდოდ დარჩენილი ქართველი თავდამსხმელი, ჯაბა დვალი, „საბურთალოში“ განათხოვრების წესით ითამაშებს.

ამის შესახებ, „პრაიმტაიმს“, „საბურთალოს“ მთავარმა მწვრთნელმა, გია ჭიაბრიშვილმა განუცხადა. მიუხედავად იმისა, რომ დვალის „საბურთალოში“ გადმოსვლა ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ჭიაბრიშვილი ამბობს, რომ 99% დეტალები შეთანხმებულია.

იმის გამო, რომ თბილისური გუნდი დიდი ბიუჯეტით არ გამოირჩევა, მოლდოვურ „დაჩიასთან“, რომელთანაც დვალს კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მოლაპარაკებები სწორედ იჯარაზე მიმდინარეობს.

იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებები დვალისთვის დადებითად დასრულდება, პირველი წრის ბოლომდე, გამოცდილი ფორვარდი, სწორედ „საბურთალოში“ ჩაირიცხება, სადაც, მისგან განსხვავებით, ახალგაზრდა ფეხბურთელები თამაშობენ.

მას შემდეგ, რაც „დაჩია“ დვალს ახალი გუნდის მოძებნისკენ მოუწოდა და კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ 30 ათასი დოლარი მოითხოვა, ფეხბურთელი უგუნდოდ დარჩა, რადგან მისი კონტრაქტის გამოსასყიდად არც ქართულ და არც უცხოურ გუნდებს არც სურვილი და სავარაუდოდ, არც ფინანსები არ აღმოაჩნდათ. ფორმის აღსადგენად კი დვალმა ჭიაბრიშვილის გუნდს მიაშურა.

ლუის მედინა ბათუმის „დინამოში“ ჩაირიცხა

ბოლნისის „სიონი“ თავის პორტუგალიელ ლეგიონერს, ლუის ალბერტო ვიეირა მედინას შეელია.

23 წლის ფორვარდის გადაბირებით რამდენიმე ქართული გუნდი იყო დაინტერესებული, მათ შორის, ვერცხლის მედლების მფლობელი ბათუმის „დინამო“.

ლუის მედინას „სიონთან“ კონტრაქტი აკავშირებდა, იმის გამო, რომ ბათუმელებს სატრანსფერო თანხის გადახდა არ შეეძლოთ, კონტრაქტში ჩაიწერა, რომ ლუის მედინას გაყიდვის შემთხვევაში, ტრანსფერის 20% სწორედ „სიონს“ დარჩება.

ბოლნისელთა რიგებში ლუის მედინამ თავი 5 გოლით გამოიჩინა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Gem Fest-სახელშეცვლილი კაზანტიპი

ერთადერთი კავშირი, რაც ამ ფესტივალს კაზანტიპთან აქვს, ეს არის ტერიტორია

ლაშა ზარანდია

ყველას მოგეხსენებათ, რომ წინა წელს, აგვისტოში ანაკლიის სანაპიროზე ჩატარდა კაზანტიპის ფესტივალი. მოლოდინები ძალიან დიდი იყო როგორც ორგანიზატორებში, ასევე მსმენელშიც, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ფესტივალმა ვერ გაამართლა და ეს არაერთი ფაქტორით იყო გამოწვეული. კაზანტიპის სტუმრები ამ დიდ ჩავარდნას ფესტივალის ორგანიზატორებს აბრალებდნენ, ფესტივალის ხელმძღვანელობა კი – მსმენელს და თვითონ ქართველ ხალხს, რომლებიც კაზანტიპის მამამთავრად წოდებულმა ნიკიტა მარშუნოკმა თავის ბოლო განცხადებაში საბრალო და ველურ ხალხად მოიხსენია. სწორედ ეს არის ყველაზე საინტერესო ფაქტი, გაიზიარებს თუ არა Gem Fest კაზანიპის ბედს და, ფაქტობრივად, არშემდგარ ფესტივალად გამოცხადდება, თუ ორგანიზატორების მოლოდინს გაამართლებს და წარმოჩინდება, როგორც საბრენდო ფესტივალი საქართველოსთვის მთელი დანარჩენი სამყაროს წინაშე. ძალიან დიდი იყო გამოხმაურება საპატრიარქოს მხრიდან კაზანტიპთან დაკავშირებით და ამ ყველაფერს საპროტესტო აქციებიც მოჰყვა. რაც შეეხება წლევანდელ ფესტივალს, საპატრიარქოს წარმომადგენლებს კომენტარიც კი არ გაუკეთებიათ. რეალურად კი იგივე ხალხია საორგანიზაციო სამუშაოებში ჩართული, რომლებიც კაზანტიპის ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ, კონკრეტულად გიორგი სიგუა, რომელიც სამღვდელოების მხრიდან არაერთხელ შეირაცხა უზნეო პიროვნებად.

ანაკლიის სანაპიროზე მშენებლობის ბუმია, ასობით ადამიანი ცდილობს, საფესტივალოდ მოამზადოს ტერიტორია, უკვე რამდენიმე კვირაა, დღე-ღამის განმავლობაში არ შეჩერებულა სამუშაოები. მთავარი სცენა უკვე ელოდება პირველ შემსრულებლებს. ბარები და კვების ობიექტებიც რამდენიმე დღეში მზად იქნება სტუმრების მისაღებად. ქალბატონი მანანაც ელოდება სტუმრებს, ის ფესტივალის ტერიტორიასთან ძალიან ახლოს ცხოვრობს და იმედი აქვს, რომ წლევანდელი ფესტივალი მის ოჯახში ცოტაოდენ შემოსავალს შემოიტანს. ასევე, მის სამ მცირეწლოვან შვილს გაუფერადებს ზაფხულის დღეებს. როგორც ქალბატონი მანანა, ასევე ანაკლიის მთელი მოსახლეობა დიდი სიხარულით ელოდება ფესტივალის დაწყებას.

შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ, ანაკლიის ტერიტორიაზე, 2015 წლის 30 ივლისს იწყება მუსიკალური ფესტივალი Gem Fest. ორგანიზატორები ანაკლიაში ჩასულ სტუმრებს მრავალფეროვან მუსიკასა და დაუვიწყარ სანახაობას ჰპირდებიან. ეს იქნება ელექტრონული მუსიკისა და ლაივ-შემსრულებლების სინთეზი, ლაზერშოუები, სტუმრებისთვის მუდმივად ღია აკვაპარკი, ბარები, სხვადასხვაგვარი კვების ობიექტები და კარვების ქალაქი, რომელიც ფესტივალის მიმდინარეობის პერიოდში უმასპინძლებს ჩამოსულ სტუმრებს.

ანაკლიაში გასამართმა ფესტივალმა დიდი დისკუსია გამოიწვია საზოგადოებაში, ისევე როგორც 2014 წლის აგვისტოში, ანაკლიის ტერიტორიაზე ჩატარებულმა მუსიკალურმა ფესტივალმა კაზანტიპმა, რომელიც არაერთ წინააღმდეგობას წააწყდა, როგორც საზოგადოების, ასევე საპატრიარქოს მხრიდან. პროტესტის ტალღა იმდენად ძლიერი იყო, რომ ფესტივალის დაწყებამდე ორი დღით ადრე ანაკლიაში საპატრიარქომ საპროტესტო მსვლელობა გამართა და ხალხს მოუწოდა, თავი შეეკავებინათ ფესტივალზე მისვლისგან, რადგან, მათი აზრით, ეს იყო გარყვნილების პროპაგანდა. მიუხედავად წინააღმდეგობისა, ფესტივალი ჩატარდა. თუმცა მოლოდინი, რომელიც ფესტივალის ორგანიზატორებს ჰქონდათ, არ გამართლდა. ფესტივალს რამდენიმე ათეული ათასი ადამიანის ნაცვლად გაცილებით ცოტა დაესწრო. აგრეთვე, ფესტივალის დაწყებამდე სტიქიურმა მოვლენებმა გამოიწვია საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩახერგვა და, ფაქტობრივად, საზღვარს მიღმა ათასობით ადამიანი დარჩა. ასევე, სტუმრების უმეტესობა ძალიან უკმაყოფილო იყო ფესტივალის ტერიტორიაზე არსებულ ბარებსა და კვების ობიექტებში შეუსაბამო ფასებით. საერთო ჯამში, ფესტივალმა მშვიდად ჩაიარა, მაგრამ როგორც ორგანიზატორები, ასევე ფესტივალის სტუმრები უკმაყოფილონი დარჩნენ და დასრულებისთანავე დაიწყო სცენებისა და აბრების დემონტაჟი, ეს იმის ნათელი სურათი იყო, რომ შემდეგ წელს არ ჩატარდებოდა იგივე ფესტივალი. მაგრამ 2015 წელს დაანონსდა ახალი ფესტივალი, მის ორგანიზებას სათავეში ჩაუდგა გიორგი სიგუა, რომელმაც ასევე დიდი წვლილი შეიტანა 2014 წელს ჩატარებული ფესტივალის ორგანიზებაში. შეიქმნა სრულიად ახალი ჯგუფი, რომელმაც პასუხისმგებლობა აიღო და სათავეში ჩაუდგა ფესტივალის ორგანიზებას. ფესტივალზე მსოფლიოში განთქმული არაერთი მუსიკოსი მიიღებს მონაწილეობას. როგორც ქართველები, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული შემსრულებლები, როგორებიცაა: AArmin Van Buuren, Dubfire, Booka Shade, M.A.N.D.Y და სხვები.

„კაზანტიპი – ეს არის აღვირახსნილი, გათახსირებული ფესტივალი, სადაც პორნოგრაფია, ნარკოტიკები, სექსი და ასე შემდეგ, ღვარად მოედინებოდა“

ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ფესტივალმა ხარვეზების გარეშე ჩაიაროს, წინა წელს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით დიდი რისკის წინაშე დგას წლევანდელი ფესტივალიც, სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით ვესაუბრეთ Gem Fest-ის აღმასრულებელ დირექტორს, ლაშა წურწუმიას.

– რა ეტაპზეა ფესტივალისთვის მზადება?

– ფესტივალისთვის მზადება დასასრულს უახლოვდება, დღეს გადაიხურება ცენტრალური სცენა, მეორე სცენის კარკასის მშენებლობაც თითქმის დასრულებულია, ასევე, მიმდინარეობს მუშაობა განათებაზე, ლაზერებზე, ხმაზე და ასე შემდეგ. დასასრულს უახლოვდება ბარების მშენებლობა, ფესტივალის ტერიტორიაზე იხსნება თორმეტი ბარი და ექვსი კვების ობიექტი. აკვაპარკიც მზადაა სტუმრების მისაღებად, სადაც ასევე იმუშავებს ბარები, აკვაპარკი ფესტივალის ყველა სტუმარს უფასოდ მოემსახურება.

– რა ჟანრის მუსიკა იქნება წარმოდგენილი ფესტივალზე?

– ჩვენი ძირითადი მიმართულება არის ელექტრონული მუსიკა, ამ შემთხვევაში თითქმის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელი ჩავრთეთ ამ ფესტივალში, ვგულისხმობ ქართველ მუსიკოსებს, ასევე, გვყავს მოწვეული ოთხმოცამდე უცხოელი შემსრულებელი. მსმენელის სურვილს მაქსიმალურად გავითვალისწინებთ. ფესტივალზე იმუშავებს ქართული კუთხე, სადაც მოწვეულია ნინო ქათამაძე, Loudspeakers და ჩვიდმეტი ქართველი Dj.

– აქვს თუ არა Gem fest-ს რამე კავშირი წინა წელს ჩატარებულ ფესტივალთან?

– ერთადერთი კავშირი, რაც ამ ფესტივალს კაზანტიპთან აქვს, ეს არის ტერიტორია, რეალურად რა ტერიტორიაზეც ჩატარდა კაზანტიპი, იგივე ტერიტორია ავითვისეთ ჩვენი ფესტივალისთვის.

– რომელი ქვეყნებიდან ელოდებით სტუმრების ძირითადად და გაუწევს თუ არა Gem fest კონკურენციას ყირიმში გასამართ ფესტივალს, რომელსაც სახელი შეეცვალა და ეწოდა „BEFOOZ“?

– სტუმრების ძირითად ნაწილს საქართველოდან და მეზობელი ქვეყნებიდან ველოდებით. ასევე, არამოსაზღვრე სახელმწიფოებიდანაც. ესენია უკრაინა, ბელორუსი. რაც შეეხება კონკურენციას, შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული რაღაც კონცერტი ჩვენი კონკურენტი ვერანაირად ვერ იქნება. ერთ კვირაში იწყება ყირიმზე ფესტივალი და ჯერ line up-იც კი არ აქვთ დადებული მთავარ საიტზე. ასევე, პრობლემები აქვთ საბანკო მომსახურების სფეროში, არ არის საერთაშორისო ფრენები. ასე რომ, ამ ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, ძალიან მეეჭვება, რაიმე კონკურენცია გაგვიწიოს წლევანდელმა კაზანტიპმა, უკვე ახალი სახელით – „BEFOOZ“.

არის თუ არა მსგავსება და განსხვავება ამ ორ ფესტივალს შორის, რას ნიშნავდა მათთვის კაზანტიპზე მონაწილეობა და რა მოლოდინები აქვთ Gjem fest-ზე? სწორედ ამ კითხვით მივმართეთ წინა წელს ჩატარებული ფესტივალის მონაწილე მუსიკოსებს საქართველოდან.

გიორგი, Hip Hop ჯგუფი „Scribe Squad“:

– ჩვენ გვეგონა, რომ იქ იქნებოდა ბევრად მეტი ადამიანი, მოლოდინი იყო 30-40 ათასზე, რეალურად კი 4-5 ათასი ადამიანი იყო, რაც ნამდვილად არ მომეწონა. ასევე, არ მომეწონა ის ფაქტი, როგორ იქცეოდა ხალხი, არ მომეწონა ფასები, რეალურ ფასთან შედარებით ათჯერ მეტი იყო.

რაც მომეწონა, ეს იყო პირველ რიგში ხმა, ყველაფერი იყო ამ მხრივ მოწესრიგებული, ტექნიკური მხარე ნამდვილად ძალიან კარგად იყო ორგანიზებული. ჩემთვის უდიდესი სიურპრიზი აღმოჩნდა იმის გაგება, რომ მუსიკოსებს ჰონორარს არ უხდიდნენ. არც რუსეთიდან, არც უკრაინიდან და არც საქართველოდან, ჰონორარები აიღეს მხოლოდ ძალიან ცნობილმა შემსრულებლებმა.

ბექა, TMB(the machete boyz):

– შემიძლია ვთქვა, რომ ჩემთვის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თუ ქართული საბრენდო ფესტივალი

„მეეჭვება, რაიმე კონკურენცია გაგვიწიოს წლევანდელმა კაზანტიპმა, უკვე ახალი სახელით – „BEFOOZ“

„არ მომეწონა ის ფაქტი, როგორ იქცეოდა ხალხი, არ მომეწონა ფასები, რეალურ ფასთან შედარებით ათჯერ მეტი იყო“

კაზანტიპი, ასე თუ ისე, დიდი გამოცდილება იყო. ძალიან მომეწონა ხმა, თვითონ ფესტივალის აურა, ხალხი. ყველა ძალიან მეგობრული იყო, უმეტესობა გასართობად და კარგი მუსიკის მოსასმენად იყო ჩამოსული და არა, როგორც ხდება ქართულ კლუბებში, სიტუაციის ასარევად. ჩვენი სცენა, სადაც ჩვენ დავუკარით, დათმობილი იყო მთლიანად ბეის მუსიკის მიმდევრებისთვის. როგორებიცაა: „brakebeat“, „dup stap“, „drum and bass“, „trap“. მსმენელები რომლებიც ჩვენს სცენასთან იკრიბებოდნენ, კონკრეტულად ამ მუსიკის მოსასმენად იყვნენ მოსული, რამაც ძალიან გაგვახარა. ტექნიკური მიმართულებითაც ყველაფერი გამართული იყო. აპარატურა, რაც მჭირდებოდა, ყველაფერი ფესტივალის ორგანიზატორებმა მოგვანოდეს, რაც დაკვრის პროცესზეც აისახა და არანაირ ხარვეზს ადგილი არ ჰქონია. კიდევ, რაც ძალიან მომეწონა, კაზანტიპზე ძალიან კარგად იყო დალაგებული მუსიკა ჟანრობრივად და თითქმის ყველა მიმდევრობის მუსიკის მოსმენა შეეძლო მსმენელს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი წლევანდელ ფესტივალ Gem fest-ზე. ფაქტობრივად, გამოდის, რომ კაზანტიპთან შედარებით მუსიკალური მრავალფეროვნების მხრივ ძალიან მოიკოჭლებს წლევანდელი ფესტივალი. ის მუსიკა, რასაც წინა წელს ვუკრავდით, ანუ ბეის მუსიკა, საერთოდ არაა წარმოდგენილი. Lineup შედგება „ლეგენდარული“ მუსიკოსებისგან, შეიძლება ითქვას, მაგრამ მაინც თამამად ვიტყვი, რომ ყველა ერთსა და იმავე ჟანრში მოღვაწეობს. ასევე, ძალიან არ მომწონს ის, რომ სცენების ნაკლებობაა. როგორც ვიცი, სულ ორი მოქმედი სცენა იქნება მთელ ფესტივალზე და ეს, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მინუსია მსგავსი მასშტაბის ფესტივალისთვის. საერთო ჯამში, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ძალიან ბაძავენ კაზანტიპს, რასაც აღნიშნული ფესტივალის ორგანიზატორები უარყოფენ, მაგრამ ეს აშკარაა. რაც შეეხება ზოგად, საორგანიზაციო საკითხებს შემიძლია, ასე დავყო. რაღაც მიმართულებებში კაზანტიპი სჯობდა. უბრალოდ, ერთი ფაქტია აღსანიშნავი, რომ წელს Gem fest-ზე ბევრად მოწესრიგებულია თვითონ მთავარი საიტი, მომხმარებლისთვის ძალიან კომფორტულადაა ყველაფერი მოცემული. თუნდაც line up, თუნდაც მგზავრობის საკითხები, ფასებიც ბევრად უფრო მიმზიდველია მსმენელისთვის. კაზანტიპს წელს არაერთი ხელის შემშლელი ფაქტორი აბრკოლებს და ერთ-ერთია პოლიტიკური ვითარება ყირიმზე, რამაც შეიძლება შეაფერხოს თუნდაც უკრაინელი მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილება ყირიმის ტერიტორიაზე. ასევე, 2015 წლის თებერვალში, კამბოჯაში უნდა გამართულიყო კაზანტიპი, სადაც მიწვეული ვიყავი როგორც მე, ასევე ჩემი მეგობრები საქართველოდან და სწორედ პოლიტიკური საკითხების მოუგვარებლობის გამო ჩაიშალა თებერვლის ფესტივალი. ასე რომ, დაზღვეულები ნამდვილად არაფრისგან არიან.

მუსიკალური ჟანრების მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით ვეესაუბრეთ Gjem fest-ის „ლაინაფისა“ და „ბუქინგის“ მიმართულების ხელმძღვანელს, ბიკო სალთხუციშვილს.

– მონაწილეობენ თუ არა ქართველი მუსიკოსები ფესტივალზე და რამდენად მრავალფეროვანია წარმოდგენილი მუსიკალური ჟანრები?

– ჩვენ მიერ შერჩეული მუსიკოსები არიან საქართველოს მასშტაბით გამორჩეული შემსრულებლები. ფესტივალში მონაწილეობს ოცდაშვიდი ქართველი ინდივიდუალური შემსრულებელი და ექვსი ლაივ ბენდი. მინდა გითხრათ, რომ ფესტივალი მუსიკალურად ძალიან მრავალფეროვანი იქნება და არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ კაზანტიპთან შედარებით ნაკლები ჟანრის მუსიკა იქნება წარმოდგენილი.

მიუხედავად იმისა, რომ Gem fest-ის ორგანიზატორები მთლიანად უარყოფენ როგორც მსგავსებას, ასევე კავშირს კაზანტიპთან, მაინც არ ცხრება ამ საკითხის განხილვა საზოგადოებაში. ძალიან საინტერესოა, ასევე, სპატრიარქოს პოზიცია, 2014 წელს სამღვდელოება მიუძღოდა წინ ხალხს და მსვლელობით გააპროტესტეს ანაკლიაში ჩასატარებელი ფესტივალი. წელს, მათი მხრიდან არანაირი კომენტარი არ გაკეთებულა ამ საკითხთან დაკავშირებით. თუ წინა წელს ანაკლიაში გარყვნილების ბუდე შენდებოდა და ხალხს მოუწოდებდნენ, თავი შეეკავებინათ იქ მისვლისგან, წელს რა შეიცვალა?! იგივე ტერიტორია, იგივე თემატიკის ფესტივალი, მუსიკაც იგივე და ახალგაზრდები, ბლომად ახალგაზრდები, სქესისა და ორიენტაციის განურჩევლად. ჩნდება კითხვა, რატომ წელს არ აპროტესტებს სპატრიარქო „სოდომ-გომორს“?

სწორედ ამ კითხვით მივმართეთ სპატრიარქოს წარმომადგენელს, მამა გიორგი რაზმაძეს:

– კაზანტიპის ფესტივალი გავაპროტესტეთ როგორც ქართულმა ეკლესიამ, ასევე საზოგადოების რჩეულმა წევრებმა, რომლებიც სწორად აზროვნებენ. ვისაც აზროვნების უნარი არ გააჩნია, სწორედ ისინი იყვნენ კაზანტიპზე ჩასულები ანაკლიაში. კაზანტიპი – ეს არის აღვირახსნილი, გათახსირებული ფესტივალი, სადაც პორნოგრაფია, ნარკოტიკები, სექსი და ასე შემდეგ, ღვარად მოედინებოდა. რაც შეეხება ანაკლიაში წელს გასამართ ფესტივალს, ჩემი, როგორც სასულიერო პირის, აზრით, წლევანდელ ფესტივალზე არ ხდება მსგავსი სიბინძურეები. როგორც ტელევიზორში გასულ რეკლამებში ჩანს, ჩამოჰყავთ უცხოური მუსიკალური ჯგუფები. ადამიანებს ჩვენ ვერ ავუკრძალავთ მუსიკის მოსმენას, ერთადერთი შეგვიძლია რჩევა მივცეთ და სწორი გზისკენ ვუბიძგოთ.

როგორც მოგეხსენებათ, კაზანტიპის საორგანიზაციო ჯგუფში, აქტიურად მონაწილეობდა Gem fest-ის მამამთავრად წოდებული გიორგი სიგუა. ის სპატრიარქოს წარმომადგენლებმა არაერთგზის ახსენეს თავიანთ კომენტარებში და არც **მამა გიორგი რაზმაძე** აღმოჩნდა გამონაკლისი: „ამ პიროვნებაზე ბევრჯერ გვისაუბრია, შეიძლება უხეშად გამოვიდეს, მაგრამ ეს არის პიროვნება, რომელიც სიყმაწვილის ხურუმიანობის ასაკიდან ვერ გამოვიდა. ამ ყველაფერში გიორგი სიგუა კი არ არის დამნაშავე, არამედ ის ხალხი, ვინც მას იყენებს და აკეთებინებს მსგავს სისულელეებს. ის, სამწუხაროდ, არის „პაიკი“, არარაობა, რომელიც ბოროტი სულების მიერ იმართება. სიგუას გადაეცით, რომ ის საცოდავია, საცოდავი ოჯახის შვილია. უბრალოდ, წარწყმედის გზაზე დგას საწყალი. იქნებ თქვენი გაზეთის მეშვეობით მივაწვდინოთ ხმა და გონს მოეგოს ეგ დეგენერატი და იქნებ რამე შეცვალოს თავისი ცხოვრების წესში, თორემ შეიძლება მისმა ასეთმა საქციელებმა თვითონ კი არა, მთელი მისი საგვარეულო ამოწყვიტოს“.

კაზანტიპი ჩატარდა, ვერც სპატრიარქოს წინააღმდეგობამ გაჭრა და ვერც ხალხის სიმცირემ. ფაქტი ერთია, მოლოდინები არ გამართლდა, არც ხალხის და არც ორგანიზატორების. კაზანტიპის სწორედ ამ ფაქტებით უკმაყოფილო პრეზიდენტთან და საორგანიზაციო ჯგუფთან დაკავშირება რამდენჯერმე ვეცადეთ, მაგრამ ამაოდ, მათ არ ისურვეს ქართველ ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთება. კაზანტიპის პრეზიდენტის, **ნიკიტა მარშუნოკის** ბოლო კომენტარი მის ოფიციალურ „ფეისბუკ“-გვერდზე გავრცელდა: „ცოტა ხნის წინ ქართველებმა ანაკლიაში კაზანტიპის ძეგლი აიღეს. უცნაურია, რომ მათ კონკრეტულად ეს მონუმენტი აიღეს და არა სხვა ყველაფერი, რაც ჩვენ ავაშენეთ. რა თქმა უნდა, ანაკლიაში დარჩენილი ინფრასტრუქტურის საკუთარ დამსახურებად გასაღება მარტივია, ძეგლი კი უმჯობესია, აიღო, რომ ვერავინ მიხვდეს, ვის მიერ არის ეს ყველაფერი აგებული. საინტერესოა, როგორ მოიქცევიან წაქცეულ „Z მეტეორიტს“? Z-ს G-დ გადააკეთებენ თუ ააფეთქებენ? სასაცილოა, საბრალო და ვეღური ხალხი“!

ამასთან დაკავშირებით Gem fest-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ლაშა წურწუმიამ კომენტარი გააკეთა ჩვენთან საუბრისას და აღნიშნა: „რაც შეეხება კაზანტიპის სიმბოლიკის აღებას, ეს ჩვეულებრივი პროცედურაა, რადგანაც წინა წელს სხვა ფესტივალი ტარდებოდა და წლევანდელ ფესტივალთან მას არანაირი კავშირი არ აქვს. მარტივად რომ გითხრათ, Gem fest-ზე მოსულ სტუმრებს ნამდვილად არ უნდა დახვედროდა კაზანტიპის სიმბოლიკა. ეს იყო ჩვეულებრივი დეკორაცია და არა ძეგლი, როგორც მას უწოდეს, მოხდა მისი ჩანაცვლება Gem fest-ის სიმბოლიკით“.

მიუხედავად ფარული თუ აშკარა დაპირისპირებისა ამ ორ ფესტივალს შორის, ანაკლიაში Gem fest-ისთვის მზადება დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. მსმენელი, რომელმაც უკვე იყიდა ბილეთი Gem fest-ზე დასასწრებად, დღეებს ითვლის და ემზადება, ანაკლიაში ათი ფერადი და ხმაურიანი დღის გასატარებლად.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

განო მელითაური: „კოტე არ გაპარულა წამალში, ნარკოტიკები არაფერ შუაშია. ეს უნდა იცოდეს ყველამ“

my View

ნინო მჭედლიშვილი

წინა კვირას კოტე თოლორდავას სახელი კიდევ ერთხელ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მისმა მეუღლემ, განო მელითაურმა „მოზარდმაყურებელთა თეატრში“ პრესკონფერენცია მოიწვია, რომელზეც ექიმის დასკვნა გააცნო ჟურნალისტებს. დასკვნაში, რომელიც რუსეთიდან გამოაგზავნეს, წერია, რომ კოტე გულის ინფარქტით გარდაიცვალა და რომ არანაირი ნარკოტიკული საშუალება მის სისხლში არ იქნა აღმოჩენილი.

„დიდი იმედი მაქვს, რომ ამით ეს თემა დაიხურება და ბოლო მოეღება იმ სისულელეებს, რაც კოტეს გარდაცვალების დღიდან იწერება სხვადასხვა მედია საშუალებებში, სოციალურ ქსელში“

განო მელითაური:

- დიდი იმედი მაქვს, რომ ამით ეს თემა დაიხურება და ბოლო მოეღება იმ სისულელეებს, რაც კოტეს გარდაცვალების დღიდან იწერება სხვადასხვა მედია საშუალებებში, სოციალურ ქსელში. კოტე იმსახურებს დარჩეს ისეთად, როგორიც იყო სინამდვილეში, როგორსაც თქვენ იცნობდით. ის ყოველთვის გახსნილად საუბრობდა იმ პრობლემაზე, რომელიც მის ცხოვრებაში იყო და რომელიც ჩვენ ერთად დავძლიეთ. არაფერს გატყუებდათ. ის არ გაპარულა წამალში, ნარკოტიკები არაფერ შუაშია. ეს უნდა იცოდეს ყველამ, - თქვა პრესკონფერენციაზე მსახიობის მეუღლემ, განო მელითაურმა.

...მართლაც, კოტე ყოველთვის სიმართლეს ამბობდა, ამბობდა ყველგან, მეგობრებთან, ახლობლებთან, უბრალო ნაცნობებთან, ჟურნალისტებთანაც კი. ამის თქმის უფლებას მაძლევს ჩემი პირველი ინტერვიუ კოტესთან. მახსოვს, პირველი შთაბეჭდილება მასზე, როგორც რესპონდენტზე, გულწრფელი? არა, ზედმეტად გულწრფელი. ეს ინტერვიუ ჟურნალ „რეიტინგში“ გამოქვეყნდა. როცა კოტეზე, როგორც ნამალდამოკიდებულზე საუბრობენ, მისი სიტყვები მახსენდება. გთავაზობთ ამონარიდს ამ ინტერვიუდან.

„ -კოტე, ძალიან რთული პერიოდი იყო, ნარკოტიკი, იარაღი, ცდუნების წინაშე არ მდგარხარ?

- ეს ყველაფერი გამოვიარე. ნარკოტიკიც არ ყოფილა უცხო ჩემთვის, ოღონდ ისე არ გამიგოთ, რომ ეს მეამაყება. ძალიან ჩამოუყალიბებელი ტიპი ვიყავი. ძალიან დამეხმარა განიკო, ჩემი მეუღლე, მან წუმპიდან ამომიყვანა. მანამდე ამის მცდელობა დედაჩემს ჰქონდა. დედაჩემს უნდოდა ბიზნესმენი ვყოფილიყავი და ცუდი ბიჭი რომ გავხდი, დედა მიხვდა, აქ ჩემი გაჩერება აღარ შეიძლებოდა და ქუჩას გამარიდა. გერმანიაში გადავედით საცხოვრებლად. ბოლო ორი წელი იქაურ სკოლაში ვიარე. თუკი რამე უბედურება ხდებოდა ჩემს თავს, ყველაფერი მაშინ, როცა მამა თბილისში არ იყო. ვიღაცებს ვესროლეთ და დაგვიჭირეს.

- რატომ ესროლეთ?

- სულელები ვიყავით. კი არ გავარტყით, უბრალოდ, ვესროლეთ, ვიბლატავეთ. გარტყმაც გვინდოდა იდეაში, მაგრამ ვერ გავარტყით. ბევრნი იყვნენ ისინი, ჩვენ ორნი. მოკლედ, გამარიდა დედამ აქაურობას.

- ამან გაამართლა?

- გაამართლა. სულ სხვა სამყარო დავინახე, კომპლექსებისგან გავთავისუფლდი. მივხვდი, რას ნიშნავს ადამიანის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება. ენა ვისწავლე, კალათბურთსაც ვთამაშობდი საარბრუკენში, გუნდში ვიყავი. რომ მოვდიოდი და მაცილებდნენ თანაგუნდელები, „ლიგის საუკეთესო უცხოელი“ დამაწერეს მაისურზე. ჩამოვედი თუ არა... „ბირჟაზე“ გავედი. დამადგა „კამანდა“, ისე მცემეს... სანამ მე გერმანიაში ვიყავი, ჩემს ძმაკაცებს რაღაცები ჩაუდენიათ აქ. გამოვიდნენ ტიპები და დავხვდი მე. ჩემს ძმაკაცებს აგინებდნენ და ჩუმად ხომ არ ვიდგებოდით?! მცემეს. დიდებული დახვედრა იყო... იდეაში ეკონომიკურზე უნდა ჩამებარებინა და ისევ გერმანიაში დავბრუნებულიყავი, იქ უნდა გამეგრძელებინა სწავლა. მერე ჩემს მეგობარს გავყევი თეატრალურში. იქ მითხრეს, აბა, გამოდი, რამე გააკეთეო. ბევრი ვიმაიმუნე. რა ნიჭიერია ეს ბიჭი, თქვეს. ეს „რა ნიჭიერია“ ჩამრჩა, ორ კვირაში გამოცდები იწყებოდა თეატრალურში და ჩავაბარე.

... დიდი სიყვარული შემიძლია. ადრე სწრაფად მიყვარდებოდა, ზოგჯერ რამდენიმეც მიყვარდა ერთად (ილიმება). ცალმხრივადაც ვყოფილვარ შეყვარებული, მაგრამ ოცი წელი, როგორც დიტოს კატო უყვარს, არა. საერთოდ, იოლად ვამბობდი სიტყვას „მიყვარხარ“. პირველად რომ დავქორწინდი, მაშინაც იოლად ვთქვი ეს სიტყვა (კოტეს პირველი მეუღლე მსახიობი მარიამ ჯოლოგუა იყო - ავტ.). ორი თუ სამი წელი ვიყავით ერთად. მე 20 წლის ვიყავი, მარიამი 19-ის, ბავშვები ვიყავით. ვერ გავუგეთ და დავიშალეთ, ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე. მერე ისევ დავიწყე ხულიგნობა. ვიბოდიალე აქეთ-იქით, სამი თვე დაჭერილიც ვიყავი.

- რა დააშავე?

- პრემიერამდე სამი დღით ადრე სამეფო უბნის თეატრში ჩემმა დეგენერატმა რეჟისორმა რაღაც მომიტანა. თურმე უკან მოჰყვებოდნენ. აქეთ-იქიდან გვეცნენ უცბად და ოპ, წაგვიყვანეს. სამი თვე ვიჯექი „კამერაში“, მაშინ ქურდებიც ისხდნენ ციხეში

„ნარკოტიკიც არ ყოფილა უცხო ჩემთვის, ოღონდ ისე არ გამიგოთ, რომ ეს მეამაყება. ძალიან ჩამოუყალიბებელი ტიპი ვიყავი. ძალიან დამეხმარა განიკო, ჩემი მეუღლე, მან წუმპიდან ამომიყვანა. მანამდე ამის მცდელობა დედაჩემს ჰქონდა“

- ძალიან სერიოზული გამოცდილება გამოდგა ეს სამი თვე ჩემთვის. უბედური ხარ, მაგრამ ურთიერთობებს სწავლობ. იქ ისხდნენ ტიპები მკვლელობისთვის, ყაჩაღობისთვის. გარედან სხვანაირად ჩანს ყველაფერი, შიგნით სხვა ამბები ხდება.

- პრემიერა?..

- სხვამ ითამაშა. საპროცესო გარიგებით გამოვედით მეც და ჩემი რეჟისორიც. იცით, რას გადავრჩი? ჩემი გამოსვლიდან მეორე დღეს ბუნტი ატყდა ციხეში. იმ საკანში, სადაც მე ვიყავი, ავტომატი შეყვეს და ჩემ გვერდით „შპონკაზე“ ტიპი მოკლეს.

- გახმაურებულ ახალაიას დრო-ინდელ ბუნტზე გვიყვები?

- ჰო, სწორედ მაგ ბუნტზე, 2004 წელს. გამოსვლის წინა დღეს სასამართლოზე რომ გავყავდით, გვჩხრეკდნენ, ჯიბეებში მქონდა ხელები. ჯიბეში რა გიდევსო, მკითხეს, არაფერი-მეთქი. ამოიღეო, როგორ უნდა ამოვიღო, თუ ხელი არ ამოვყავი ჯიბიდან-მეთქი. შენ რა, „ბლატნოი“ ხარო, არა, მსახიობი ვარ-მეთქი. დამიწყეს ცემა. ჩემი რეჟისორი ყვიროდა სახეში არ დაარტყათ, მსახიობიაო, და პირიქით, უფრო მაგრად მირტყეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ადაპტაციისთვის გარკვეული პერიოდი დამჭირდა... წლების შემდეგ ტელეკომპანია „მზეში“ ვნახე განო. ძალიან საყვარელი იყო, ლამაზი. მანამდე წითელთმიან, ჭორფლიან გოგოზე ვოცნებობდი. ეგრევე შემიყვარდა. ფილმს ვახმოვანებდით ერთად. ეტყობა, მასაც გაუჩნდა რაღაც გრძნობა. იმიტომ, რომ პირველივე დღეს ხელი რომ ჩავკიდეთ ერთმანეთს, ხელჩაკიდებულები ვახმოვანებდით. ვერც მივხვდით, როდის ჩავკიდეთ ხელი. მას მერე სულ ასე ხელჩაკიდებულები დავდიოდით. მეგობრები რომ მხვდებოდნენ, არ ვიცოდი როგორ გამეცნო, მარტო სახელს ვეუბნებოდი. მერე, როგორც იქნა, გავბედე და ვუთხარი, რომ მიყვარდა. თავის დაბადების დღეზე ამწეთი მივადექი მის აივანს, ცოლად უნდა მოგიყვანო-მეთქი. გადმოვიყვანე აივნიდან განო, მეჯვარეები წავიყვანე და წავედით კონკაზე. მას მერე უკვე ექვსი წელია ერთად ვართ. ორი შვილი გვყავს, 4 წლის ტასო და 1 წლის თარაში“.

„ვნანობ, რომ გავიკეთე ნემსი. ვნანობ, მშობლებს რომ ვაბრაზებდი. არასდროს დამავიწყდება მამაჩემისა და დედაჩემის სახე, ბორკილები რომ დაგვადეს მე და ჩემს რეჟისორს. ისე მრცხვენოდა, ქურთუკის სახელოთი ვმალავდი ბორკილებს. ასეთ მომავალს არ მიმზადებდნენ ჩემი მშობლები და მრცხვენოდა, რომ ისინი გავაწბილეო“

„ვნანობ, რომ გავიკეთე ნემსი. ვნანობ, მშობლებს რომ ვაბრაზებდი. არასდროს დამავიწყდება მამაჩემისა და დედაჩემის სახე, ბორკილები რომ დაგვადეს მე და ჩემს რეჟისორს. ისე მრცხვენოდა, ქურთუკის სახელოთი ვმალავდი ბორკილებს. ასეთ მომავალს არ მიმზადებდნენ ჩემი მშობლები და მრცხვენოდა, რომ ისინი გავაწბილეო, - მიპასუხა.

აი ასეთი იყო კოტე, გულწრფელი, მართალი, სამართლიანი.

„კოტე იმსახურებს დარჩეს ისეთად, როგორიც იყო სინამდვილეში, როგორსაც თქვენ იცნობდით. ის ყოველთვის გახსნილად საუბრობდა იმ პრობლემაზე, რომელიც მის ცხოვრებაში იყო და რომელიც ჩვენ ერთად დავძლიეთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გია ჭიაბრიშვილი - ვეცდები, „საბურთალოსთან“ ერთად წარმატებული ვიყო

მაგდა კლდიაშვილი

„ის, რომ ტარიელ ხეჩიკაშვილი მინისტრი გახდა, „საბურთალოსთვის“ კომფორტი არ იქნება, ფეხბურთისთვის იქნება“

„ყოველთვის შენს თავთან უნდა იყო მართალი, ამტკიცო მაყურებელთან, ჟურნალისტებთან, ფეხბურთელებთან, ყველგან, სადაც მოგეცემა ამის საშუალება“

გია ჭიაბრიშვილი ახალგაზრდა მწვრთნელია და უკვე ორჯერ მოახერხა პირველი ლიგიდან უმაღლეს ლიგაში გუნდის გადმოყვანა. მან „ზესტაფონიც“ გახადა ჩემპიონი, თუმცა, როგორც ახლა ამბობს, „საბურთალოს“ უმაღლეს ლიგაში გადმოყვანაზე მეტად არაფერი გახარებია. ადვილია თუ არა გამოცდილი ფეხბურთელებიდან ახალგაზრდა ფეხბურთელებთან სამუშაოდ გადმოსვლა და რა გავლენას იქონიებს „საბურთალოს“ შედეგებზე გუნდის დამფუძნებლის, ტარიელ ხეჩიკაშვილის გამინისტრება. „პრაიმტაიმის“ ინტერვიუ „საბურთალოს” მთავარ მწვრთნელთან, გია ჭიაბრიშვილთან.

- საქართველოში, ხშირად, მწვრთნელი, რომელიც უმაღლეს ლიგაში მუშაობს, უკადრისობს დაბალი ლიგის გუნდში მუშაობას, თქვენ შემთხვევაში როგორ იყო?

- უკადრისობის არ მესმის. გაჩნია სად მიდიხარ. ხანდახან, პირველ ლიგაში მუშაობა ჯობს უმაღლესი ლიგის ბევრ გუნდში მუშაობას. „საბურთალო“ ჩემთვის განსაკუთრებული ადგილია. 15 წლის უკან აქ დავიწყე ჩემი სამწვრთნელო კარიერა. მწვრთნელს ყოველთვის რაღაცის დამტკიცება გიწევს. ერთი წლის წინ რა გააკეთე, არავის ახსოვს. ყოველთვის შენს თავთან უნდა იყო მართალი, ამტკიცო მაყურებელთან, ჟურნალისტებთან, ფეხბურთელებთან, ყველგან, სადაც მოგეცემა ამის საშუალება, იქ უნდა წახვიდე. ამ გუნდში ძალიან ბევრი რაღაც განვახორციელე. მომწონს აქ მუშაობა, ამიტომ, სათაკილოს ვერაფერს ვხედავ. პირველი ლიგის ჩემპიონები გავხდით და ვეცდები, „საბურთალოსთან“ ერთად წარმატებული ვიყო.

- დამტკიცება ახსენეთ... როდესაც „ზესტაფონი“ ჩემპიონი გახადეთ, საუბრები მიდიოდა, რომ გია გეგუჩაძის დატოვებული გუნდი ინერციით გახდა ჩემპიონი. „საბურთალოს“ უმაღლეს ლიგაში გადმოყვანა იყო იმის მტკიცებულება, რომ „ზესტაფონის“ ჩემპიონობაც არ იყო შემთხვევითობა?

- გია გეგუჩაძის დამსახურებას ვერანაირად ვერ დავაკნინებ. საქართველოში ერთ-ერთი კი არა, ჩემთვის, საუკეთესო მწვრთნელია. დღემდე ასე რჩება. ჩემი ყველანაირი გამოცდილება, საფეხბურთო ცოდნა, გია გეგუჩაძეს ეკუთვნის დიდი დოზით. ვერ ვიტყოდი, რომ ამან უკვალოდ ჩაიარა. ინერცია ერთ წელიწადში კი არა, ერთ დღეში ირღვევა, შენ თუ შენს სიმაღლეზე ვერ დადექი, შენი საქმე არ გააკეთე. ყოველთვის რთულია, ჩემპიონი გუნდი მომავალ წელსაც ჩემპიონი გახადო. ფეხბურთელებს მეორე მწვრთნელთან სხვანაირი ურთიერთობა აქვთ და პირველთან - სხვა. რთული იყო ამის ბალანსი. უცებ უნდა დაგეწყო, ეს იყო ერთადერთი პრობლემა. მთელი გუნდი გაგებით მოეკიდა და შევქმენით განსხვავებული წელი, განსხვავებული ფეხბურთი ვითამაშეთ. ძალიან დიდი უპირატესობით დავასრულეთ პირველი წრე. მეორე წრეში ამოუცნობი ჩემპიონატი ჩაატარეს და ცოტა გაგვიჭირდა. ეს არ იყო ინერცია, მაგრამ თუ დანერენ, რომ გია გეგუჩაძიდან წამოსული ინერცია იყო, არც ამაზე გავფშეკ ფეხებს.

- „საბურთალოს“ ახლაც გია გეგუჩაძის სტილი ეტყობა...

- ძალიან რთულია იმუშაო იმ ადამიანთან, ვისი ხედვაც არ ემთხვევა შენსას. რთული იქნებოდა ჩემი მასთან მუშაობა და საერთოდ, ძნელია, ვიმუშაო ისეთ გარემოში, სადაც ჩემი ხედვა არ ემთხვევა მთავარი მწვრთნელის ხედვას. ბავშვობიდან ასე ვფიქრობ. შემტევი ფეხბურთელი ვიყავი, არ მითამაშია დიდი ფეხბურთი, მაგრამ რაც ვითამაშე, გული მწყდებოდა ყოველთვის გაშვებულ გოლზე და როდესაც გაგვქონდა, ვზეიმობდი. ეს ჩამოყალიბებული მქონდა. გეგუჩაძე ნაკრებში ჩემი მწვრთნელი იყო და ჩემი ხასიათიც იცოდა. რაც არ უნდა ძლიერ მოწინააღმდეგეს ვეთამაშო, ვერ შევეგუები იმას, რომ თავზე ხელები ავიფარო და თავი ვაცემინო, ამიტომ ვითამაშებ. თუ თამაშით წავაგე, მეცოდინება, რომ არ შევრცხვი. ბურთების მოგერიებაზე არ ვთამაშობ.

- რა მოგცათ პატარებთან მუშაობამ?

- ეს ბავშვები პატარები არიან, სანამ მინდორზე გავლენ. მინდორზე რომ გადიან, მგონი სხვა ადამიანებად ისახებიან. ვარჯიშზე რომ მოდიან და ვუყურებ, ხანდახან მიფიქრია, ამ ბავშვებით როგორ შეიძლება ან პირველი ლიგა, ან უმაღლესი ლიგა ითამაშო. ჩაცმულს რომ ნახავ, სანამ მინდორზე გავა, ასაკითაც, ტანითაც პატარები არიან, წვერი არ აქვთ და ულვაში, ფიზიკურად ჩამოუყალიბებელნი არიან. არ ვამეტებ, ამ დონის პროფესიონალებთან ჯერ არ მიმუშავია. ესენი აქ გაიზარდნენ და იციან, რა უნდათ. ჯერჯერობით, ფეხბურთის სიყვარული მათ გულში ბევრად მეტია, ვიდრე პოპულარობა, ფულის სიყვარული, მანქანა, სახლი და ა.შ. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც გუნდი უმაღლეს ლიგაში გადმოვიყვანე. იგივე გავაკეთე „გაგრაშიც“, მაგრამ ჩემთვის, არც ერთ გუნდს ასეთი სიხარული არ მოუტანია. მათთან ერთად თავს ბედნიერად ვგრძნობ. ვიზრდები, როგორც მწვრთნელი და ისინიც პროგრესირებენ.

- გარდა იმისა, რომ გარკვეულ ეტაპზე ფეხბურთელები აღარ პროგრესირებენ, პრობლემა მწვრთნელების პროფესიონალიზმშიცაა?

- რა თქმა უნდა. ჩემს თავზეც ვიტყვი. ბავშვი ჩნდება ნიჭიერი ან უნიჭო. ღმერთისგან ეს ნიჭი გვაქვს. როდესაც ბავშვი იზრდება და ფეხბურთს ვერ თამაშობს, ჩემი ბრალია. ნიჭით თუ დაიბადა და მე ეს ნიჭი ვერ გამოვიყენე, სწორედ ფეხბურთში მოღვაწე ხალხის ბრალია. ძალიან დაბალ დონეზე გვაქვს მწვრთნელების განვითარება, გადამზადება, ყველანაირი ინფორმაციის მიღება. ჩაკეტილ ვაკუუმში ვართ და ამაში ვიხარშებით. ის ბავშვი ყველაზე ნაკლებად არის დამნაშავე, რომ ვეღარ ვითარდება.

- სად უფრო კომფორტულია მუშაობა, დიდებთან თუ პატარებთან?

- ვერ განვასხვავებ ერთმანეთისგან. ვიმუშავე ჩამოყალიბებულ პროფესიონალებთან, ზოგი ჩემზე ასაკით უფროსი იყო, მაგრამ კომფორტი ყველგან მქონდა. ალბათ, შეგნებულ ადამიანებში მომიწია მუშაობა, დისკომფორტი არ შემქმნია. ერთი სხვაობა, ამ ორ თაობას შორის ის არის, რომ ახალგაზრდა ბევრად კარგად იგებს, რას ითხოვ, ვიდრე ჩამოყალიბებული ფეხბურთელი, რომელიც 20 წელი, ერთი და იმავეს აკეთებს. ამის შეცვლა ძალიან რთულია.

- გუნდში რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი აიყვანეთ დვალისა და მენთეშაშვილის სახით და დანარჩენი ახალგაზრდა ფეხბურთელები გყავთ, ადვილია ძველი და ახალი თაობის სინთეზი?

- სიმართლე გითხრათ, ბევრ ფეხბურთელთან გვქონდა მოლაპარაკება, მაგრამ ავიყვანეთ ის ფეხბურთელები, რომლებიც ჩვენ გუნდში ჯდებიან. ეს ბიჭები ძალიან კარგად არიან აღზრდილები, ძალიან მეგობრული გუნდია. მენთეშაშვილი, დვალი, გოცირიძე, ცოტა ხნის წინ ფეხბურთელი იყო, ახლა მწვრთნელია, ძალიან გამოცდილები არიან. პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, ვის როგორი ხასიათი და თვისება აქვს. ამ ფეხბურთელებს, საქართველოს დონეზე დიდი ფეხბურთი აქვთ ნათამაშები და პატარები მათგან ძალიან ბევრ რამეს იღებენ. სინთეზი მოხდა პიროვნებიდან გამომდინარე. ვისგანაც ბევრს ისწავლიან ეს ახალგაზრდები, ისინი მოგვყავს.

- „საბურთალოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი სპორტის მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილია. რა ფუნქციები დარჩა მას გუნდში და თუ რომელიმე თამაშში მსაჯს თქვენი მისამართით სიმპათია ექნება, დამფუძნებლის მინისტრობა თქვენს იმიჯს ხომ გააფუჭებს?

- ჩვენს ჩემპიონატს შევხედოთ. ზუსტად ვიცი, ჩვენ მიმართ სიმპათია არ იქნება. არასდროს გვეყოლება მიკერძოებული მსაჯობა. ცხოვრების წესით, აქამდე გარეულები არ ვყოფილვართ არაფერში და არც შემდეგ ვიქნებით. მსაჯი მინდორზე რომ გავა, იქნება ნეიტრალური ან „საბურთალოს“ მხარეს არ დაიჭერს. იმხელა ფეხბურთელებს ვეთამაშებით, მაყურებელიც წნეხის ქვეშ აქცევს მსაჯს და ფეხბურთელებიც, ამიტომ ეს კითხვა არ გაჩნდება. დამფუძნებლები კახა და ქართლოს ჭუმბურიძეები არიან. ახლა მმართველი დირექტორი კახა ჭუმბურიძეა. ტარიელ ხეჩიკაშვილს მხოლოდ სპორტი ეხება. ის უზომოდ არის შეყვარებული თავის კლუბზე. სხვანაირად ვერ იქნება. მისი მინისტრობა ფეხბურთს წაადგება მთლიანად და თქვენც დაინახავთ და ჩვენც. ის, რომ ტარიელ ხეჩიკაშვილი მინისტრი გახდა, „საბურთალოსთვის“ კომფორტი არ იქნება, ფეხბურთისთვის იქნება.

- იოლი იქნება ახალგაზრდა ფეხბურთელებით ჩემპიონატში კარგი ადგილის დაკავება, რა იქნება თქვენთვის ოპტიმალური შედეგი?

- კარგი იქნება, თუ ჩემპიონები გავხდებით. როდესაც ჩემპიონატს იწყებ, არავინ ფიქრობს, რომ გავარდება. პირველი წელია, ათასი პრობლემის წინაშე ვიქნებით. ასე არ ვისახავთ მიზანს, არც წინა წელს დაგვისახავს, რომ უნდა გადმოვსულიყავით უმაღლეს ლიგაში. ეს მოიტანა თამაშის დონემ. ფეხბურთელების ზრდა იმდენად დიდი იყო, რომ მათი პირველ ლიგაში დარჩენა რეგრესი იქნებოდა. ეს სპონტანურად მოხდა. გავარდნა გამორიცხულია. რაც უფრო მაღალ საფეხურს და - ვიკავებთ,

„ვაკუუმში ვართ და ამაში ვიხარშებით“

„ვერ შევეგუები იმას, რომ თავზე ხელები ავიფარო და თავი ვაცემინო, ამიტომ ვითამაშებ. თუ თამაშით წავაგე, მეცოდინება, რომ არ შევრცხვი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მე არავის ვარცხვენ!..“

სოსო ჯაჭვლიანი ფიქრობს, რომ იხუმრა და ჟურნალისტებთან საუბარში საკუთარ გუნდს საყვედურობს:

„უმრავლესობის ზოგიერთი წევრი იუმორზე მართლა აცრილი ყოფილა. მათ თუ რაიმე პრობლემა აქვთ, მოვიდნენ და მკითხონ, ეს განცხადება რატომ გავაკეთე... იცით, მათ რისი უნდა რცხვენოდეთ?.. მოვიდნენ და გაარკვიონ, რა მოხდა... ამ გუნდის პრობლემა სნორედ ესაა. ისინი ისე გაგწირავენ... შარშანდელი თოვლივით დაგივიწყებენ. გაიგე? ამ გუნდის პრობლემაც სწორედ ესაა. „ქართული ოცნების“ გუნდის პრობლემა არაგუნდურობაა. თუ მათ რაიმესი რცხვენიათ, მოვიდნენ, მკითხონ და ავუხსნი, რატომ ვარცხვენ და მათ. იმასაც ავუხსნი, ვინ სად გვარცხვენს. ყველანი დამიჯდნენ. აქეთ ბოდიში მოიხადონ. მე არავის ვარცხვენ!.. ყველაზე მაგარი და დიდი ღირსებაა და ყველა პარტიისა და გაერთიანების დედაც... თუ გუნდურობაა, გუნდურობა უნდა იყოს და ვინ სად არის შერცხვენილი, დავსხდეთ და ვისაუბროთ...“

რას ურჩევს ჯაფარიძე ხელისუფლებას

„ახალი პოლიტიკური ცენტრი“ მთავრობას ელექტროენერგეტიკის სისტემის დამატებითი ღირებულების გადასახადისგან (დღგ) განთავისუფლებასა და ელექტროენერგიაზე ე.წ. დიფერენცირებული სატარიფო პოლიტიკის შემოღებას ურჩევს.

„საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოთხოვნის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება და ელექტროენერგიის ტარიფი გაზარდა დაახლოებით 4 თეთრით. ასევე, გუშინვე იგივე კომისიას ანალოგიური მოთხოვნით მიმართა კომპანია „თელასმაც“, რაც ნიშნავს იმას, რომ უახლოეს მომავალში თბილისში მცხოვრებ მოქალაქეებთან მიმართებაშიც მოსალოდნელია ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა. ეს არის იმ გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგი, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ატარებდა. ყველაზე ცუდი ისაა, რომ მთავრობამ გადაწყვიტა, გამოსავალი მოძებნოს არასწორ გზაში, რაც გულისხმობს ბიუჯეტიდან ელექტროენერგიის ტარიფის სუბსიდირებას. ეს არის არასწორი გზა, რომელიც, საბოლოო ჯამში, საქართველოს ეკონომიკასა და ენერგეტიკულ სისტემას კიდევ უფრო მეტ პრობლემამდე მიიყვანს. სუბსიდირება გამოსავალი არ არის, რადგან ელექტროენერგიაზე ტარიფის გაზრდა ნებისმიერ შემთხვევაში გამოიწვევს ფასების გაზრდას პირველადი მოხმარების პროდუქტებზე, ეს კი ისევ გაჭირვებულ მოსახლეობას დაანვება ტვირთად. თუ მთავრობის მიზანს წარმოადგენს ის, რომ გაჭირვებულ მოსახლეობას დაეხმაროს, ამ შემთხვევაში გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფომ არ ამოიღოს იმდენი ფული, რამდენსაც იღებს კონკრეტულად ენერგეტიკის სისტემიდან, უარი თქვას საკუთარ ხარჯებზე, მათ შორის შეამციროს საკუთარი ხარჯები რამდენიმე ასეული მილიონით და დატოვოს მეტი ფული საქართველოს ენერგეტიკაში, რაც ხელს შეუწყობს იმას, რომ ტარიფის გაზრდა აღარ მოხდეს.

გასაკეთებელი არის ორი რამ: პირველი – ელექტროენერგეტიკის სისტემა უნდა განთავისუფლდეს დამატებითი ღირებულების გადასახადისგან და მეორე, რაც, ასევე, მნიშვნელოვანია, მოხდეს განსხვავებული ტარიფების შემოღება წლის სხვადასხვა სეზონსა და დღის სხვადასხვა პერიოდში, რასაც ე.წ. დიფერენცირებული სატარიფო პოლიტიკის შემოღება ჰქვია. ამ სისტემას იყენებს ბევრი განვითარებული ქვეყანა“.

ნევროზი და მ

სალომე ჯოლია

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონი პირდაპირ აისახება ჩვენი მოქალაქეების ფსიქიკასა და ჯანმრთელობაზე. ალბათ, ძნელად თუ შეგხვდებათ ოჯახი, რომელსაც ბანკებიდან, კერძო მევახშეებისგან, ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან სესხი არ ჰქონდეს აღებული. ზოგს ბინა აქვს ჩადებული იპოთეკაში, ზოგს – ავტომობილი, სხვებს დალომბარდებული აქვთ ოქრო და სხვა პირადი ნივთები... ამას თან სდევს გამოსახლებები, აზარტული თამაშები, დიდი ოდენობით წაგებული თანხები და ა.შ.



სოსო ბურდულაძე, ნევროლოგი: „ეკონომიკური ფაქტორები, კრედიტები, სესხები და აზარტული თამაშები ძალიან მოქმედებს ნერვულ სისტემაზე“

ცხადია, ეს ყველაფერი საკმაოდ მძიმედ აისახება ადამიანების ნერვულ სისტემაზე. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ ადამიანები სპეციალისტებს, იქნება ეს ფსიქოლოგი, თუ ნევროლოგი. ესეც, ალბათ, იმ მძიმე სოციალური პირობებიდან გამომდინარეობს, რომელზეც დასაწყისში ვსაუბრობდით.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, სპეციალისტებთან ერთად გაეანალიზებინა, რა იწვევს ნევროზს? რატომ არიან ადამიანები ერთმანეთის მიმართ აგრესიულად განწყობილნი და რეალურად, აისახება თუ არა ქვეყანაში არსებული სოციალური ფონი ადამიანების ფსიქიკასა და ნერვულ სისტემაზე?

ამ კითხვებზე სპეციალისტებს ერთგვაროვანი პასუხი არ აქვთ. მაგალითად, ნევროლოგი სოსო ბურდულაძე მიიჩნევს, რომ მძიმე სოციალური გარემო პირდაპირ აისახება ადამიანის ფსიქიკაზე. ფსიქოლოგი გივი მერაბიშვილი კი საკითხს სხვაგვარად უყურებს.

ჩვენ გთავაზობთ ორივე სპეციალისტის შეფასებებს. დასკვნები კი, არსებული რეალობის გათვალისწინებით, თავად გამოიტანეთ.

სოსო ბურდულაძე, ნევროლოგი:

– ზოგადად, ქვეყანაში არსებული სოციალური ფონი, ნებისმიერი კუთხით, იწვევს ნევროზს. ადამიანის გონება ყოველთვის შეპყრობილია იმით, რომ ვაიმე ფულია გადასახდელი, ფული არ მყოფნის და ა.შ. ეკონომიკური ფაქტორები, მაგალითად, კრედიტები, სესხები და ახალგაზრდებში ისეთი პათოლოგიური თამამები, როგორებიც არის ტოტალიზატორები, კაზინოები ძალიან მოქმედებს ნერვულ სისტემაზე და იწვევს ნევროზს.

გივი მერაბიშვილი, ფსიქოლოგი:

– მთლად სწორი შეხედულება არ არის, როცა გვგონია, რომ ცუდი გარემო ადამიანზე ცუდ გავლენას ახდენს, პირიქით. ზოგჯერ მშვიდი გარემო უფრო უარესია. ეს გარკვეულწილად პარადოქსია, მაგრამ ასეა. ნევროზით დაავადებული ადამიანი შეიძლება დასვენების დროს უფრო ცუდად გახდეს, რადგან დასვენება დაკავშირებულია ფიქრთან. ისინი ე.წ. მშფოთვარე სიტუაციებში უფრო უკეთ გრძნობენ თავს. ხშირად თვითონ ეძებენ სარისკო სიტუაციებს. მაგალითად, ექსტრემალურ გასართობ საშუალებებს. აზარტული თამაშებიც სწორედ ამასთან არის დაკავშირებული.

აზარტულმა თამაშებმა თავისთავად შეიძლება უფრო მეტად გააღიზიანოს ადამიანი და შეიძლება თვითმკვლელობამდეც კი მიიყვანოს, მაგრამ თავისთავად ეს არ არის მიზეზი. ეს არის საბაბი. ხშირად ჰგონიათ მიზეზი, მაგრამ – არა. ნარკომანია, ალკოჰოლიზმი და ა.შ. არის საბაბი იმისთვის, რომ ბავშვობაში ჩადებული უარყოფითი განწყობა გამოვლინდეს.

რჩევა ნევროზით დაავადებულ ადამიანებს

სოსო ბურდულაძე, ნევროლოგი:

– ნუ ექნებათ შიში აღნიშნული მდგომარეობის, დაავადების მიმართ. გააცნობიერონ არსებული მდგომარეობა. გააცნობიერონ, რომ ეს არის ნერვული სისტემის დაავადება და არა გულის, ან კუჭის პათოლოგია. გააცნობიერონ, რომ ამით მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ჩაიტარონ ე.წ. ავტოტრენინგი. გადაიტანონ ყურადღება სხვა საკითხებზე, გართობაზე, ფიზიკურ განტვირთვაზე, დასვენებაზე და ა.შ. სულიერი განტვირთვა აუცილებელია, რაც გულისხმობს არა კომპიუტერისა თუ ტელევიზორის ყურებას, არამედ გამოფენებზე, თეატრებსა და კინოებში სიარულს. მიმართონ სპეციალისტს. არ შეიძლება თვითმკურნალობა, სხვების რჩევით არ მიიღონ წამლები.

გივი მერაბიშვილი, ფსიქოლოგი:

– გაიაროს ფსიქოთერაპიული მკურნალობის კურსი. არ გააცდინონ სეანსები. წამალი არის ხელისშემშლელი, უწამლოდ ჩაატარონ მკურნალობა. რაც მთავარია, იყვნენ გულახდილები. უნდა ისაუბრონ ისეთ თემებზე, რასაც ხშირად თვითონაც გაურბიან და საკუთარ თავსაც ვერ უმხელენ.

ნევროზის განმარტება

სოსო ბურდულაძე, ნევროლოგი:

– ტერმინი „ნევროზი“ არ არის ერთი დაავადების მომცველი, ის მოიცავს რამდენიმე პათოლოგიურ მდგომარეობას. შეიძლება ითქვას, რომ კრებითი ტერმინია. ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის სინდრომი, მაგალითად: შფოთვითი აშლილობა, ვეგეტატიური ნევრული სისტემის დარღვევები, ძილის დარღვევა, მოუსვენრობა, დეპრესია და ა. შ. ნევროზი უფრო ყოფითი ტერმინია, ვიდრე კლინიკური, და მოიცავს ნერვული სისტემის პათოლოგიური, სახეშეცვლილი სინდრომების, სიმპტომების ერთობლიობას.

გივი მერაბიშვილი, ფსიქოლოგი:

– ზოგადად, ნევროზი მიჩნეულია, როგორც ნევროლოგიური დაავადება. ფსიქოთერაპიული პრაქტიკის გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, ეს არის ფსიქიკური მდგომარეობა, ფსიქიკური აშლილობის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა. არსებობს ფსიქოზი და ნევროზი. ძლიერი აშლილობა ფსიქოზური მდგომარეობაა. ფსიქოზის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მდგომარეობა არის შიზოფრენია. ნევროზი შედარებით უფრო მსუბუქი ხასიათისაა, თუმცა მის დროსაც ვლინდება ისეთი სიპტომები, რომლებიც ფსიქოზს ახასიათებს. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, ზღვარის გავლება ნევროზსა და ფსიქოზს შორის არც ისე ადვილია.

ფსიქოზის დროს ადამიანს აქვს ჰალუცინაციები და ბოდვები. ნევროზის დროს ჰალუცინაციების მსუბუქი ფორმები შეინიშნება.

ის, რაც მშობლებმა აუცილებლად უნდა იცოდეთ!

სოსო ბურდულაძე, ნევროლოგი:

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ძიმე სოციალური ფონი

„ნევროზის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი არსებობს: გენეტიკა, ფსიქიკური მდგომარეობა, ტრავმა, შიში, მშობლის არასწორი დამოკიდებულება შვილის მიმართ და სხვა“

გივი მერაბიშვილი, ფსიქოლოგი: „ადამიანს აქვს ფიქრის შიში – ეს არის ძირითადი პრობლემა“

– არსებობს ნევროზის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი. მაგალითად: კულტურული, სოციალური, ოჯახური ან სამსახურებრივი მდგომარეობა. აგრეთვე, ინტიმური და სექსუალური მდგომარეობა. თუმცა, ნევროზი ყოველთვის ჰპოვებს ნოყიერ ნიადაგს ემოციურ ინდივიდებში, ვინც გულჩვილი, ან ადვილად გაღიზიანებადია. დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის სწორ აღზრდას მისი სწორი ფსიქიკისა და ნერვული სისტემის ჩამოყალიბების კუთხით.

გივი მერაბიშვილი, ფსიქოლოგი:

– ნევროზის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი არსებობს: გენეტიკა, ფსიქიკური მდგომარეობა, ტრავმა, შიში, მშობლის არასწორი დამოკიდებულება შვილის მიმართ და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გენეტიკურ ფაქტორს. თუმცა, გადამწყვეტი მაინც ფსიქიკური მდგომარეობაა. ხშირად ყოფილა შემთხვევები, როდესაც პაციენტი მალავს მშობლებისა და თავის მდგომარეობას, რადგან მიიჩნევს, რომ, თუ ეს მდგომარეობა გენეტიკურია – არაფერი ეშველება. მიუხედავად ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერი დაავადება, ნევროზია ეს თუ ფსიქოზი, იკურნება.

დაავადების ჩამოყალიბება იწყება პირველ ექვს წელიწადში. პირველი ექვსი წელი ბავშვის განვითარებისთვის ყველაზე სათუთი და საშიში პერიოდია. ამ პერიოდში ბავშვები, მიუხედავად მშობლების მზრუნველობისა, მაინც იღებენ ფსიქიკურ ტრავმას. ეს ტრავმა არის შიში, რომელიც დაედება პირველად სასიცოცხლო მოთხოვნილებებს, საკვების მიღებას, მოშარდვას, კუჭში გასვლას, უსაფრთხოებას. ბავშვს შეიძლება შეეშინდეს ცხოველის, ადამიანის, სიბნელის, სიმაღლის და ა. შ. ბევრი რამ არის დამოკიდებული მშობლის ქცევაზეც. მაგალითად, როდესაც ბავშვს აშინებენ, ემალებიან ან ეჩხუბებიან. ეს ყველაფერი შეიძლება იყოს ძალიან ძლიერი რისკ-ფაქტორი.

ნევროზს ასაკი არ აქვს!

სოსო ბურდულაძე, ნევროლოგი:

– ნევროზული ხასიათის ჩივილები უფრო მეტად სჭარბობს ახალგაზრდა და შუახნის ასაკის ადამიანებში, დაახლოებით 20 დან 55 წლის ჩათვლით და უფრო მეტად მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს ახასიათებთ. რაც შეეხება ბავშვებს, ძირითადი, რაც ბავშვთა ასაკის ნევროზებში გვხვდება, არის ლოგონევროზი, ანუ ენაბრგვილობა. აგრეთვე, ხშირად გვხვდება ძილის დარღვევები, ძილში გამოღვიძება, წამოყვირება, მოუსვენრობა, გაღიზიანება.

გივი მერაბიშვილი, ფსიქოლოგი:

– ნევროზი იწყება ბავშვობის ასაკში და მაშინვე ვლინდება. ოღონდ ამ დროს არ არის მწვავედ გამოვლენილი. ყველაზე უფრო გამოვლენილი, მძიმე ფორმები არის გარდატეხის ასაკში. ნევროზის გამოვლენა 12-13 წლიდან იწყება. ყველაზე მწვავე, ფსიქოზურ მდგომარეობას ვხვდებით 16-23 წლის ასაკში.

დღეს ყველა ადამიანს ახასიათებს ნევროზული მდგომარეობა. როცა ეს მსუბუქი მდგომარეობაა, არც აქცევენ ყურადღებას, მაგრამ როცა უკვე რთულდება, მაშინ მიმართავენ ფსიქიატრს, თერაპევტს, ნევროლოგსა და ა.შ. თუ მათ მიერ დანიშნულმა წამლებმა არ უშველა, მაშინ მოგვმართავენ ჩვენ, ფსიქოლოგებსა და ფსიქოთერაპევტებს.

ხშირია შემთხვევები, როდესაც 60-70 წელს გადაცილებული ადამიანები მოგვმართავენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ძალიან ძნელდება მკურნალობა. ამ პერიოდში ნევროზს იმდენად მყარად აქვს ჩამოყალიბებული თვისებები, რომ მისი შეცვლა ძალიან ძნელია. რაც უფრო ადრეულ პერიოდში მოდის პაციენტი, მით უფრო უკეთესია.

როგორ გავთავისუფლდეთ ნევროზისგან?

სოსო ბურდულაძე, ნევროლოგი:

– ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ინდივიდუალურია. დამოკიდებულია ბევრ ისეთ ფაქტორზე, როგორიც არის გენეტიკური გაწყობა, რაც გულისხმობს დაავადების მიმართ მზაობას, სქესი, ასაკი, პაციენტის ფიზიკური ჯანმრთელობა, ხასიათი და ა.შ.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნევროზი არსებობდა, არსებობს და იარსებებს მანამ, სანამ კაცობრიობა, ცივილიზაცია არ გადაშენდება. უბრალოდ, მთავარია, ადეკვატური მკურნალობა საჭირო დროსა და საჭირო ადგილას. ეს არის კაცობრიობის თანმდევი პრობლემა.

გივი მერაბიშვილი, ფსიქოლოგი:

– ტარდება ფსიქოთერაპიული სეანსები, უმრავლეს შემთხვევაში, კვირაში ვატარებთ 3 სეანსს. შემდგომ, როცა გარკვეულ ეტაპს მივაღწევთ, დღეების რაოდენობა მცირდება. მკურნალობის პერიოდი დამოკიდებულია როგორც ფსიქოთერაპევტზე, ისე თვითონ პაციენტზეც. უნდა აღინიშნოს, რომ განკურნებისთვის მთავარია, პაციენტმა იაროს და მკურნალობის კურსი არ გააცდინოს. ფორმულასავით არსებობს „თუ ივლის – განიკურნება“.

რამდენ ხანში?

– ზუსტად ვერ გეტყვით. შედეგი რა არის? ზოგადად, ადამიანს აქვს ფიქრის შიში – ეს არის ძირითადი პრობლემა. ჩვენ პაციენტები მიგვყავს იქითკენ, რომ ვასწავლოთ ფიქრი. ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ფორმულა – „თუ მე არანაირი ფიქრის არ მეშინია, ვარ ბედნიერი“.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ელექტრონული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი რუსთავში ჩატარდება

„მთავარი ჰედლაინერი არის მუსიკალური პრემია GRAMMY-ის მფლობელი, MTV-ის მუსიკალური დაჯილდოების ათგზის გამარჯვებული, მსოფლიო ელექტრონული მუსიკის ერთ-ერთი დამაარსებელი, ლეგენდარული DJ, რომლის დონის მუსიკოსიც, ამ მიმდინარეობაში, საქართველოში ჯერ არ არის ნამყოფი – FATBOY SLIM, რომელიც მდიდარი მუსიკალური ბიოგრაფიის გარდა, ცნობილია სახელგანთქმული ჰიტებითა და ვირტუოზული შოუებით“

„ფესტივალზე დასწრება უფასო იქნება. ეს იქნება ერთგვარი საჩუქარი“

my View
ნინო მჭედლიშვილი

პირველად საქართველოში, 2015 წლის 11 სექტემბერს, „ბრავო რეკორდსის“ ორგანიზებით ტარდება საცეკვაო ელექტრონული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი GlobalGathering. ეს არის ბრიტანული ფესტივალი, რომელიც 2001 წლიდან ყოველწლიურად ტარდება დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, საფრანგეთში, საბერძნეთში, სამხრეთ კორეაში, უკრაინაში, თურქეთში, ავსტრალიასა და სხვა ქვეყნებში. დიდ ბრიტანეთში GlobalGathering აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მუსიკალური ფესტივალი და განთქმულია მსოფლიო დონის მონაწილე DJ-ებით. საქართველოში GlobalGathering-ის ჩატარების ლიცენზია მოიპოვა „ბრავო რეკორდსმა“. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქვეყანაში ლიცენზირებული უცხოური მუსიკალური ფესტივალი ტარდება. GlobalGathering-ის ჩატარება მიზნად ისახავს მსოფლიო მასშტაბის და სტანდარტის მქონე ფესტივალის დამკვიდრებას საქართველოში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ნიჭიერი ქართველი DJ-ების საერთაშორისო ფესტივალებზე წარდგენას და მათი საერთაშორისო ცნობადობის ზრდასა და პოპულარიზაციას მთელ მსოფლიოში. GlobalGathering ახალგაზრდული მასობრივი კულტურის განუყოფელი ნაწილია და მის ჩატარებას მსოფლიოში ყოველწლიურად ასეულ ათასობით ადამიანი ელოდება. GlobalGathering საქართველო 2015 ჩატარდება ქ. რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე, რომელიც დაპროექტებულია საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას მსგავსი მასშტაბის ფესტივალის ჩატარებისთვის. ფესტივალი ხელს შეუწყობს ქალაქ რუსთავის, როგორც ინდუსტრიული იმიჯის მქონე ქალაქის, კულტურულ განვითარებას და საქართველოს ამ რეგიონში ტურისტების მოზიდვას. ფესტივალის მთავარი ჰედლაინერი არის მუსიკალური პრემია GRAMMY-ის მფლობელი, MTV-ის მუსიკალური დაჯილდოების ათგზის გამარჯვებული, მსოფლიო ელექტრონული მუსიკის ერთ-ერთი დამაარსებელი, ლეგენდარული DJ, რომლის დონის მუსიკოსიც, ამ მიმდინარეობაში, საქართველოში ჯერ არ არის ნამყოფი – FATBOY SLIM, რომელიც მდიდარი მუსიკალური ბიოგრაფიის გარდა, ცნობილია სახელგანთქმული ჰიტებითა და ვირტუოზული შოუებით. ფესტივალის ფარგლებში შედგება პირველი ქართული ელექტრონული მუსიკალური პროექტის პრეზენტაცია, რომლის ავტორიც, „ბრავო რეკორდსის“ კომპოზიტორი, ბორიკო შხიანია. ეს გახლავთ ქართული შოუ ბიზნესის წარმომადგენლების დებიუტი „progressive house“-ის მიმართულებით, რომლის სახითაც, ფესტივალის სტუმრებს ძალიან დიდი სიურპრიზი ელით. ფესტივალზე ასევე დაუკრავენ სხვა ცნობილი უცხოელი და ქართველი DJ-ები, რომელთა ვინაობაც მოგვიანებით გამოცხადდება. GlobalGathering საქართველო 2015 გამორჩეული იქნება სხვადასხვა ტიპის შოუს ელემენტებით, გასართობი წარმოდგენებითა და სახალისო აქტივობებით, რომელთა განხორციელებასაც უზრუნველყოფს „ახალგაზრდობის საერთაშორისო ცენტრი“.

სტუდია „ბრავო რეკორდსში“ შეკრებილ ჟურნალისტებს ზაზა შენგელია ფესტივალის დეტალებზე დაწვრილებით გვესაუბრა.

ზაზა შენგელია:

- ფესტივალი ხორციელდება საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტისა და ქვემო ქართლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით. საქართველოს ისტორიაში არც ერთი უცხოური ლიცენზირებული ფესტივალი არ ჩატარებულა. ეს არის პირველი. ამ ფესტივალს ეყოლება თავისი დირექტორი, მაია ბიჭიკაშვილი. და „ბრავო რეკორდსის“ მთელი ჯგუფი იმუშავებს ამაზე. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ქართველი მსმენელის გემოვნებას ვითვალისწინებთ, რა მოსწონს ახალგაზრდობას, როგორი მუსიკა, მოგეხსენებათ, რომ დღეს ელექტრონულ მუსიკას მთელ მსოფლიოში საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავს, ბევრი უსმენს, განსაკუთრებით ახალგაზრდები. საქართველოში ტარდება რამდენიმე ფესტივალი, მაგრამ მათი მიზანი სულ სხვა არის, ჩვენი მიზანია ქართველი მუსიკოსები, ბევრი მოყვარული, ჩვენი დიჯეები, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ მუსიკალურ ინდუსტრიაში, გავიყვანოთ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ეს არის ჩვენი ამოცანა... მინდა მოგახსენოთ, თუ რატომ რუსთავი? პირველ რიგში იმიტომ, რომ ინგლისელები იყვნენ ჩამოსულები და თავად გააკეთეს არჩევანი რუსთავის ავტოდრომზე. ეს არის თანამედროვე არენა, ძალიან კარგად აღჭურვილი საინჟინრო ნაგებობა, კარგი პირობებით, ინფრასტრუქტურით. მოგეხსენებათ, რომ ყველა კულტურული ღონისძიება ბათუმში, ანაკლიაში ან თბილისში ტარდება, რუსთავში ჯერ არ ჩატარებულა. რუსთავი, რომელიც ტრადიციულად ინდუსტრიული ქალაქის იმიჯით იყო ცნობილი, ვფიქრობთ, უფრო მიმზიდველი იქნება და შეიცვლის პროფილს, როცა ასეთი დიდი ფესტივალი დაიდებს იქ ბინას... ერთ-ერთი მთავარი მიმართულება არის ტურისტებისთვის მიმზიდველობა. ჩვენ მივმართეთ ტურიზმის ადმინისტრაციას, რომელიც აქტიურად გვეხმარება იმაში, რომ ტურისტები მაქსიმალურად იქნენ მოზიდული. ვფიქრობთ, რომ პირველივე ფესტივალზე შევძლებთ დაახლოებით 2-3 ათასი ტურისტის მოზიდვას. ეს იქნება სომხეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი... რაც შეეხება იმას, თუ ვინ გამოვა ფესტივალზე, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ, არც მეტი არც ნაკლები, უდიდესი დიჯეი, ყველასთვიოს ცნობილი ნორმან კუკი, რომელიც ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი ფუძემდებელია მსოფლიოში და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ დონის დიჯეი საქართველოში ჯერც არ არის ნამყოფი, ეს არის უნიკალური მუსიკოსი, დაახლოებით იგივე, რაც პოპ მუსიკაში „პინკ ფლოიდი“ და პოლ მაკარტნი. რა თქმა უნდა, იქნებიან სხვა დიჯეებიც, ინგლისელები, გერმანელები, ამერიკელები, სომხები, რუსები.

„ფესტივალის ფარგლებში შედგება პირველი ქართული ელექტრონული მუსიკალური პროექტის პრეზენტაცია, რომლის ავტორიც, „ბრავო რეკორდსის“ კომპოზიტორი, ბორიკო შხიანია“

რაც შეეხება კიდევ ერთ უნიკალურ პროექტს, რომელსაც ვამზადებთ „ბრავო რეკორდსში“, აქ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია არის ის, რომ ქართული მუსიკალური პროდაქშენის მიმდინარეობა შევცვალოთ და ამ მიმართულებით განვავითაროთ. ჩვენი კომპოზიტორი და არანჟირების ავტორი, ერთ-ერთი უნიჭიერესი ადამიანი საქართველოს მუსიკალურ ინდუსტრიაში ბორის შხიანი, კომპოზიტორი, მანუჩარ მანჯგავიძე მუშაობენ სრულიად ახალ პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს ამ ჟანრში, რასაც ჰქვია „პროგრესი ჰაუს“, კომპოზიციების, სიმღერების შექმნას, რომლებსაც შეასრულებენ ისეთი პოპულარული ახალგაზრდა მომღერლები, როგორებიც არიან: ნინა სუბლატი, მარიკო ლეჟავა, ალეკო ბერძენიშვილი და სხვები. ალბათ, ამ პროგრამის პრეზენტაცია გაიმართება ამ ფესტივალის ფარგლებში და შემდგომში, ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება იქნება გავიტანოთ ეს პროგრამა უცხოურ ფესტივალებზე... სანახაობის დროს ჩვენ გამოვიყენებთ სტუდენტურ ძალებს, ფესტივალი იქნება ძალიან სანახაობითი და სწორედ ამითაც განსხვავდება სხვა ფესტივალებისგან... ფესტივალზე დასწრება უფასო იქნება. ეს იქნება ერთგვარი საჩუქარი. ეს არის ერთობლივი გადაწყვეტილება ტურიზმის ადმინისტრაციის, სამხარეო ხელმძღვანელობის, ქალაქის მერიის, აგრეთვე ინგლისელი პარტნიორებისა. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველას შეეძლება მისვლა. პიროვნებები, რომლებიც 18 წელს ქვემოთ არიან, ვერ მოხვდებიან ფესტივალზე. ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ მოხდეს უფასო ტრანსპორტირება, რომ ახალგაზრდებს უპრობლემოდ შეეძლოთ ფესტივალზე მისვლა. მიუხედავად იმისა, რომ რუსთავი თბილისიდან შორს არ არის. ჩვენ მაინც გვინდა უზრუნველვყოთ ტრანსპორტირება. ფესტივალი დაიწყება საღამოს 6 საათზე და 12 საათი გაგრძელდება, ანუ დამთავრდება დილით, 6 საათზე... ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, ეს ფესტივალი დამკვიდრდეს ყოველწლიურ ფესტივალად.

პაატა ხიზანიშვილი (ქვემო ქართლის გუბერნატორი):

- მოგეხსენებათ, რომ ქვემო ქართლში, სადაც ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი მაღალი დონის ფესტივალების ჩატარება. მუნიციპალიტეტები და ქვემო ქართლის ადმინისტრაცია ყველანაირად შეუწყობს ხელს, რომ ფესტივალი ორგანიზებულად ჩატარდეს და ამან დიდი როლი ითამაშოს მთლიანად ქვემო ქართლის სულიერების, მთლიანად ახალგაზრდების და, რაც მთავარია, მთელი საქართველოს განვითარებაში.

გიორგი ჩოგოვაძე (ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი):

- მოხარულები ვართ, რომ საქართველოში ჩატარდება პირველი ლიცენზირებული საერთაშორისო ფესტივალი. დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ ფესტივალთან და ამ ცნობილ შემსრულებლებთან ერთად საქართველოში ახალი ეპოქა დაიწყება. ძალიან გვიხარია, რომ ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როდესაც საქართველოში ტურისტების რაოდენობა ყოველთვიურად იზრდება. ვიმედოვნებთ, რომ ეს ფესტივალიც ამის საუკეთესო მაგალითი იქნება.

„პიროვნებები, რომლებიც 18 წელს ქვემოთ არიან, ვერ მოხვდებიან ფესტივალზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები გრანდიოზული სანახაობით გაიხსნა

მაგდა კლდიაშვილი

თბილისი 26 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით, ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს მასპინძლობს. კვირას, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, ოლიმპიური ფესტივალის გრანდიოზული გახსნის ცერემონიალი გაიმართა. არგონავტები, საქართველოს 12 რეგიონის ისტორია, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი და ციდან ჩამოსული ოლიმპიური ცეცხლი - ოფიციალური გახსნის ცერემონიალი გრანდიოზულმა ფოიერვერკმა დაასრულა. პირველად საქართველოში, განსხვავებულ ფოიერვერკს თან ციდან საქართველოს დროშები მოჰყვა.

„ციდან, გოგონას ჩამოაქვს ოლიმპიური ცეცხლი, რომელსაც მოედნის შუაში გადასცემს მეჩირაღდნეს“



გახსნის ცერემონიალის მოსამზადებელ საორგანიზაციო ჯგუფს საქართველოს კულტურის პალატის ხელმძღვანელი, დავით ოქიტაშვილი ხელმძღვანელობდა. საქართველოს კულტურის პალატამ აღნიშნული ღონისძიებების რეჟისორად მსოფლიოში აღიარებული რეჟისორი, დევიდ ცოლკვერი მოიწვია. მას ნამუშევარი აქვს ისეთ პროექტებზე როგორებიცაა: 1997 წლის ჰონგ კონგის დიდი ბრიტანეთისგან ჩინეთისთვის გადაცემის ცერემონია, 2002 წლის Commonwealth თამაშების გახნის ცერემონია, 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების გახსნითი ცერემონია. ის იყო 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნითი ცერემონიის შემოქმედებითი კონსულტანტი, 2009 წლის FIFA კონფედერაციის თასის გახსნის ცერემონია, 2010 წლის FIFA მსოფლიო თასის გახსნის ცერემონია, დიდი ბრიტანეთის სამეფო ქორწილის შემოქმედებითი რეჟისორი და ბევრი მრავალი ღონისძიებების რეჟისორი და ორგანიზატორი. იგი ლონდონის უნივერსიტეტში საპატიო დოქტორის ხარისხით არის დაჯილდოებული. აღნიშნული ღონისძიებების ორგანიზებაში მას დახმარებასა და კონსულტაციას გაუწევენ: რეჟისორი დავით დოიაშვილი, ბასა ფოცხიშვილი, მხატვარი თამარ ფოცხიშვილი.

გახსნის ცერემონიალამდე ერთი დღით ადრე, „პრაიმტაიმი“ დავით ოქიტაშვილს ესაუბრა.

დავით ოქიტაშვილი:

- მთლიანად გავითვალისწინეთ ჩვენი ისტორია და გვინდოდა, რომ გახსნის ღონისძიების მთლიანი თემა ქართული ყოფილიყო. აღებული გვაქვს არგონავტების თემა. მედეას როლს ირმა ნიორაძე თამაშობს, ხოლო იაზონს, სუხიშვილების ახალგაზრდა მოცეკვავე, მერაბიკო ჭელიძე განასახიერებს. იქნება საქართველოს რუკა, სადაც 12-ვე რეგიონი იქნება წარმოდგენილი. ლოტუსის ყვავილებია, სადაც განსახიერდება თითოეული კუთხე. აჭარის კუთხეში იცეკვებენ აჭარულს, რაჭულ კუთხეში - რაჭულს. გვინდა მთელ მსოფლიოს ვაჩვენოთ, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ჩვენია, ყველა კუთხე ჩვენია და გვიყვარს ერთმანეთი. ეს არის ამ ღონისძიებაში ჩაფიქრებული. არგონავტების თემიდან გადავდივართ პარადზე. მოედანზე იწყება ათლეტების შემოსვლა, რომელშიც ევროპის 49 ქვეყნის 3 000-მდე სპორტსმენი მონაწილეობს. ამ შოუს დასრულების შემდეგ, ვაგრძელებთ კვლავ სანახაობას - საქართველოს ისტორიაში პირველად, 15 მეტრზე, „სამაიას“ იცეკვებს სუხიშვილების სამი მოცეკვავე. სპეციალური დანადგარია, რომელიც საქართველოში ავაწყვეთ. წარმოიდგინეთ, „სამაიას“ კაბით, 15 მეტრზე, თამარის ულამაზესი ფორმით და კუთხეში მიმდინარეობს პერფორმანსი, სადაც შოთა რუსთაველი აფორიზმებს კითხულობს. „სამაიას“ დასრულების შემდეგ, სუხიშვილების 200-კაციანი ჯგუფი იწყებს „ხორუმის“ ცეკვას, რასაც საქართველოს ჰიმნი მოჰყვება. ჰიმნს პაატა ბურჭულაძე შეასრულებს და კვლავ ქართული თემატიკა გაგრძელდება. სცენაზე დამონტაჟებულია 4 როიალი, სადაც კონსერვატორიის ოთხი წარჩინებული სტუდენტი ლაღიძის ცნობილ „საჭიდაოს“ შეასრულებს. რაც ყველაზე მთავარია, ღონისძიებაში, დატვირთულია სეუ-ს 500-მდე სტუდენტი, რომელიც ბოქს-შოუს წარმოადგენს. სტუდენტები სხვადასხვა ფერის ყუთებზე წერენ „თბილისის 2015“-ს, შემდეგ ხუთწუთიანი ხმაურიანი ნომერი ექნებათ, სადაც ისინი დაუკრავენ. შემდეგ შემოდის სპეციალური ყუთი, სადაც იშლება ნაწერი ოლიმპიური თამაშების სიმბოლოთი. პირველად, საქართველოში, ოლიმპიური ცეცხლი შემოდის ჰაერიდან. ინგლისიდან ჩამოვიტანეთ სპეციალური დანადგარი და შემსრულებელი კომპანიაც დავიქირავეთ. ციდან, გოგონას ჩამოაქვს ოლიმპიური ცეცხლი, რომელსაც მოედნის შუაში გადასცემს მეჩირაღდნეს.

- ანუ შთამბეჭდავ გახსნას ველოდოთ?

- პირველად ვამბობ, როდესაც სტადიონზე 4 000 მონაწილეა, ხარვეზები იქნება და მაყურებელს, წინასწარ ბოდიშს ვუხდი. 400 კაცი ერთ ხაზზე ვერ დადგება, მაგრამ ჩვენ ვეცადეთ, რომ ამ რამდენიმე ათასი კაცით მოგვეყოლა საქართველოს ისტორია, გვეჩვენებინა ჩვენი დამწერლობა. ეს ყველაფერი ძალიან კარგად არის შეფუთული.

- „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა, ალექსი ახვლედიანმა აღნიშნა, რომ გახსნაზე ხატვის ელემენტები იქნება, რაც აქამდე არ ყოფილა. რა იგულისხმა?

- ხატვის მექანიზმებში იგულისხმება, როდესაც ნაჭერი იშლება. მონაწილეები სიმბოლურად წყალს ასხამენ. ჩვეულებრივ კი არ ხატავენ, პირდაპირ, წყალზე იხატება. ჩართული გვყავს სამხატვრო აკადემიის 100 სტუდენტი, რომელიც ოლიმპიური ფესტივალის განმავლობაში ყველა მსურველს დაახატავს იმას, რაც სურს, იქნება ეს დროშა, თამაშების სიმბოლო თუ სხვა რამე. ეს ყველაფერი, მთლიანად, გავთვალეთ ახალგაზრდებზე. ბედნიერები ვართ, რომ სტუმრებს და ახალგაზრდებს ვუყვებით იმ ისტორიას, რომლითაც ასე ვამაყობთ. პანტომიმის თეატრი განასახიერებს არგონავტებს. ვითომ გემი შემოდის ზღვაში. გემის წინ არის უზარმაზარი ცისფერი ნაჭერი. პირველად, საქართველოს ისტორიაში, იქნება უნიკალური ფოიერვერკი. ციდან ჩამოიყრება, დაახლოებით, საქართველოს 7 ათასი დროშა.

- რა იქნება გახსნის ცერემონიალის კულმინაცია?

- კულმინაცია იქნება ცეცხლის ანთება. ყველას ჰგონია, რომ ცეცხლი სტადიონზე აინთება, მაგრამ გეტყვით, რომ ეს მოხდება კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე. ესეც სიმბოლურად არის. ცეცხლი შემოდის სტადიონზე და შემდეგ იკარგება, სინამდვილეში კი მიდის კუს ტბის ტერიტორიისკენ. კუს ტბის ტერიტორიაზე მოხდება რამდენიმე ფოიერვერკის გაშვება, რომელიც აუწყებს ხალხს, რომ იქ რაღაც ხდება. ბოლო ფოიერვერკზე უკვე აინთება ცეცხლი. შემდეგ კი სტადიონზე შემოვა ჰაერიდან.

- რეპეტიციები რამდენ ხანს გრძელდებოდა?

- ეს პროექტი თუ შედგა, შემიძლია ვთქვა, რომ საქართველო, თბილისი და საორგანიზაციო კომიტეტი, ნამდვილად გინესის რეკორდების წიგნშია შესაყვანი. ორი თვე კი მიმდინარეობდა რეპეტიციები, მაგრამ მოედანზე შესვლის უფლება, მხოლოდ 4 დღე მოგვცეს, რადგან იქ ბალახია და რომ არ გაფუჭებულიყო... კი გადააფარეს სპეციალური საფარი, მაგრამ ოთხი დღე, წარმოგიდგენიათ, რა ცოტაა. ამიტომ ვნერვიულობთ ამაზე, თორემ ეს ყველაფერი გაკეთებულია. მთავარია, ბავშვები არ დაიბნენ და ეს ყველაფერი კარგად ჩატარდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გარდაბანში 230 მგვტ სიმძლავრის თბოელექტროსადგური გაიხსნა

„თბოსადგურის მშენებლობისთვის ფინანსური სახსრები მოზიდული იქნა ლონდონის საფონდო ბირჟაზე გამოშვებული 250 მილიონი დოლარის მოცულობის ევროობლიგაციების მეშვეობით“

მაგდა კლდიაშვილი

გარდაბანში, 230 მგვტ სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგური გაიხსნა. სადგური, ყოველწლიურად 1,6 მილიარდ კილოვატსაათ ელექტრო ენერგიას გამოიმუშავებს. აღნიშნული თბოელექტროსადგურის მარგი ქმედების კოეფიციენტი ორჯერ უფრო მაღალი და ეკონომიურია, ვიდრე საქართველოში არსებული ბუნებრივ აირზე მომუშავე სხვა თბოლექტროსადგურები. აღნიშნული თბოელექტროსადგური გარდაბანში საპარტნიორო ფონდისა და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის დაფინანსებით აშენდა.

გახსნის საზეიმო ცერემონიალს საქართველოს მთავრობის მეთაური, ირაკლი ღარიბაშვილი, ვიცე-პრემიერი კახი კალაძე, საპარტნიორო ფონდის და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ხელმძღვანელებიც დაესწრნენ.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, გარდაბნის თბოელექტროსადგური ქვეყანას დიდ სარგებელს მოუტანს და ის იქნება სერიოზული დასაყრდენი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით.

ირაკლი ღარიბაშვილი:

„დღეს, ჩვენ ვხსნით საქართველოში პირველ კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურს, - ეს არის 230-მილიონიანი პროექტი, რომელიც აშენდა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა და საპარტნიორო ფონდის დაფინანსებით. მისი სიმძლავრე 237 მეგავატია და იგი ყოველწლიურად 1.6 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ამ თბოელექტროსადგურის მარგი ქმედების კოეფიციენტი თითქმის ორჯერ უფრო მაღალი და უფრო ეკონომიურია, ვიდრე საქართველოში არსებული ბუნებრივ აირზე მომუშავე სხვა თბოელექტროსადგურებისა“, - აღნიშნა პრემიერმა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, თურქეთის რესპუბლიკის ენერგეტიკის მინისტრი ტანერ ილდიზი, CALIK ENERJI-ს დამფუძნებელი აჰმედ ჩალიკი, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ გენერალური დირექტორი დავით თვალაბეიშვილი და „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი კოვზანაძე.

სნგკ-ს ხელმძღვანელმა, დავით თვალაბეიშვილმა აღნიშნა, რომ მშენებლობისთვის საჭირო სახსრები ლონდონის ბირჟაზე გამოშვებული 250 დოლარის მოცულობის ობლიგაციების მეშვეობით მოხდა.

დავით თვალაბეიშვილი, სნგკ-ს ხელმძღვანელი:

„გარდაბნის თბოსადგურის პროექტი არის უნიკალური. რადგან თბოსადგურის მშენებლობისთვის ფინანსური სახსრები მოზიდული იქნა ლონდონის საფონდო ბირჟაზე გამოშვებული 250 მილიონი დოლარის მოცულობის ევროობლიგაციების მეშვეობით და ეს მოხდა მთლიანად ქართული კომპანიის „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ“.

„ეს იქნება ენერგეტიკულ სისტემაში ყველაზე საიმედო რეზერვი, რომელიც ჩვენს ენერგო უსაფრთხოებას კიდევ უფრო გაამყარებს“

საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელი, ირაკლი კოვზანაძე აცხადებს, რომ თბოელექტროსადგურის მარგი ქმედების კოეფიციენტი სხვა თბოელექტროსადგურებისგან განსხვავებით ორჯერ უფრო მაღალი და ეკონომიურია. ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემაში პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში, გარდაბნის სადგური უმოკლეს ვადებში უზრუნველყოფს სისტემის ელექტრონერგიით უწყვეტ მომარაგებას.

ირაკლი კოვზანაძე:

„ეს იქნება ენერგეტიკულ სისტემაში ყველაზე საიმედო რეზერვი, რომელიც ჩვენს ენერგო უსაფრთხოებას კიდევ უფრო გაამყარებს. ამ მასშტაბის ენერგეტიკული პროექტი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად განხორციელდა“.

ღონისძიებაზე, გარდა მთავრობის პირველი პირებისა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, დიპლომატები და სხვა ოფიციალური პირები იმყოფებოდნენ, რომლებმაც თბოელექტროსადგური დაათვალიერეს და ქსელში მის გაშვებას დაესწრნენ.

პროექტის განხორციელება 2013 წელს დაიწყო და 1.5 წელიწადში წარმატებით დასრულდა. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 231 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ინვესტიცია სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა“ და სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ განხორციელდა, მისი მშენებლობა კი უმსხვილესმა თურქულმა კომპანიამ - CALIK ENERJI-მ განახორციელა.

ირაკლი ღარიბაშვილი:
„ამ თბოელექტროსადგურის მარგი ქმედების კოეფიციენტი თითქმის ორჯერ უფრო მაღალი და უფრო ეკონომიურია, ვიდრე საქართველოში არსებული ბუნებრივ აირზე მომუშავე სხვა თბოელექტროსადგურებისა“

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე ქართველ სასულიერო პირებს არ უშვებენ - ღვთისმსახურების გარეშე დარჩენილი 7 ათასი ქართველი

მამა დემეტრე: „ჩვენგან ითხოვენ, რომ აზერბაიჯანის მოქალაქეები გავხდეთ“

EXCLUSIVE

ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესია

კახის წმ. გიორგის ეკლესია

ლექართის სამონასტრო კომპლექსი

გიორგი ურუშაძე

დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიულ ჰერეთში ქართველ სასულიერო პირს აღარ უშვებენ. ერთადერთი მოქმედი, წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც კახში მდებარეობს, წინამძღვარის გარეშეა დარჩენილი. 7000 ქართველი რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშაა. მნიშვნელოვანი ქართული კერა, რომელიც მათ დღევანდელ დღემდე გააჩნდათ, თითქმის უფუნქციოდაა დარჩენილი.

ისტორიკოსი ბუბა კუდავა „პრაიმტაიმთან“ არსებულ პრობლემებზე საუბრობს.

ბუბა კუდავა:

- მოგეხსენებათ, ისტორიული ქართული ტერიტორიების ნაწილი დღეს სხვადასხვა სახელმწიფოების შემადგენლობაშია მოქცეული. დღევანდელ აზერბაიჯანში შედის ისტორიული ჰერეთის ნაწილი - დღევანდელი ბელაქნის, ზაქათალის, კახის რაიონები, ასევე შექის ნაწილი. იქ ადგილობრივი ქართველების დიდი ნაწილი მუსლიმები არიან, თუმცა არის დაახლოებით 7 ათასი ქრისტიანი, რომელთა სოფლებში არის ქრისტიანული ტაძრები. სამწუხაროდ, ეს ეკლესიები არ არის მოქმედი. მოქმედი ტაძარი არის მხოლოდ ერთგან, რაიონულ ცენტრში - კახის წმ. გიორგის ეკლესია. იქვე მახლობლად არის ძალიან ცნობილი სალოცავი - ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესია, სადაც ღვთისმსახურების საშუალება არის მხოლოდ წელიწადში ორჯერ, გიორგობის დღესასწაულებზე. ეს არის ამ მხარის, როგორც ქრისტიანული, ისე მუსლიმი მოსახლეობისთვისაც ძალიან ტრადიციული რამ, ბევრი მორწმუნე მოდის, თქვენ წარმოიდგინეც მუსლიმებიც. სხვა პერიოდში იქ ღვთისმსახურება არ არის ნებადართული. იგივე მდგომარეობაა სხვა სოფლებშიც.

ამ ისედაც ძალზედ მნიშვნელოვან პრობლემას ახალი პრობლემა დაემატა: ერთადერთ სასულიერო პირს რეგიონში, ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას აღარ აძლევენ.

ბუბა კუდავა:

- თითქოს, ეს რთული მდგომაროება არ იყო საკმარისი და კიდევ უფრო გართულდა მდგომარეობა იმ თვალსაზრისით, რომ მამა დემეტრეს, რომელიც იყო ერთადერთი სასულიერო პირი ამ რეგიონში და წინამძღვარი კახის წმ. გიორგის ეკლესიისა, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ქვეყანაში შესვლის უფლება არ მისცეს. ოფიციალური ვერსია ის არის, რომ სასულიერო პირი უნდა იყოს აუცილებლად აზერბაიჯანის მოქალაქე, მაგრამ ჩვენ როგორც ვიცით, არსებობს რამდენიმე გამონაკლისი, მაგალითად, რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის შემთხვევაში. ამას უნდა ელემენტარული სურვილი და ნება და ეს საკითხი შეიძლება მოგვარდეს. ეს ვითარება არანაირად არ შეესაბამება საქართველოსა და აზერბაიჯანის დღევანდელ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს. ერთი მხრივ, როგორი მჭიდრო, როგორი კარგი, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები გვაქვს და მეორე მხრივ, რა ხელოვნურად არის გართულებული სიტუაცია ამ სფეროში.

გარდა ამისა, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე სხვა ქართული ისტორიული ძეგლებიც არასათანადო მდგომარეობაშია. ბევრი მათგანი სულაც ალბანური კულტურის ნაწილადაა მიჩნეული.

ბუბა კუდავა:

- მე, როგორც ისტორიკოსმა, შემიძლია დავამატო არაერთი პრობლემა. მაგალითად, ამ ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლები, ცხადია, არის ძირითადად ქართული ისტორიული მემკვიდროების ნიმუშები, მათ შორის,

ბუბა კუდავა: „ეს ვითარება არ შეესაბამება საქართველოსა და აზერბაიჯანის დღევანდელ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს“

ბევრი - ეკლესია თუ მონასტერი. ამ ისტორიული ძეგლების ელემენტარულად დათვალიერების საშუალებაც კი არ ეძლევა ხოლმე საქართველოს მოქალაქეს, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ შესწავლის არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს. ეს ეკლესია-მონასტრები, თითქმის ყველა, მცირე გამონაკლისის გარდა, შერაცხულია, როგორც ალბანური კულტურის ძეგლი.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანის მოქალაქეებს მსგავსი პრობლემები არ ექმნებათ. პირიქით, ჩვენს სტერიტორიაზე რამდენიმე ათეული მეჩეთი მდებაროებს და მათგან რამდენიმე ახალაშენებულია. ამას ისტორიკოსი ბუბა კუდავაც გვიდასტურებს: „თუმცა სახეზეა ფაქტი, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს აქვთ რამდენიმე ათეული მეჩეთი, მათ შორის თქვენ წარმოიდგინეთ ბევრი ახალაშენებული, მაშინ როდესაც ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე არის ბევრი ეკლესია, მაგრამ მათ შორის, ერთადერთი მოქმედი და იქ ახლის აშენებაზე, ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ახლა გამოდის, რომ ის ერთიც აღარ არის მოქმედი.

„პრაიმტაიმი“ მამა დემეტრეს ესაუბრა, რომელიც ისტორილ ჰერეთში და კონკრეტულად ქალაქ კახში ერთადერთი მოქმედი ეკლესიის წინამძღვარია.

მამა დემეტრე:

- ერთი თვეა, როგორც იცით, ტაძარში მრევლი მოძღვრის გარეშეა დარჩენილი. თუ სახარებით ვიმსჯელებთ, ეს არის სამწყსო მწყემსის გარეშე, გაბნეული. ერთი დღე თუნდაც მრევლის მოძღვრის გარეშე არსებობა, უკვე პრობლემას წარმოადგენს. იქ მოძღვრის არსებობა არა მარტო რელიგიური მსახურებით შემოიფარგლება, არამედ ეს არის ქართული სიტყვის გამავრცელებელი, ეს არის ადგილი კახში, სადაც ქართული სული ტრიალებს. ეს არის კერა, სადაც ყოველთვის ანთია ქართული სულიერების, კულტურის ცეცხლი. ტაძრის გარშემო ქართველები ერთიანდებიან, რომლის ფუნქციაშიც შედის ქართველებისთვის შეხსენება, ვისი გორისანი არიან. ამიტომ მტკივნეულია ადამიანებისთვის, ასე ერთბაშად, მსახურების გარეშე დარჩენა. 1990 წლიდან ამ ეკლესიაში, ამ მოვლენამდე, მსახურება არასდროს შეწყვეტილა.

აზერბაიჯანის კანონმდებლობის მიხედვით, მათ ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქე არ უნდა ეწეოდეს ღვთისმსახურებას. ასეთ შემთხვევაში მან უნდა მიიღოს აზერბაიჯანის მოქალაქეობა, ეს კი დამატებით პრობლემებს წარმოშობს.

მამა დემეტრე:

- როგორც შემდეგ გაირკვა, მათი კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქე არ უნდა მსახურობდეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, არ უნდა ეწეოდეს რელიგიური რიტუალის აღსრულებას. ეს კანონი მათ მიიღეს ირანელებთან მიმართებით, ესენი სუნიტები არიან, ირანელები კი შიიტები და საშიშროება იყო ბაჰაიზმის გავრცელებისა. შემდეგ კი ეს გავრცელდა ყველა რელიგიურ კონფესიაზე, თუმცა საქართველოსთან მიმართებაში ყოველთვის გამონაკლისს უშვებდნენ. ახლა კი, როცა ეს ფაქტი მოხდა, განგვიცხადეს, რომ შეუძლებელია მსახურების გაგრძელება. ჩვენგან ითხოვენ, რომ გავხდეთ აზერბაიჯანის მოქალაქეები, თუმცა, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ 2014 წლის 1 აპრილიდან ორმაგი მოქალაქეობა აზერბაიჯანმა გააუქმა. თავისთავად თუ კი გახდები აზერბაიჯანის მოქალაქე, დაკარგავ საქართველოს მოქალაქეობას. საქართველოს მოქალაქეობას ვერ აღიდგენ, იმიტომ რომ აზერბაიჯანს გაუქმებული აქვს ორმაგი მოქალაქეობა. თუ კი საქართველო მოგანიჭებს ორმაგ მოქალაქეობას, მაშინ აზერბაიჯანი გაგიუქმებს მოქალაქეობას. ჩვენ არაფერს არ ვითხოვთ განსაკუთრებულს, ვითხოვთ ღვთისმსახურებას აზერბაიჯანში.

აღნიშნული ფაქტის გამო ქართული მოსახლეობაც აღშფოთებულია. ვინაიდან 7 ათასი ქართველი რელიგიური მსახურების გარეშეა დარჩენილი.

მამა დემეტრე:

- მოსახლეობა, რა თქმა უნდა, აღშფოთებულია, მათ კარგად ესმით, რომ ნებისმიერი სასულერო პირი, რომელიც აზერბაიჯანის მოქალაქე გახდება, წნეხის ქვეშ იქნება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი

სალომე ტეტიაშვილი

ეკა კახიანი და ნინი ბადურაშვილი

სოფო ნიჟარაძე

გიორგი გაბუნია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

თამთა გოდუაძე

თამარ ჩერგოლეიშვილი

გოგა ხაჩიძე

მიშელ პლატინი და რევაზ არველაძე, FIFA 2018 წილისყრა, 25 ივლისი 2015 წელი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო მჭედლიშვილი

ცვლილებები

„იმედის“ მთავარ პროდიუსერად ზურა ფანქველაშვილი ინიშნება?

ახალი სეზონიდან ქართულ ტელესივრცეში ცვლილებები იგეგმება. ამბობენ, რომ „იმედიდან“ უკრაინელ პროდიუსერს უშვებენ და არხის მთავარ პროდიუსერად ზურა ფანქველაშვილი ინიშნება.

ზურა ფანქველაშვილი („იმედის“ მთავარი რეჟისორი):

- მსგავსი არაფერი მსმენია, მე რეჟისორი ვარ. საკადრო ცვლილებებზე ვერაფერს გეტყვით.

გიორგი ბახტაძე („იმედის“ გენერალური დირექტორი):

- გიორგი, „პრაიმტაიმიდან“ გაწუხებთ. ამბობენ, რომ „იმედში“ საკადრო ცვლილებები. რას გვეტყვით?

- რაღაც ცვილელებები არის. კონკრეტულად რა გაინტერესებთ?

- არხის უკრაინელი პროდიუსერი მართლა წავიდა არხიდან?

- კი, მასთან კონტრაქტი გავწყვიტეთ.

- ამბობენ, რომ მის ადგილს ზურა ფანქველაშვილი დაიკავებს...

- ზურა არის არხის მთავარი რეჟისორი და იქნება რეჟისორი.

- ვინ დაიკავებს უკრაინელი პროდიუსერის ადგილს?

- მისი ადგილი ვაკანტური იქნება...

- რა სიახლეები იგეგმება არხზე ახალი სეზონიდან?

- არხზე იგეგმება გარკვეული სიახლეები. ახალი სეზონიდან მაყურებელს შევთავაზებთ რამდენიმე სიახლეს.

- ემუქრება თუ არა დახურვა უკვე არსებულ რომელიმე თოქშოუს?

- არაფერს არ ემუქრება დახურვა, სიახლეებს ვგეგმავთ, მაგრამ ინფორმაცია კონფიდენციალურია, ყველა კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ.

საკადრო ცვლილებები საზოგადოებრივ მაუწყებელზე

ქალაქში იმასაც ამბობენ, რომ საკადრო ცვლილებები მოსალოდნელია „პირველ არხზეც“, რომ არხის გენერალური დირექტორის მოადგილე, გოგა ჩართოლანი დაკავებული პოზიციიდან მიდის და მის ადგილს სერგი გვარჯალაძე დაიკავებს. გოგა ჩართოლანი:

- ეს არის აბსოლუტური სისულელე. მე ვარ და ვიქნები იქ, სადაც ვარ და როგორც ვარ. ჩემი ნებით არსად ვაპირებ წასვლას თუ ვინმე სამსახურიდან მიშვებს, ეს არ ვიცი.

- ანუ ის, რომ სერგი გვარჯალაძე დაიკავებს თქვენს ადგილს, ტყუილია?

- აბსოლუტური ტყუილი. ყოველ შემთხვევაში მე ამის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს.

- მართალია, რომ „სამოთხის ვაშლები“ დაიხურა?

- ეს გადაცემა სეზონზე შეჩერებულია, ოფიციალურად არ დახურულა. გააგრძელებს თუ არა მომავალ სეზონზე „სამოთხის ვაშლები“ არსებობას, ეს უკვე მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ჩვენ სერგი გვარჯალაძესთან დაკავშირებაც ვცადეთ, მაგრამ მან ჩვენს ზარს არ უპასუხა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲔᲑᲨᲘ

რა მოხდა „ჩემი ცოლის დაქალებში“

რატომ წავიდა გურანდა გაბუნია სერიალიდან?

წინა კვირას გურანდა გაბუნიას გამოჩენამ „სხვა რაკურსში“ ხმაური გამოიწვია. მსახიობმა ეთერში განაცხადა, რომ სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ თინა მახარაძის გამო დატოვა, რომ არ მოსწონს გოგონები, რომლებიც ანკას მსგავსად ბილწსიტყვაობენ.

ქეთი დევდარიანი:

- არავითარი კომენტარი მაგ სისულელეზე. გურანდას ნათქვამზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

მიშა მშვილდაძე:

- მიშა, რა მოხდა რეალურად, რატომ წავიდა ქალბატონი გურანდა სერიალიდან?

- ჩვეულებრივი ამბავია, ამოიწურა პერსონაჟი და იქ დამთავრდა ამბავი. ვინ რას განიცდიდა მთელი ამ დროის განმავლობაში და ვინ რა განცხადებებს აკეთებს, ხუთი წლის მერე, სისულელეა.

- ანუ ეს სერიალის პროდიუსერის გადაწყვეტილება იყო და არა გურანდა გაბუნიას სურვილი, რომ სერიალი დაეტოვებინა?

- მე ასე ვიცი და თუ გურანდა გაბუნიასაც პარალელურ რეჟიმში ერთი სული ჰქონდა როდის წავიდოდა სერიალიდან, საოცარ დამთხვევასთან გვაქვს საქმე. გამოდის, ყველა ბედნიერი უნდა იყოს.

- მსახიობის ფრაზა, „მივედი მათთან და ვუთხარი, რომ სერიალიდან მივდივარ“, ტყუილია?

- ყველა სერიის გადაღების წინ და შემდეგ, რომელშიც გურანდა მონაწილეობდა, იყო მსგავსი საუბრები. რომ აღარ შეძიძლია, ვიღლები, აღარ მინდა. ზოგადად, დამსახურებულ არტისტებს ახასიათებთ სპეკულირება იმით, რომ მათთან მუშაობის ბედნიერება არ არის ისეთი ხელმისაწვდომი, როგორიც შეიძლება ვინმეს ეგონოს.

- ესეიგი არანაირი კონფლიქტი ამ ორ მსახიობს შორის გადასაღებ მოედანზე არ ყოფილა?

- არა, რა თქმა უნდა. არავის მივცემთ უფლებას, რომ თინა მახარაძე ჩათვალოს ადამიანად, რომელსაც სისულელეს აბრალებენ. თავისთავად ის მიზეზი, რომ რომელიღაც მსახიობი, რომელიმე პერსონაჟის ქცევას ვერ იტანდა, სიგიჟეა. მიჭირს გააზრება და ამ ემოციის საკუთარ თავში დატევა.

მოსალოდნელი ცვლილებები „მაესტროზე“

მაესტრო

მოსალოდნელ ცვლილებებზე საუბრობენ „მაესტროსთან“ დაკავშირებითაც. ამბობენ, რომ არხის დირექტორად ფინანსური სტრატეგიის მიმართულებით ვახტანგ ჩახნაშვილი ინიშნება. ამ ინფორმაციის გადამოწმება არხის გენერალურ დირექტორთან, ბაია გადაბაძესთან ვცადეთ.

- ვახო ჩახნაშვილი არის მთლიანი ჰოლდინგის დირექტორი. ის მაკა ასათიანის ოჯახის წევრია და მის ბიზნესს ხელმძღვანელობს. აი, ასეთი კავშირი აქვს მას „მაესროსთან“. როცა მაკა არ არის საქართველოში, მისი წარმომადგენელია ვახო.

- რაც შეეხება სიახლეებს „მაესტროზე“ ახალი სეზონიდან?

- ვგეგმავთ რამდენიმე თოქშოუს გაკეთებას. ვნახოთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როგორ მოიგო ბრძო

გიორგი ნაკაშიძე: „ჩემი ადგილი ვიპოვე, თავიდანვე დავიწყე ბრძოლა და გავიმარჯვე“

my View
სალომე ჩადუნელი

მუსიკალური მეგა შოუს „იქს ფაქტორის“ გამარჯვებული რიგითი ჯარისკაცი გიორგი ნაკაშიძეა. კონკურსანტმა, რომელიც ხალხის რჩეული შესარჩევი ეტაპიდანვე გახდა, პრიზების გარდა მაყურებლის დიდი სიყვარული და 52%-იანი მხარდაჭერა დაიმსახურა. გიორგი ნაკაშიძემ ბათუმში ბინა მოიგო, 10 000 ლარიც გადაეცა, IPhone 6-იც აჩუქეს, ალბომსაც ჩაუწერენ, მთავარია გააგრძელოს მუსიკალური განვითარება. რთული და დამღლელი კონკურსის შემდეგ კი შეუძლია თურქეთში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე დაისვენოს და ბარსელონაში U2-ის კონცერტსაც დაესწროს. ჯარისკაცმა, რომელიც სამხედრო სიმკაცრით ხვდებოდა ყველა წარმატებას და ემოციების გამოხატვა უჭირდა, გამარჯვების სიხარული ცრემლებითა და აჭარელ მეგობრებთან შესრულებული „მრავალჟამიერით“ გამოხატა.

„შოკში ვარ, არ მჯერა ისეთ დღეში ვარ, არ ვიცი რა დამემართა, უცებ გავითიშე და წავედი სხვაგან. ვფიქრობდი, რომ ნინი გაიმარჯვებდა, ისეთ დღეში ვარ, სიტყვები არ მყოფნის. გული თავის ადგილზე არ მაქვს, ყველას დიდი მადლობა“, - ასე უპასუხა ჟურნალისტებს ფინალის ღამეს წლის იქსმა, მამასთან, გიგოსთან და გიორგი გაბუნიასთან ერთად საზეიმო ტორტიც გაჭრა, გულშემატკივრებსაც შეხვდა და ბათუმში გამგზავრებაც მოასწრო.

ჩვენ დავუკავშირდით გიორგის და მის მშობლებს და „X ფაქტორის“ შემდგომ ცხოვრებაზე ვკითხეთ. რიგითი ჯარისკაცი დღემდე ვერ იჯერებს იმ წარმატებას, რომელიც მოიპოვა, თუმცა გააზრებული აქვს, რომ არ უნდა დანებდეს და ბოლომდე უნდა იბრძოლოს.

- რას ნიშნავს შენთვის „X ფაქტორში“ გამარჯვება?

- ჩემი ადგილი ვიპოვე, თავიდანვე დავიწყე ბრძოლა და გავიმარჯვე ბრძოლაში. ხალხის სიყვარული მოვიპოვე, რაც ძალიან მინდოდა და უამრავი რამ ვისწავლე. მოსვლის მთავარი მიზანი იყო სცენაზე დავმდგარიყავი, კარგად მემღერა. ვფიქრობ, რომ ყველაფერი ისე გამომივიდა, როგორც მე მინდოდა.

- რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული „X ფაქტორში“ გამარჯვებისთვის ბრძოლა?

- ძალიან ბევრ სირთულეს უკავშირდებოდა, დატვირთული გრაფიკი გვქონდა. ხალხის რჩეული რომ გავხდი, აქედან დაიწყო ყველაფერი. უფრო მეტი პასუხისმგებლობა მქონდა და უფრო მეტი უნდა გამეკეთებინა შემდეგ ტურებში რომ გადავსულიყავი.

- რას ფიქრობ, რა იყო ის, რის გამოც მაყურებლის დიდი სიყვარული მოიპოვე?

- ჩემი სიმღერით, გულით ვმღეროდი ყველაფერს, ჩემს პიროვნებას გამოვხატავდი. არ ვაპირებდი გამოსვლას, მამაჩემმა მთხოვა და გამოვედი, იმედი რომ არ ჰქონოდათ ჩემს მშობლებს და მე, ვერ გავიმარჯვებდით.

- შენ სამხედრო პირი ხარ, როგორ ახერხებდი პროექტისა და სამსახურის გრაფიკის შეთავსებას?

- შემდეგ ტურში რომ გადავედი, დამეხმარნენ და ჯარიდან დროებით გამათავისუფლეს, ბოლომდე მგულშემატკივრობდნენ.

გიორგი ნაკაშიძე: „შემოსული ზარებიდან უმეტესობა, ალბათ, გოგონების იყო“

გიორგის მამა, დათო: „რომ გაიმარჯვა, უცებ სცენაზე ავვარდი, ერთმანეთს ჩავეხუტეთ, სიხარულის ცრემლები წამომივიდა“

- მოგწონს პოპულარობა?

- რა თქმა უნდა, ძალიან მაგარი გრძნობაა, როდესაც შენი დანახვა ყველას უხარია. თაყვანისმცემელი გოგონების რაოდენობა გაიზარდა, შემოსული ზარებიდან უმეტესობა, ალბათ, გოგონების იყო.

- შემაწუხებელი ხომ არაა?

- რაღაც მომენტში შემაწუხებელი შეიძლება იყოს, მაგრამ მაინც მაგარია. თავიდან მაწუხებდა უფრო, კომპლექსი მქონდა, ყველა მიყურებდა ხოლმე, მერე შევეჩვიე. კიდევ ვერ ვიაზრებ, რომ პროექტი დამთავრდა და მოვიგე.

გიორგი გაბუნიასა და ნაკაშიძის მეგობრობა პროექტში დაიწყო, მენტორიც და გამარჯვებულიც ამბობენ, რომ ძალიან დაახლოვდნენ და ურთიერთობა პროექტით არ დამთავრდება. გაბუნია თავისი კატეგორიის გამარჯვების შემდეგ ემოციებს ვერ მალავდა და ღიად საუბრობდა იმ უპირატესობებზე, რომელმაც გიორგის გამარჯვება განაპირობა.

გიორგი გაბუნია:

„მოვიტყუები, რომ ვიჯექი წყნარად და ველოდი როდის დაასახელებდნენ გიორგის, კონკურსში შეიძლება ყველაფერი მოხდეს. მე კმაყოფილი ვარ, რომ მაყურებელმა ასეთი სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო და „X ფაქტორის“ ტიტული იმას მოუპოვა, ვინც მთელი ხნის განმავლობაში ჩუქნიდა მთელ თავის გულს, თავისი სიმღერებით. გიორგიმ სწორედ თავისი გულწრფელობითა და გულწრფელი ემოციით გაიმარჯვა, რომელიც სცენაზე გადმოჰქონდა“.

ჩვენ ვესაუბრეთ გიორგი ნაკაშიძის მამას, დათო ნაკაშიძეს, რომელიც შვილის გამარჯვების შემდეგ სცენაზე ავარდა და სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდა. ბედნიერები არიან და მსგავსი ემოციის განცდას ყველა მშობელს უსურვებენ.

- პირველი რა უთხარით შვილს, როდესაც გაიმარჯვა?

- რომ გაიმარჯვა, უცებ ავვარდი სცენაზე, ერთმანეთს ჩავეხუტეთ, სიხარულის ცრემლები წამომივიდა, რა უნდა მეთქვა, სიტყვები არ მქონდა, მივულოცე. ყველაზე დიდი სიხარული იყო ჩემს ცხოვრებაში. ყველა მშობელს ვუსურვებ ეს განიცადოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლა რიგითმა ნაკაშიძემ?

წლის „იქს ფაქტორი“ პროექტის შემდგომ ცხოვრებაზე გვიყვება

EXCLUSIVE

გიორგი გაბუნია: „X ფაქტორის“ ტიტული იმას ოუპოვა, ვინც მთელი ხნის განმავლობაში ჩუქნიდა მთელ თავის გულს, თავისი სიმღერებით“

გიორგი: „როდესაც სახელი ხარ საქართველოსი, არ უნდა დაიკარგო, ფხიზლად უნდა იყო, არ უნდა გაქრე“

- ამხელა წარმატების შემდეგ უფრო დიდი პასუხისმგებლობაა იყოთ გიორგის მამა?

- პასუხისმგებლობა მეც მაკისრია. როცა შვილი მშობელს უჯერებს, ურთიერთგაგებაა მათ შორის. ეს ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდება და ყველაფერი წარმატებულად ამიტომ მიდის.

- ყველაზე მეტად რომელი გამოსვლა მოგეწონათ?

- ქართული ხალხური სიმღერა, რომელსაც „X ფაქტორის“ საზიზიტო ბარათს ვეძახი, რადგან ამ სიმღერით მოაწონა და შეაყვარა თავი ყველას და ის ქართული-ხალხური სიმღერები გაახსენა, რომელზეც მე და ჩემი თაობის წარმომადგენელები ვიზრდებოდით, უმაგრესად შესრულა.

გიორგი ნაკაშიძე:

„როდესაც ქართველი მომღერალი ხარ, შენი კუთხის სიმღერა უნდა იცოდე, რაც არ უნდა დიდი როკერი ან სხვა ჟანრის მომღერალი იყო“.

დათო ნაკაშიძე:

„11 წლის იყო, როდესაც მუსიკაზე მივიდა. მეგობრის და ამეცადინებდა, მანანა ჩაუშბა. მან შეაყვარა მუსიკა და ის პასუხისმგებლობა ასწავლა, რაც „იქს ფაქტორში“ გამოიყენა. ის დიდი წარმატება, რაც მუსიკაში მოიპოვა, მანანა ჩაუშბას დამსახურებაა, დიდ მადლობას ვუხდი მას.

ბათუმში ჩასულ ჯარისკაცს მეგობრები, ნათესავები, ოჯახის წევრები და უცხო ადამიანებიც კი ულოცავენ, სახლში აკითხავენ და ოჯახის სიხარულს იზიარებენ. თვითონ გამარჯვებული კი გაჩერებას არ აპირებს და იმ შემთხვევებს იხსენებს, როდესაც გამარჯვებული კონკურსანტები პროექტების მიღმა დარჩნენ და გულშემატკივარს იმედები გაუცრუეს.

გიორგი ნაკაშიძე:

„დიდი პასუხისმგებლობაა, როდესაც საქართველოს „X ფაქტორი“ ხდები, როდესაც სახელი ხარ საქართველოსი, არ უნდა დაიკარგო, ფხიზლად უნდა იყო, არ უნდა გაქრე. ბევრი მომღერალი ვიცი, ვინც პროექტში გაიმარჯვა და დაიკარგა. მე არ ვაპირებ, სულ მინდა აქტიური ვიყო, სხვადასხვა კონცერტში მივიღო მონაწილეობა და თავადაც გავმართო კონცერტები“.

სამომავლო გეგმების განხორციელება უკვე დაიწყო, წლის იქსი და მაყურებლის რჩეული საქართველოს მასშტაბით სოლო კონცერტებს გეგმავს. პირველი დანიშნულების ადგილი აჭარაა. ჯარისკაცი ბრძოლას აგრძელებს და გულშემატკივარს დაუვიწყარ ემოციასა და სითბოს ჰპირდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

გოგონას, რომელიც კონტრაქტის პირობებ

„არსებობს ბიჭი ჩემს ცხოვრებაში, რომელიც მოწონებაზე უფრო მეტია ჩემთვის“

თიკო ბაბლუანი: „ხუთი წელი გათხოვება არ შემიძლია. კონტრაქტზეც მოწერილი მაქვს ხელი. თუ მაინც გავთხოვდები, სასიძოს დააჯარიმებენ და ჯარიმა იმხელა იქნება, ჩემ ცოლად მოყვანას გადაიფიქრებს“

my View
ნინო მჭედლიშვილი

საქართველოში მსოფლიო მასშტაბის სილამაზის კონკურსის ჩატარების პრეცედენტი აქამდე არ ყოფილა. სექტემბერში თბილისს სხვადასხვა ქვეყნის ოცდაათამდე ლამაზმანი ესტუმრება. საქართველოში „მის პლანეტა 2015“ ჩატარდება, რომლის ლიცენზიაც სამოდელო საagენტო „კატრინის“ ხელმძღვანელმა, ეკა მგალობლიშვილმა მოიპოვა. მანამდე კი კომპეტენტური ჟიური ზემოხსენებულ კონკურსზე ქართველი კონკურსანტის გამოსავლენად, ყვარელში სასტუმრო-კომპლექს „ყვარლის ედენში“ შეიკრიბა.

ჟიურის უპრეცედენტოდ დიდ შემადგენლობას მხოლოდ ეკას მიერ ჩატარებულ კონკურსებზე თუ ნახავთ. მათ შორის იყვნენ: მერაბ სეფაშვილი, დალი ჩიტალაძე, კრისტი ყიფშიძე, ეკა ჩხეიძე, მაკა შალიკაშვილი, ქეთი ორჯონიკიძე, მარკუს მეტრეველი, ლიზა ვადაჭკორია, თამუნა ამონაშვილი, მაკა ზამბახიძე, მედია საშუალებების წარმომადგენლები და პარტნიორი კომპანიების ხელმძღვანელები.

გოგონებს, ფინალამდე ერთი დღით ადრე, ჟიურის გარკვეულ ნაწილთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ჰქონდათ. ჟიურის წევრები მათ ინტელექტსა და ზოგად განათლებას ვამოწმებდით. აღმოჩნდა, რომ გოგონების უმეტესობა უცხო ენებს ფლობს, ზოგიერთს საყვარელი მწერალი და ნაწარმოებიც აღმოაჩნდა. თუმცა, იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთმა საყვარელ მწერლად შექსპირი დაასახელა და როცა მწერლის რომელიმე ნაწარმოების დასახელება სთხოვეს, მარკუს მეტრეველს კარნახი მოუწია, რომ უხერხული სიტუაცია განემუხტა. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ამ პროფესიაში მხოლოდ თავდაჯერებულობა მოსწონდათ და ისეთებიც, რომლებიც ასაკთან შედარებით ისე გაილექსნენ, ბოლოს გაჩუმებასაც კი ვთხოვდით.

მიუხედავად იმისა, რომ ჟიური მართლაც „ჭრელი“ და მრავალრიცხოვანი იყო, საუკეთესო გოგონაზე დიდხანს არ გვიდავია. ჟიურისა და მაყურებლის სიმპათია ერთმანეთს დაემთხვა და 22 გოგონადან ერთი საუკეთესო, 18 წლის თიკო ბაბლუანი დასახელდა. გამარჯვებულს ოქროს გვირგვინი მერაბ სეფაშვილმა დაადგა.

მაკა შალიკაშვილი:

- ძალიან მიყვარს ადამიანი, რომელიც სილამაზეს ასხივებს, რაღაცნაირი შარმი აქვს. შარმი ადამიანს ან აქვს, ან არ აქვს. რაც ჩამოვედით ეს გოგონა თვალში მხვდება. რომ ვაკვირდებოდი, ვხვდებოდი, რომ ერთი და იგივე იყო. მომწონს თიკო ბაბლუანი. გამიხარდა, რომ ჩემი აზრი ჟიურის დანარჩენი წევრების აზრს დაემთხვა.

თამუნა ამონაშვილი:

- მომეწონა გოგონები. კარგი ნაკადია, 22 გოგონადან ბევრი ძალიან ეფექტური იყო. ჩემი ფავორიტი თიკო იყო. მომეწონა ის ხუთეული, რომელიც გამოვლინდა კონკურსის ბოლოს.

მარკუს მეტრეველი:

- ჟიურის სხვა წევრების ფურცლებს გადავხედე და ზუსტად ის ქულები ეწერა, პირველ სამეულზე, რაც მე. თიკო უკვე დიდი ხანია „კატრინის“ მოდელია. მოგეხსენებათ მე ამ სააგენტოში სასცენო ხელოვნებას ვასწავლი. შრომისმოყვარე და მიზანდასახული გოგონაა და აი შედეგიც. ვულოცავ მას.

ეკა მგალობლიშვილი:

- ეკა, როგორ გგონია, რა შანსები აქვს თიკოს „მის პლანეტაზე“, რომელიც საქართველოში გაიმართება?

- ამ კონკურსის ჟიურის წევრი ვარ ყოველ წელს. ცოტას მე მივეხმარები, ცოტას თვითონ მიეხმარება თავის თავს, ცოტას თქვენ, ჟურნალისტები, ცოტას ქართული ტრადიციული სტუმარმასპინძლობა და ხუთეულში მოვხვდებით. ვხუმრობ, რასაკვირველია. საკმაოდ ძლიერი კონკურენტები ჰყავს თიკას, ბევრი მუშაობა მოგვიწევს სექტემბრამდე. მე მისი იმედი მაქვს.

„ყველას თავისებური სილამაზე აქვს, მაგრამ ყველაფერს ვიღონებ, რომ ღირსეული კონკურენცია გავუწიო მათ“

ეკა მგალობლიშვილი: „საკმაოდ ძლიერი კონკურენტები ჰყავს თიკას, ბევრი მუშაობა მოგვიწევს სექტემბრამდე. მე მისი იმედი მაქვს“

თინათინ ბაბლუანი, 18 წლის:

- პირველი „მის თინეიჯერი“ რომ ჩატარდა, მაშინ მიპოვა ეკამ. ქვემო ქართლში იყვნენ ჩამოსულები გოგონების ასარჩევად. მე თეთრიწყაროდან ვარ. მის მერე 4 წელია ამ სააგენტოს მოდელი ვარ. ვაპირებ ბიზნესვუმენი გავხდე. მოდელობა გამომაგდება ჩემს პროფესიაში, დახვეწილობა, მანერები, სილამაზე... ეროვნული გამოცდები უკვე ჩავაბარე. ახლა შედეგებს ველოდები.

- როგორ აფასებ შენ შანსებს „მის პლანეტაზე“?

- საქართველოში ჩამოვლენ ბრაზილიის, რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინის, ბულგარეთის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელი ლამაზმანები. რამდენიმე ვნახე ინტერნეტით. ყველას თავისებური სილამაზე აქვს, მაგრამ ყველაფერს ვიღონებ, რომ ღირსეული კონკურენცია გავუწიო მათ.

- თაყვანისმცემლებზეც მიამბე, შეყვარებული ხომ არ ხარ?

- თაყვანისმცემლები მყავს, მაგრამ არ მაწუხებენ. ლექსებს მიძღვნიან, მიმღერიან, ოღონდ ფანჯრებთან ვერ ბედავენ.

- რატომ, მამასი ხომ არ ეშინიათ?

- მამასი არა, თავადაც ვახერხებ მოგერიებას...

- ჰო, დამავიწყდა, შენ სვანი ხარ?

- სვანი კი ვარ, მაგრამ მძიმე ხასიათი არ მაქვს. რაც შეეხება შეყვარებულს, არსებობს ბიჭი ჩემს ცხოვრებაში, რომელიც მოწონებაზე უფრო მეტია ჩემთვის.

- კონტრაქტში რა წერია, გათხოვება ხომ არ გეკრძალება?

- ეკა ამბობს, რომ ხუთი წელი გათხოვება არ შემიძლია. კონტრაქტზეც მოწერილი მაქვს ხელი. თუ მაინც გავთხოვდები, სასიძოს დააჯარიმებენ და ჯარიმა იმხელა იქნება, ჩემ ცოლად მოყვანას გადაიფიქრებს (იცინის).

- შენმა შეყვარებულმა იცის, რა კონტრაქტზე მოგაწერინეს ხელი?

- კი, იცის. შეგნებული ბიჭია.

- ვინ არის შენი საყვარელი მწერალი?

- ვაჟა-ფშაველა.

- ბოლოს რა წიგნი წაიკითხე?

- „მექანიკური ფორთოხალი“, მაგრამ დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

- თუ მოხდება ისე, რომ არჩევანის წინაშე დადგები, რას აირჩევ, კარიერას თუ ოჯახს?

- ოჯახს.

ია მღებრიშვილი 18 წლის (პირველი ვიცე-მისი):

- 13 წლიდან გავერიე ამ ბიზნესში. თვად მოვედი სამოდელო სააგენტო „კატრინში“ და ვთქვი, რომ მოდელობა მინდოდა.

- გამოირჩევი თავის წარმოჩენის საუცხოო უნარით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მის პლანეტაზე“ საქართველოს წარადგენს, ით 5 წლ ანმავლობაში გათხოვება ან ალება

EXCLUSIVE

ია მღებრიშვილი:

„მესამე წელია შეყვარებული ვარ. კარგი ბიჭია, საკმაოდ წარმატებული კალათბურთელია, მერაბ ბოქოლიშვილი“

მარიამ მამუჩაშვილი:

„ზოგადად, რთული ხასიათის ბიჭები მომწონს, მე რომ უნდა გავუგო, მან კი არა, აი ისეთები. სულ ჩხუბი გვაქვს. მიყვარს კონფლიქტები“

- მადლობა. ბავშვობაში „ენკი-ბენკიში“ დავდიოდი. ვცეკვავდი, ვმღეროდი, 5 წლიდან ქართულ ნაციონალურ ცეკვებზე დავდივარ. ბოლოს „სეუს“ სტაჟიორებში ვცეკვავდი. გული დამწყდა, რომ აბიტურიენტობის გამო მომიწია თავის დანებება. ვგიჟდები ცეკვაზე, დილის ათი საათიდან რომ მივდიოდი სტუდიაში, სანამ მშობლები არ დამირეკავდნენ, სახლში მოსვლის დროაო, არ მოვდიოდი. ამიტომ მივხვდი ეს ხელს შემიშლიდა სწავლაში და დროებით ჩამოვშორდი ცეკვას.

- რა პროფესია აირჩიე?

- იურისტი მინდა გავხდე. მაგრამ ცეკვას თავს ვერ დავანებებ. ჩავაბარებ თუ არა, რომელიმე ანსამბლს მივაკითხავ.

- შეყვარებული შენც გყავს?

- კი, მესამე წელია შეყვარებული ვარ. კარგი ბიჭია, საკმაოდ წარმატებული კალათბურთელია, მერაბ ბოქოლიშვილი.

მარიამ მამუჩაშვილი 17 წლის (მეორე ვიცე-მისი):

- სამი წელია სამოდელო სააგენტო „ფეიმ ე ჯენს“-ის მოდელი ვარ. სკოლიდან ამარჩიეს. მაშინ პატარა ვიყავი, გავერთე. ახლა, რაც უფრო ვიზრდები, ვხვდები, რომ ეს ჩემთვის მხოლოდ ჰობია. მთავარი სწავლაა. მომავალ წელს სკოლას ვამთავრებ, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს ვინ ვიქნები მომავალში. სამსახიობო ნიჭიც მაქვს, ცეკვაც გამომდის.

- შენი ოჯახის წევრები როგორ უყურებენ შენს პროფესიულ მისწრაფებას მოდელობისკენ, არტისტობისკენ?

- დედა ყველაფერში მიგებს. მამა 5 წლის მერე არ მინახავს, მიგვატოვა. სამი დედმამიშვილი ვართ.

- ისიც რომ ეჭვიანი აღმოჩნდეს, რა მოხდება?

- გავგიჟდები რომ არ იეჭვიანოს.

- მოსწონს, მოდელი რომ ხარ?

- შეიძლება არც მოსწონს, არ ვიცი. არაფერს ამბობს. უბრალოდ, დამცინის ასეთ კონკურსებზე რომ გამოვდივარ. მთავარია, რომ პრეტენზიები არ აქვს, ის არ ჩაიცვა, იქ არ წახვიდე და ეს არ გააკეთოო, არ მეუბნება.

P.S. ისღა დამრჩენია, წარმატება ვუსურვო თიკო ბაბლუანს, რომ მსოფლიო მასშტაბის კონკურს „მის პლანეტა 2015“-ზე გაიმარჯვოს და მადლობა გადავუხადო „ყვარლის ედენს“და ეკა მგალობლიშვილს მასპინძლობისთვის.

- შენ არ გიცდია მამის მოძებნა?

- არა. მგონია, რომ ასე უკეთ ვარ. იშვიათად მინახავს გოგოები, რომლის მამებიც შვილებს ამ სფეროს უწონებენ. არც ვიცნობ მამაჩემს. გარეგნობით არც დედას ვგავარ და არც მამას. დედა ამბობს, რომ ერთადერთი, რაც მამის ხასიათიდან გამომყვა, არის უაზრო და საშინელი ეჭვიანობა. შემიძლია ვიეჭვიანო ნათესავებზე, მეგობრებზე. უზომოდ მიყვარს ყურადღება და როგორც კი მაკლდება, ვიწყებ ეჭვიანობას.

- შემეცოდა შენი შეყვარებული...

- მეც მეცოდება ზოგჯერ (იცინის). შვიდი თვეა ერთად ვართ. მამშვიდებს ხოლმე, ჯერ პატარა ხარ, არ უნდა იეჭვიანო, ნერვებს უნდა გაუფრთხილდეო. ზოგადად, რთული ხასიათის ბიჭები მომწონს, მე რომ უნდა გავუგო, მან კი არა, აი ისეთები. სულ ჩხუბი გვაქვს. მიყვარს კონფლიქტები (იცინის).

„ეროტიზმოყვარე და მიზანდასახული გოგონაა და აი შედეგიც. ვულოცავ მას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N29 (330) ორშაბათი, 27 ივლისი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ელექტრონული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი რუსთავში ჩატარდება

გოგონას, რომელიც „მის პლანეტაზე“ საქართველოს წარადგენს, კონტრაქტის პირობებით 5 წლის განმავლობაში გათხოვება ეკრძალება

თიკო ბაბლუანი: „კონტრაქტზეც მოწერილი მაქვს ხელი. თუ მაინც გავთხოვდები, სასიძოს დაჯარიმებენ და ჯარიმა იმხელა იქნება, ჩემს ცოლად მოყვანას გადაიფიქრებს“

exclusive



განო მელითაური: „კოტე არ გაპარულა ნამალში, ნარკოტიკები არაფერ შუაშია. ეს უნდა იცოდეს ყველამ“

TV BAZ

საკადრო ცვლილებები საზოგადოებრივ მაუწყებელზე

TV BAZ

„იმედის“ მთავარ პროდიუსერად ზურა ფანქველაშვილი ინიშნება?

TV BAZ

მოსალოდნელი ცვლილებები „მაესტროზე“

exclusive

როგორ მოიგო ბრძოლა რიგითმა ნაკაშიძემ?

გიორგი ნაკაშიძე: „ჩემი ადგილი ვიპოვე, თავიდანვე დავიწყე ბრძოლა და გავიმარჯვე“

exclusive

exclusive

რაზე წუხს ვენის კლინიკაში მამუკა ჩარკვიანი და რა ჰკითხა პირველი ოპერაციის შემდეგ დას

გაიზიარებს თუ არა Gem Fest კაზანიპის ბედს

„ერთადერთი კავშირი, რაც ამ ფესტივალს კაზანტიპთან აქვს, ეს არის ტერიტორია“

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება